

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა  
და შეფასების ცენტრი**

**ტესტური დავალებების  
შექმნის ხელოვნება**

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის მასწავლებლებისათვის

2009 წელი



სამეცნიერო რედაქტორები:

**შორენა საპაბლიშვილი**

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ფსიქოლოგიაში

**მზია ჯერეთელი**

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**თეა ბერკენიშვილი**

ფსიქოლოგი

ტექნიკური რედაქტორი:

**კახა გაბუნია**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

# Quantitative research methods in educational planning

Series editor: Kenneth N. Ross

Graeme Withers “Item writing for tests and examinations”

John Izard “Overview of test construction”

მთარგმნელი:

**თინათინ ჩხეიძე**



## შინაარსი

წინასიტყვაობა.....	3
თავი 1 ტესტური დავალების შედგენა – მცნინერება თუ ხელოვნება?.....	4
თავი 2 ტესტების სემციფიკაციები.....	8
თავი 3 დეტალური მატრიცის შემუშავება.....	11
თავი 4 პარამეტრების დადგენა ტესტის დიზაინისა და ინსტრუქციებისათვის.....	18
თავი 5 ტესტური დავალებების ტიპი და ფორმატი.....	20
თავი 6 ტესტური დავალების ტიპის შერჩევა ტესტირებისათვის.....	29
თავი 7 ტესტური დავალების შედგენა, როგორც შემოქმედებითი აქტი.....	35
თავი 8 პანელისათვის (ქსკერტთა ჯგუფისათვის) ტესტური დავალებების წარდგენა და მათი მოღერაცნია.....	45
თავი 9 პირველი სავსე ური – რედაქტირება ანუ საკონტროლო გადასინჯვა.....	48
თავი 10 წინასწარი მზადება საბოლოო დაფორმატირებისათვის.....	53
თავი 11 ტესტირება სავსე პირობებში ანუ საცდელი ტესტირება.....	56
თავი 12 ტესტური დავალებების ანალიზი.....	58
თავი 13 მეორე ეტაპი – ტესტის რედაქტირება გამოსაცემად.....	60
თავი 14 ვარბა კი ტესტი?.....	62
თავი 15 შემფასებელთა ჯგუფის ტრენინგი.....	71
თავი 16 სავარჯიშოები.....	75
თავი 17 შემფასების ჩატარების საჭიროება განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე.....	76
თავი 18 რას წარმოადგენს ტესტი?.....	80

თავი 19	ტესტური მონაცემების ინტერპრეტაცია .....	83
თავი 20	მიღწევების შესახებ დასკვნების გამოტანა ამოცანათა შერჩევიდან გამომდინარე .....	86
თავი 21	რა მიზნებს ემსახურება ტესტი? .....	91
თავი 22	რა ტიპის უნდა იყოს დავალებები? .....	99
თავი 23	ტესტის აგების საფუძვლები .....	104
თავი 24	რესურსები, რომლებიც ტესტის აგებასა და შემენას სჭირდება .....	116
თავი 25	ზოგიერთი დასკვნითი ხასიათის შენიშვნა .....	119
თავი 26	საკარჯიშოები .....	121
თავი 27	ტესტის მაგალითები ქართულ ენასა და ლიტერატურაში .....	123
თავი 28	ტესტის მაგალითი საზოგადოებრივ მეცნიერებაში .....	156
	ტესტში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებები .....	165
	გამოყენებული ლიტერატურა .....	169

## წინასიტყვაობა

საქართველოს განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების სრულყოფისათვის და, ზოგადად, განათლების ხარისხის ასამაღლებლად, ქვეყანაში თანდათანობით იწერება განათლების კონტროლის მექანიზმები. ეროვნული შეფასება ანუ სახელმწიფო შეფასება კვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს გაარკვიოს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის ხარისხი ტესტირების გზით და გამოავლინოს ამ შედეგებზე მოქმედი ფაქტორები.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშავა ეროვნული შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც, დაგეგმილია ეროვნული შეფასებების ჩატარება სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე პერიოდულად, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა 2009 წლის 4 ივნისს ჩატარა ეროვნული შეფასება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 230 სკოლის 6043 მეცხრეკლასელმა. ტესტირება მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის ხარისხის გაზომვას საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივმა ექსპერტებმა თავიანთი საგნებიდან შეარჩიეს ის შედეგები და ინდიკატორები, რომლებიც ასახულია ესგ-ში (მეცხრე კლასი) და განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას ემსახურება.

წინამდებარე წიგნი შეიქმნა იმ მიზნით, რომ გაზარდოს მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა არის ტესტი, რა მიზნით და როგორ იქმნება იგი. წინამდებარე წიგნი შედგენილია ცნობილი ავტორების თარგმანებისგან. ასევე, მასში შევიტანეთ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ 2007 წელს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული ტესტების სრული ვერსიები.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს, თავადაც შეადგინოს საკლასო ტესტების საცდელი ნიმუშები მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად. ეს კი ზოგადად ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლისა და სწავლების პროცესების დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

# თავი 1

## ტესტური დავალების შედგენა – მეცნიერება თუ ხელოვნება?

იმ ამოცანებსა და კითხვებს, რომლებიც ტესტების შესადგენად გამოიყენება, ტესტური დავალებები ეწოდება. ხოლო სხვადასხვა სახის ტექნიკას, რომელიც ასეთი ტესტური დავალებების შესაქმნელად გამოიყენება, ტესტური დავალების შედგენას უწოდებენ.

ისმის კითხვა: ტესტური დავალების შედგენა მეცნიერებაა თუ ხელოვნება? ტესტური დავალების შემუშავების საუკეთესო ტექნიკა ორივე სახის ინტელექტუალური საქმიანობის ელემენტებს შეიცავს. ერთი მხრივ, აქ ფართოდ გამოიყენება ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც მეცნიერულ მეთოდს წარმოადგენს. ექსპერიმენტული მეთოდი მონაწილეობს მთელ რიგ პროცედურებში, რომლებიც გამოიყენება მაღალი ხარისხის ტესტებისა და ტესტური დავალებების შესაქმნელად. თუმცა, მეორე მხრივ, როგორც ამ მასალის კითხვისას ირკვევა, ხარისხიანი ტესტური დავალებების შემუშავება შემოქმედებითი აქტიცაა. ამ პროცესში იქმნება რაღაც ახალი და საინტერესო. კერძოდ, იქმნება ტესტირების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სიტყვებს, სიმბოლოებს და სასწავლო პროგრამებიდან აღებულ სხვა სახის მასალას, რომელიც ახლებურად არის დალაგებული და, ამასთან, ხშირად განსხვავებულ საგანმანათლებლო მიზნებს ემსახურება. ის, ვინც ტესტური დავალების შექმნაზე მუშაობს, იყენებს საკუთარ გამოცდილებას, ცოდნასა და შესაძლებლობებს. ტესტური დავალებების შემუშავების პროცესში, ისევე, როგორც ქანდაკების ან მუსიკალური ნაწარმოების შექმნის დროს, მნიშვნელოვანია ფორმა, სტრუქტურა და ბალანსი.

და მაინც, რატომ ეწოდება ტესტების საშენ მასალას, იმ ბლოკებს, რომელთაგანაც ტესტებია აგებული, ტესტური დავალება? არის თუ არა ეს ტექნიკური ტერმინი, რომელსაც განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები იყენებენ? რატომ არ ეწოდებათ მათ, მაგალითად, „კითხვები“? ტერმინ „ტესტური დავალებისათვის“ უპირატესობის მინიჭება (ტერმინ „კითხვასთან“ შედარებით) ორი მიზეზითაა გაპირობებული:

- 1) ხშირად ტესტური დავალებები არ არის წარმოდგენილი კითხვის ფორმით. მას, ვინც ტესტირებას გადის, მოეთხოვება კონკრეტული ამოცანების შესრულება ან კონკრეტული ცოდნის გამომჟღავნება, რაც ტესტის სიტყვიერ ინსტრუქციაშია მოცემული და რომელიც უშუალო კითხვის სახეს არ ატარებს;
- 2) ტესტური დავალებები ერთმანეთისაგან დაუმოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ. ანუ, თუ ერთ-ერთი მათგანი სწორად არ არის

ჩამოყალიბებული, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი ტესტური დავალებებიც აუცილებლად უნარისხო იქნება.

ტერმინი „ტესტური დავალების შედგენა“, რომელიც მოცემული თავის სათაურში ფიგურირებს, ყურადღებას ტესტური დავალებების ამ სახის დამოუკიდებლობაზე ამახვილებს. ანუ ტესტებში ცალ-ცალკე განიხილება სხვადასხვა უნარ-ჩვევა, უნარები და ცოდნის ერთეულები, რომლებიც სწავლის პროცესის კომპონენტებს წარმოადგენენ. მიუხედავად ზემოთქმულისა, ტესტის შედგენის პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხი: კერძოდ, რა ხდება, როდესაც ტესტის შედგენისას ტესტურ დავალებებს ვაჯგუფებთ ან მათგან სხვადასხვა სახის კომბინაციას ვქმნით. იქნენ თუ არა ტესტური დავალებები დამატებით მნიშვნელობას ამგვარი დაჯგუფებისა თუ კომბინაციების შედეგად? ჩვენ მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს საშენი ბლოკები უფრო დიდი მთლიანობის ნაწილებს წარმოადგენენ.

ჩვენ რამდენჯერმე ვახსენეთ სიტყვა ტესტის „შედგენა“, რომელიც უბრალოდ ტექნიკურ ტერმინს არ წარმოადგენს. ეს ტერმინი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ტესტური დავალებები დასრულებული, მზა სახით არ ჩნდებიან ტესტის ავტორების გონებაში. რეალურად ტესტური დავალებების შემუშავება და ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხშირად განსაზღვრული ოპერაციების გარკვეული თანმიმდევრობით გავლას გულისხმობს. მოსწავლისა თუ სტუდენტის ცოდნის შემოწმების კვალდაკვალ, თანდათანობით იქმნება (გროვდება) სატესტო მასალები. ზოგჯერ ეს პროცესი იწყება მცდარი ნაბიჯებით და ხდება დროისა და სხვა რესურსების ფუჭად ფლანგვა. მაგრამ თანდათან, დროთა განმავლობაში, ტესტის შემქმნელები უფრო და უფრო მკაფიოდ აყალიბებენ და ხვეწენ თავიანთ იდეებს. შემდგომში ხდება ამ იდეების გამოცდა და გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რომელი მათგანი ემსახურება ყველაზე უკეთ ავტორთა მიზანს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ჩვენ ვსუბრობთ ტესტის შემქმნელებზე, მათს ავტორებზე. აქ მრავლობითი რიცხვის გამოყენება იმას მიუთითებს, რომ ტესტური დავალებების შექმნა (ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურების გავლა) ყველაზე უკეთ გუნდური პრინციპით ხორციელდება.

ტესტური დავალებების შედგენისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა არის ტესტის საბოლოო მიზანი. რეალურად ტესტური დავალებების შედგენის პროცესი სწორედ აქედან იწყება. ზუსტად უნდა დადგინდეს ის, თუ რის გარკვევა გვინდა ან გვჭირდება მოსწავლის ცოდნის შესახებ.

განათლების სფეროში არსებული სახელმძღვანელოები შეფასების თაობაზე გვთავაზობენ ტესტირების შესაძლო მიზნების გრძელ ნუსხას, რომელშიც შედის: ცოდნის ათვისების შეფასება, განათლების სფეროში ზოგადი ხასიათის მიზნების მიღწევის შეფასება, სწავლის უნარის შეფასება, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების დიაგნოსტიკა და ა.შ. თუმცა, ნებისმიერი ტესტის შედგენისას, მისი რეალური მიზანი ორი მომენტის ერთობლიობას ითვალისწინებს: 1) არსებული საგანმანათლებლო კონტექსტი, რომელშიც გამოიყენება ტესტირების

შედეგები;

2) ის ცოდნა და გაგების უნარი, რომლითაც მოდის მოსწავლე ტესტირების გასაველელად. აქედან გამომდინარე, მიზნები, რომელთა განსაზღვრაც ხდება, კონკრეტული და სპეციფიკურია. ამ მიზნებიდან გამომდინარე, შემდგომში ხდება იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს ტესტი და მასში შემავალი დავალებები.

ამ დოკუმენტში მოცემული მასალა ეხება ტესტური დავალების წერის ერთ კონკრეტულ სფეროს, რომელიც, ალბათ, ყველზე რთული ასათვისებელია. ეს არის მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტები და მათი შესატყვისი ტესტური დავალებები. თუმცა, უნდა გვანსოვდეს, რომ ნებისმიერი ტესტური დავალების შედგენა, დაწყებული მარტივით (რომელიც მოკლე პასუხებს მოითხოვს) და დასრულებული რთულით (რომელიც ესეს ფორმით დაწერილ პასუხებს მოითხოვს), საჭიროებს ყურადღებიან და მეთოდურ მიდგომას. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საბოლოო ტესტი იყოს სწავლის პროცესის შედეგების სანდო და ვალიდური საზომი. ის, რაც ტესტის შედგენის შესახებ ზემოთ ითქვა, თანაბრად ეხება როგორც მასწავლებლის მიერ შედგენილ ტესტებს, რომელთაც ის იყენებს სასკოლო სემესტრის დასასრულს, ასევე ეროვნულ დონეზე ჩატარებულ ტესტირებას.

საიდან ვლებულობთ იმ ძირითად ცოდნას, რომელსაც შემდეგ ტესტების შედგენისას ვიყენებთ? მოცემული ნაშრომის მსგავს დოკუმენტებში მიმოიხილულია ის ინტელექტუალური პროცესი, რომელიც ტესტების შექმნაში მონაწილეობს. ამგვარი დოკუმენტები აგრეთვე მიმოიხილავენ იმ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც ხელს უწყობს ამ სახის საქმიანობას. თუმცა, ძირითად ცოდნას ტესტის ავტორი იღებს იმ პროფესიული გამოცდილებიდან, რომელიც მას, როგორც მასწავლებელს ან განათლების სისტემის მუშაკს, გააჩნია. მასწავლებლის პროფესიული გამოცდილება გულისხმობს სასწავლო კურსის ცოდნას. აგრეთვე მოსწავლეების იმ ჩვევებისა და პატერნების ცოდნას, რომელთაც ისინი მოცემული კურსის სწავლის პერიოდში ამჟღავნებენ. ამგვარი ცოდნა წლების მანძილზე ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ ტესტების შედგენის საწყის ეტაპზე ჩვენ შეიძლება ვერ შევძლოთ ამ ცოდნის სხვისთვის გაზიარება, თავად მუდმივად ვიყენებთ მას, როდესაც განვსაზღვრავთ ტესტირების მიზანს და ვგეგმავთ მისი განხორციელების საუკეთესო გზას.

ჩვენ ხანდახან ტესტირების საგნად ვირჩევთ მასალის ათვისებასთან დაკავშირებულ იმ პრობლემებს, რომლებსაც ვაწყდებით კლასში ან აუდიტორიაში მუშაობისას. ასეთ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გამოსაცდელი მოსწავლეების „გამოჭერა“ ან მათთვის რაიმე ხრიკების მოწყობა. ოქროს წესი, რომელსაც ამ დოკუმენტის ფურცლებზე შევხვდებით, ცალსახად გულისხმობს ყველანაირი ხრიკებისა და მესახარისხოვანი საკითხებისათვის გვერდის ავლას. პირიქით,

ჩვენს მიზანს წარმოადგენს იმის დადასტურება, რომ მოსწავლეებმა ან მათმა უმრავლესობამ მართლაც აითვისა ჩვენ მიერ მიწოდებული მასალა.

არ არსებობს ისეთი რამ, რაც ჩაანაცვლებს მასწავლებლის საფუძვლიან ცოდნას და სწავლების პროცესს, რომელიც საკლასო ოთახში მიმდინარეობს. ამგვარი ცოდნის გარეშე, რამდენად გაწაფულებიც არ უნდა იყვნენ ტესტის ავტორები ტესტების შედგენის ხელოვნებაში, მათ მიერ შედგენილი ტესტის ხარისხი უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ამას მოსწავლეები იმსახურებენ. თუ ჩვენ არ გაგვაჩნია საკმარისი ცოდნა ამ სფეროში, მაშინ ტესტის შემუშავების პროცესში კომპეტენტურ პირებს უნდა მივადებინოთ მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტირების პროცესი ეყრდნობა მრავალმხრივ ცოდნას ადამიანის უნარების გაზომვის შესახებ, თავად გაზომვა არ უნდა იყოს ტესტირების უმთავრესი მიზანი. ტესტირება ძირითადად საგანმანათლებლო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, რასაც ამ პროცესში მასწავლებლების მონაწილეობა უზრუნველყოფს.

## თავი 2 ტესტების სპეციფიკაციები

რატომ ვსაუბრობთ სპეციფიკაციის შესახებ? პროფესიული საქმიანობისას დროის ეკონომიური გამოყენება და საქმიანობის ეფექტურად წარმართვა მოითხოვს კარგად დამუშავებული წინასწარი გეგმის არსებობას. ანუ, სასურველია, პირველ რიგში, იქონიო მთელი საქმიანობის ზოგადი მონახაზი, ვიდრე ეცადო მიზნის მიღწევას ცალკეული ელემენტების (ამ შემთხვევაში ტესტური დავალებების) შეკოწიწებით. ასეთ გეგმას ზოგჯერ „პროექტსაც“ უწოდებენ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი არქიტექტურაში გამოიყენება.

რისგან შედგება სპეციფიკაცია ანუ პროექტი? ზედა თავში ნახსენები ტესტირების მიზნები წარმოადგენს საფუძველს შემდგომი პროცედურებისათვის. ამ წიგნში წარმოდგენილია სხვა მოდულებიც, რომლებიც შეიცავს უფრო ფართო თეორიულ ნაწილს და დეტალებს სპეციფიკაციის მომზადების თაობაზე, ანუ რატომ და როგორ უნდა მომზადდეს სპეციფიკაცია. რადგანაც სპეციფიკაცია ეხება ტესტური დავალების შედგენას, ის ამ თავში რეზიუმეს სახით არის წარმოდგენილი.

*სქემა 1.* აქ მოკლედია მოცემული სპეციფიკაციის პროცესის საფეხურების თანმიმდევრობა.

*სქემა 2.* აქ მოცემულია ტესტის საწყისი სპეციფიკაციის ნიმუში, რომელიც UNESCO-ს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის (ტესტების შემუშავება) ნაწილს წარმოადგენს. ამ ნიმუშის მატრიცა (საფეხური 8) ქვემოთ, 3ა სქემაშია მოცემული.

### სქემა 1

#### რას უნდა მოიცავდეს ტესტის სპეციფიკაცია

1. ტესტის სათაური.
2. ტესტის ძირითადი მიზნის ფორმულირება: მიღწევების ტესტირება, გამომუშავებული უნარების ტესტირება, სწავლის გაგრძელების (შემდგომ საფეხურზე გადასვლის) უნარის ტესტირება.
3. ტესტირების მონაწილის იმ სასწავლო პროგრამის, პროგრამის ნაწილის, ან სწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გამოცდილების დასახელება, რომელიც მოცემული ტესტით იზომება.
4. იმ პოპულაციის მოკლე აღწერა, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს ტესტირება (ასაკი, განათლების დონე, ცოდნა, უნარ-ჩვევები, განსაკუთრებული ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობა და ა.შ).
5. სხვადასხვა ტიპის შეფასებები (აქ იგულისხმება როგორც განსხვავებული ფორმატის ტესტები, ასევე სხვა სახის შეფასებებიც, რომლებიც შეიძლება ტესტირების პარალელურად ტარდებოდეს; მაგ. ზეპირი პასუხების შეფასება, ინტერვიუ, პრაქტიკული სამუშაო და სხვა).

6. ტესტირების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენების წესი, რომელიც ღებნდება ამ ინფორმაციის მომხმარებელთან წარმოებული დისკუსიის შედეგად.
7. ტესტირების ხანგრძლივობა და სხვა შესაბამისი პირობები.
8. დეტალური მატრიცა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდება ტესტის შემუშავება.

## სქემა 2

### ტესტის სპეციფიკაციის ნიმუში

1. წერა-კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების ხარისხი წყნარი ოკეანის კუნძულებზე.
2. წერა-კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების ხარისხის შესწავლა დაწყებითი სკოლის მოსწავლეებთან.
3. ტესტი იკვლევს ინგლისურ და მშობლიურ ენაზე წერისა და წაკითხვის შინაარსის გაგების უნარ-ჩვევებს. ასევე, ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულების უნარს.
4. ტესტი განკუთვნილია წყნარი ოკეანის რეგიონში შემავალი ათი ქვეყნის მეოთხე კლასის მოსწავლეებისათვის. შერჩევა მოხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. შერჩევაში მოხვდებიან სხვადასხვა ტიპის სკოლებისა და გეოგრაფიული რეგიონების წარმომადგენლები. ტესტირება ჩატარდება თითოეულ ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე კლასის მოსწავლეთა ასაკი განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში; აგრეთვე განსხვავებული იქნება ინგლისური და მშობლიური ენების სწავლების ხანგრძლივობა.
5. ტესტის ჩატარების შედეგად მივიღებთ ორივე ენაზე შესრულებულ ნაწერებს (თითოეულ ენაზე თითო დავალების საპასუხოდ). გარდა ამისა, მოსწავლეებმა მოკლე პასუხები უნდა გასცენ ამ ენებზე დაწერილ ორ პატარა მოთხრობას. მოსწავლეების პასუხები გვიჩვენებს თუ რამდენად კარგად გაიგეს მათ წაკითხვის შინაარსი. გარდა ამისა, ყველა მოსწავლემ უნდა ამოხსნას 25 არითმეტიკული ამოცანა, რითაც მოწმდება, თუ რამდენად შეუძლიათ მათ მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება.
6. წერა-კითხვის ტესტურ დავალებებში მიღებული ქულები დალაგდება ხუთ დონედ, ხოლო არითმეტიკული ამოცანების შესრულებაში მიღებული ქულები – ოთხ დონედ. ტესტირების შედეგები გამოქვეყნდება მოცემული დონეების შესაბამისი კრიტერიუმების აღწერასთან ერთად (Criterion descriptors). ამის შემდეგ მოხდება მიღებული შედეგების დაჯამება სკოლების მიხედვით. ეს საშუალებას მისცემს ადმინისტრაციასა და

განათლების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (თითოეულ ქვეყანაში), შეადარონ ერთმანეთს ინგლისურ და მშობლიურ ენებში მიღებული შედეგები და დაადგინონ მიღწევის ზოგადი დონეები გენდერის, გეოგრაფიული ცვლადებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

7. სუპერვაიზერი ათავსებს სკოლის ინტერნეტგვერდზე მთლიან ტესტს, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ 45 წუთის განმავლობაში. შევსებული ტესტი ხელით მოწმდება გარეშე შემფასებლის მიერ.
8. იხილეთ ილუსტრაცია 3-6.

### თავი 3 დეტალური მატრიცის შემუშავება

მას შემდეგ, რაც ტესტის ავტორები დაადგენენ სპეციფიკაციაში საფუნურთა თანმიმდევრობას, შესაძლებელი გახდება უფრო ზუსტი წარმოდგენა შევიქმნათ იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება საბოლოოდ ტესტი. ამისათვის ყველაზე მარტივი გზა მატრიცის შექმნაა. მატრიცის უჯრები შეივსება თანდათანობით, ტესტზე მუშაობის პარალელურად. ამგვარი მატრიცების ზომა და სირთულე ძალიან განსხვავებული იქნება - ამოცანიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ მატრიცა ასახავს სკოლაში სემესტრის დამამთავრებელ გამოცდებს კონკრეტულ საგანში, ის ძალიან რთული იქნება რადგან მან უნდა მოიცვას სასწავლო პროგრამის მრავალი განსხვავებული თემა. ეს კი, თავის მხრივ, ბევრი სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალების გამოყენებას საჭიროებს.

ვინ ქმნის მატრიცებს? სკოლაში მათ ქმნის მასწავლებელი, რომელმაც ტესტირება უნდა ჩაატაროს. მას დახმარებას უწევენ უფროსი მასწავლებელი და საგნის ხელმძღვანელი თავის კრიტიკული შენიშვნებით. თუ ტესტირება უნდა ჩატარდეს რამდენიმე კლასში, მატრიცის აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ მასწავლებელმა, რომელიც ამ კლასებში ტესტირებას ჩაატარებს. მასწავლებლები უნდა შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ მოცემული ტესტი შესატყვისი და ვალიდურია თითოეული კლასისათვის.

განათლების სისტემის დონეზე, ამგვარ მატრიცას ქმნის კომისია ან კომიტეტი, რომელშიც შედიან განათლების პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები, სასწავლო პროგრამის სპეციალისტები და ისინი, ვინც უშუალოდ ტესტის შედგენაზე მუშაობენ.

თავდაპირველად მატრიცას ასეთი სახე ექნება:

*სქემა 3*

დეტალური შინაარსი	ზოგადი სფეროები ან მიზნები

თუ მოცემული სქემის „მიზნებს“ შევავსებთ UNESCO-ს გამოკვლევის მასალით (სქემა 2), მატრიცა ასეთ სახეს მიიღებს:

სქემა 3ა

	ინგლისური ენა	მშობლიური ენა	რაოდენობრივი ოპერაციები
წერითი უნარ-ჩვევები			
წაკითხულის გაგება			
არითმეტიკული ოპერაციები			

მატრიცის შევსების შემდეგი საფეხურია ქულების მინიჭება და მათი წონის დადგენა. სპეციფიკაციაში, რომლის მეშვეობითაც გავედით 3ა სქემაზე, ცალ-ცალკე ქულა ენიჭება ინგლისური ენის, მშობლიური ენის და არითმეტიკულ ოპერაციებს; შესაბამისად, სქემა 4-ში მოცემულია თითოეული სვეტის ჯამური 100%.

სქემა 4.

	ინგლისური ენა	მშობლიური ენა	რაოდენობრივი ოპერაციები
წერითი უნარ-ჩვევები	50%	50%	ნული
წაკითხულის გაგება	50%	50%	ნული
არითმეტიკული ოპერაციები	ნული	ნული	100%

სიტყვა **ნული**, რომელიც შეტანილია არითმეტიკული ოპერაციებისათვის განკუთვნილ ორ უჯრაში, იმას აღნიშნავს, რომ არითმეტიკული ოპერაციების შესრულებისას არ მონაწილეობს წერა-კითხვა და რომ ყველაფერი რიცხვებისა ან სიმბოლოების გამოყენებით სრულდება. უფრო მაღალი კლასებისათვის განკუთვნილ შედარებით დახვეწილ ტესტში შეგვიძლია ეს მიდგომა აღარ გამოვიყენოთ.

აქედან გამომდინარე, ადვილი ხდება ტესტირებისათვის დროის განსაზღვრა. მთლიანი ტესტის სპეციფიკაცია (სქემა 2) გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ტესტირების 45 წუთში ჩატარება. მე-5 სქემა გვიჩვენებს მატრიცას, რომელშიც შესაბამისი დროითი მაჩვენებლებია შეტანილი.

სქემა 5

	ინგლისური ენა	მშობლიული ენა	რაოდენობრივი ოპერაციები
წერიტი უნარ-ჩვევები	8 წუთი 50%	8 წუთი 50%	ნული
წაკითხულის გაგება	8 წუთი 50%	8 წუთი 50%	ნული
არითმეტიკული ოპერაციები	ნული	ნული	13 წუთი 100%

ამ მატრიცას კიდევ ერთი ელემენტი აკლია – ფორმატი, რომელიც ტესტური დავალებებისთვისაა შერჩეული.

UNESCO-ს გამოკვლევაში, რომელიც აქ მაგალითის სახით არის მოყვანილი, მატრიცის თითოეული უჯრისათვის ძალიან მცირე დროა გამოყოფილი. აქედან გამომდინარე, ისეთი ფორმატი უნდა იყოს შერჩეული, სადაც წერა-კითხვასა და არითმეტიკულ ოპერაციებს დიდი დრო ვერ დაეთმობა. პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ინგლისურ და მშობლიურ ენებში ტესტირებას თანბარი დრო უნდა დაუთმობთ. შესაბამისად, მათი ფორმატიც მსგავსი უნდა იყოს.

მთლიანად ტესტირებისათვის გამოყოფილი დრო შესასრულებელი დავალებების რაოდენობასაც განაპირობებს. მაგალითად, 13 წუთის გამოყოფა არითმეტიკული ოპერაციებისათვის გულისხმობს ტესტში 25 მოკლე ამოცანისა თუ მაგალითის არსებობას, სადაც ერთ წუთში ორი დავალება შეიძლება შესრულდეს. 8 წუთის გამოყოფა წაკითხული შინაარსის გასაგებად გულისხმობს ტესტში 8 მოკლეპასუხიანი კითხვის არსებობას - წუთში შეიძლება ერთი დავალება შესრულდეს. ხოლო თავისუფალი წერიტი სავარჯიშო გულისხმობს ყოველ ორ წუთში ერთი წინადადების დაწერას. რამდენადაც მოსწავლეებს, რომლებიც ტესტირებას გადიან, ეძლევათ რამდენიმე წუთი ტესტის დაწყებამდე მასალის გასაცნობად, მიწოდებული მასალა (სტიმული) კითხვითი და წერიტი სავარჯიშოებისათვის შეიძლება იძლეოდეს სრულ ინფორმაციას, მიუხედავად თავისი მცირე მოცულობისა. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების გამოყენებისას შესაძლებელი იქნებოდა უფრო მეტი კითხვის დასმა წაკითხულის გაგების შესამოწმებლად, მაგრამ გადაწყდა, რომ არ მომხდარიყო ამ ფორმატის გამოყენება და დამატებითი ინფორმაცია წერიტი უნარ-ჩვევების შესახებ მიგველო თავად მოსწავლის მიერ შედგენილი წინადადებებიდან, რომელთა მეშვეობითაც მათ წაკითხულის შინაარსის გაგებასთან დაკავშირებულ კითხვებს უპასუხეს.

შესაბამისად, მატრიცის საბოლოო ვერსია ასე გამოიყურება:

სქემა 6.

	ინგლისური ენა	მშობლიური ენა	რაოდენობრივი ოპერაციები
წერითი უნარ-ჩვევები	8 წუთი 50% 5 წინადადება - თავისუფალი პასუხი	8 წუთი 50% 5 წინადადება - თავისუფალი პასუხი	ნული
წაკითხულის გაგება	8 წუთი 50% 8 კითხვა მოკლე პასუხი	8 წუთი 50% 8 კითხვა მოკლე პასუხი	ნული
ართიმეტიკული ოპერაციები	ნული	ნული	13 წუთი 100% 25 კითხვა ცარიელი ადგილების შევსება

ისინი, ვინც მუშაობდნენ წერა-კითხვის ტესტის შედგენაზე, რომლის ნიმუშიც აქ არის მოცემული, ცდილობდნენ დახვეწილად და ეკონომიურად გადაეჭრათ ტესტის აგებასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები, როგორც ეს სპეციფიკაციის ადრეულ ეტაპზე იყო დაგეგმილი. მათ რომ საპირისპირო სტრატეგია აერჩიათ, ანუ დაეწერათ ტესტური დავალებების შედგენაზე მუშაობა იქამდე, სანამ შეიქმნიდნენ სრულ წარმოდგენას მთლიანი ტესტის შესახებ, მოცემული საქმიანობა ბევრად უფრო მეტ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა.

ტესტის შემუშავების პროცესში ტესტის აგების მრავალი ახალი ასპექტი იჩენს თავს, რომლებზეც მინიშნება 3 - 6 სქემებში ხდება. ჩვენ მოგვიანებით უფრო დეტალურად განვიხილავთ ამ ასპექტებს. ერთ-ერთი მათგანია მრავალფეროვნების შემოტანის საჭიროება. ტესტის შესრულება კანდიდატისათვის (იმისათვის, ვინც ტესტირებას გადის) შეიძლება საოცრად მოსაწყენ საქმიანობად გადაიქცეს. ეს რომ არ მოხდეს, ტესტური დავალებების ავტორებმა შეძლებისდაგვარად მრავალფეროვანი უნდა გახადონ როგორც მისაწოდებელი მასალა (სტიმული), ასევე ტესტზე გაცემული პასუხების ფორმატი. 45-წუთიანი ტესტიც კი, რომელიც ზემოთაა მოტანილი, ერთგვარი მრავალფეროვნების შემცველია. მასში შედის ორი წერითი დავალება, ორი ნაწყვეტი, რომელიც უნდა წაიკითხოს და გაიგოს კანდიდატმა (ორივე ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმატით სრულდება) და რაოდენობრივი ამოცანები, რომელთაც სრულიად განსხვავებული ფორმატი აქვთ.

ყოველივე ამის შემდეგაც კი, სპეციფიკაციის პროცედურა დასრულებული არ არის. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ ავიღებთ მე-ნ სქემის მარჯვენა ქვედა უჯრას, რომელიც არითმეტიკული ოპერაციების შესრულებას ეხება, ჩვენ შეგვიძლია ეს უჯრა უფრო კონკრეტული ინფორმაციით შევაავსოთ. რომელიც გვაუწყებს, თუ რა ხდება ტესტის ამ ნაწილის შესრულებისას.

რამდენიმე ათწლეულის წინ, ბენჯამენ ბლუმმა და მისმა კოლეგებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული „განათლების მიზნების ტაქსონომია“. ამ ნუსხაში განათლებასთან დაკავშირებული გამოცდილება ორ სფეროდ იყოფა - კოგნიტურ და აფექტურ სფეროებად. კოგნიტურ სფეროს მიეკუთვნება ფაქტობრივი ცოდნის შეძენა, გაგების უნარი, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი. ეს უნარები სასარგებლო და მნიშვნელოვანია იმის სტრუქტურირებისათვის, რასაც ჩვენ ვასწავლით და რასაც ტესტირებისას ვაფასებთ. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ელემენტები ჩვენი სპეციფიკაციების შესაქმნელად, რათა უზრუნველვყოთ ყოველივე იმის სრულად მოცვა, რაც ხდებოდა ან უნდა მომხდარიყო სწავლის პროცესში.

შესაბამისად, მარჯვენა ქვედა უჯრა შეიძლება შეიცვალოს იმ სახით, როგორც ეს ნა სქემაშია მოცემული. განსოვდეთ, რომ ამ მაგალითში საუბარია ძალიან პატარა ბავშვებზე, რის გამოც თემები ვერ იქნება ზედმეტად რთული და ბლუმის ნუსხიდანაც შედარებით მარტივი მიზნები იქნება შერჩეული. ამ ასაკის ბავშვებთან არ არის მიზანშეწონილი მაღალი რანგის ფენომენების - ანალიზის, სინთეზისა და შეფასების ტესტირება. ჯამური მაჩვენებლები შეიძლება გამოვხატოთ ან როგორც ტესტური დავალებების რაოდენობა, ან როგორც რაოდენობა ქულებისა, რომელსაც მივანიჭებთ მოცემულ თემას ან ამოცანას ტესტის ერთი მთლიანი ბლოკის ფარგლებში. თუმცა ჯამური მაჩვენებელი ორივეს მეშვეობით შეგვიძლია გამოვხატოთ, როგორც ეს განხორციელდა მე-ნ სქემაში, სადაც ტესტი განიხილებოდა, როგორც ერთიანი კონსტრუქტი.

სქემა ნ და ნა აგრეთვე ბადებს ორ მნიშვნელოვან კითხვას ტესტის სპეციფიკაციასთან დაკავშირებით. პირველი კითხვა ასეთია: „რა ხანგრძლივობის უნდა იყოს ტესტი?“. რა თქმა უნდა, აქ არ არსებობს მკაცრი წესები, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაწყებითი სკოლის შუა კლასებში ნებისმიერი სახის ფორმალური ტესტის შესრულების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 45 წუთს. ეს ზედა ზღვარი შეიძლება გაიზარდოს ერთ საათამდე დაწყებითი სკოლის ზედა კლასებისა და საშუალო სკოლის დაბალი კლასებისათვის, ორ საათამდე საშუალო სკოლის შუა კლასების და სამ საათამდე ყველაზე მაღალ კლასებში. ტესტის ავტორს შეუძლია უზრუნველყოს თემებისა და ამოცანების დამაკმაყოფილებელი მოცვა შედარებით მცირე დროში. და ის უნდა ეცადოს, რომ ტესტირება შეძლებისდაგვარად მცირე დროში ჩატიოს. სჯობს ჩატარდეს ორი ტესტი რამდენიმედიდლიანი ინტერვალით, ვიდრე ერთი ტესტი, რომელიც ზედმეტად ხანგრძლივი იქნება.

მეორე კითხვა ეხება იმ ფაქტს, რომ ძალიან ადვილია ტესტური დავალებების შედგენა მარტივი ცოდნის ტესტირებისათვის, რასაც ტესტის ავტორები ხშირად მიმართავენ. ისინი უგულებელყოფენ ისეთი მნიშვნელოვანი უნარების კვლევას, როგორცაა ცოდნის გამოყენების, ანალიზისა და სინთეზის უნარი. ამ კატეგორიების შეტანა ტესტის სპეციფიკაციაში შეგვახსენებს, რომ მათი ტესტირება აუცილებელია. მათი შეფასებისას შესაძლოა საჭირო გახდეს განსხვავებული წონის მქონე ქულების მინიჭება: ერთი ქულა შეიძლება მიენიჭოს მარტივი ფაქტის აღდგენას (გახსენებას), მაგრამ მასალის გამოყენება ან მისი დეტალური ანალიზი უფრო მაღალ შეფასებას მოითხოვს, როგორც ეს სქემა ნბ-შია ნაჩვენები. თუ რა რაოდენობის ტესტური დავალებები იქნება უჯრაში შეტანილი, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ტესტირებისათვის გამოყოფილ დროზე და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ როგორ არის დაცული ბალანსი ტესტურ დავალებებს შორის, მოიცავს თუ არა ეს ბალანსი სწავლის მთელ პროცესს. უნდა გვახსოვდეს, რომ ტესტის ავტორების პასუხისმგებლობაა, დადებითი ზეგავლენა მოახდინონ როგორც მასწავლებლებზე, ისე სწავლის პროცესზე. თუ ტესტით მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების აღდგენა მოწმდება, ხშირად სწავლების პროცესიც მხოლოდ ამაზე იქნება მიმართული. მასწავლებლებს ეხერხებათ სტუდენტების მიერ შესრულებული, გავლილი ტესტებიდან ამოკითხონ ის, რასაც ტესტის ავტორები ამ მოსწავლეებისგან მოელოდნენ, რათა შემდგომში მათ ტესტების ჩაბარებაში შეუწყონ ხელი. თუ მასწავლებლები დაინახავენ, რომ ტესტები მხოლოდ დაბალი რიგის უნარ-ჩვევებს ზომავს, მაშინ, როგორც სწავლის, ისე სწავლების ხარისხი შეიძლება გაუარესდეს მთელ განათლების სისტემაში.

ამიტომ ჩვენ გვჭირდება სპეციფიკაციის საბოლოო განხილვა (მატრიცის საბოლოო ვარიანტის ჩათვლით). ამგვარი განხილვისას, ძირითადი კითხვები ეხება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სასწავლო პროგრამის მოცვას ეხება. ტესტის შედგენაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფს სჭირდება დადებითი პასუხის მიღება შემდეგ კითხვაზე: „რამდენად საკმარისად ასახავს შემოთავაზებული ტესტი განსახილველ ცოდნას“. მაგრამ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგაც კი ტესტის შემდგენელი შეიძლება არ იყოს მზად რეალურ ტესტურ დავალებებზე მუშაობის დასაწყებად.

სქემა ნა

მიზანი ან ქცევა საკლასო ოთახში/ კლასში გავლილი თემები, ანუ შინაარსი	ცოდნა	გაგება	გამოყენება	სულ
1. მიმატება 2. გამოკლება 3. გამრავლება 4. გაყოფა				
სულ				

სქემა ნბ

მიზანი შინაარსი	ცოდნა	გაგება	გამოყენება	სულ
1. მიმატება	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 2 ნიშანი	6 ტესტური დავალება 8 ნიშანი
2. გამოკლება	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 2 ნიშანი	6 ტესტური დავალება 8 ნიშანი
3. გამრავლება	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 2 ნიშანი	6 ტესტური დავალება 8 ნიშანი
4. გაყოფა	3 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 1 ნიშანი	2 ტესტური დავალება @ 2 ნიშანი	7 ტესტური დავალება 9 ნიშანი
სულ	9 ტესტური დავალება	8 ტესტური დავალება	8 ტესტური დავალება	25 ტესტური დავალება 33 ნიშანი

## **თავი 4**

### **პარამეტრების დადგენა ტესტის დიზაინისა და ინსტრუქციებისათვის**

ამ ეტაპზე დგინდება, თუ როგორი უნდა იყოს ტესტის საბოლოო სახე (მისი ვიზუალური მხარე) და როგორი უნდა იყოს ინსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფს ტესტირების ნორმალურ მიმდინარეობას იმათთვის, ვისაც ტესტირება უტარდება.

თუ ჩვენ არასაკმარისი რესურსები გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ჩნდება ეკონომიურობასთან დაკავშირებული კითხვები. ისინი შეიძლება ამგვარ ხასიათს ატარებდეს:

- რა რაოდენობის ქალაქი დაგვჭირდება იმისათვის, რომ დაიბეჭდოს ყველა კანდიდატისათვის საკმარისი ცალი? არის ეს აქტუალური საკითხი?
- თითო ტესტს ოთხიდან რვა გვერდამდე დასჭირდება თუ მეტი?
- კანდიდატები პასუხისათვის ტესტების წიგნს გამოიყენებენ (რაც იმას ნიშნავს, რომ მას ხელმეორედ ვერ იხმარ) თუ პასუხისათვის განკუთვნილ ფორმას?
- ტესტის პასუხები ხელით გასწორდება, მათ მანქანა გაასწორებს თუ ოპტიკური მოწყობილობა (OMR)?
- აზრი აქვს ტესტში ფერადი ილუსტრაციების გამოყენებას?

ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი, რომ ასეთ კითხვებს საბოლოო პასუხი გავცეს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, დაახლოებით რა პასუხს გავცემთ მათ. ტესტის ვიზუალური მხარე ნამდვილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის ტესტურ დავალებებს გამოვიყენებთ. მთავარი ისაა, რომ ტესტის ავტორებს დადგენილი ჰქონდეთ ზოგადი პარამეტრები იქამდე, სანამ მუშაობას დაიწყებდნენ.

ეკონომიურობის საკითხი შეიძლება სიტყვებისა და ადგილის ეკონომიურობასაც გულისხმობდეს. დეტალური სპეციფიკაციები და ტესტის დიზაინი, რომელსაც ავტორს აწვდიან, უნდა მოიცავდეს ყველა დეტალს, რომელიც გასათვალისწინებელია ტესტური დავალების შედგენისას. მანამდე კი, დიზაინის შექმნისას, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ტესტს აქვს შესავალი ნაწილი, რომელიც ეხება ინფორმაციას კანდიდატის შესახებ. სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში, ის შეიძლება შემოიფარგლებოდეს კანდიდატის სახელითა და გვარით და

კლასის ნომრით. მაგრამ ტესტირების უფრო მოცულობით პროგრამებში, ამგვარი ინფორმაცია ეხება სკოლის დასახელებას, კანდიდატის სქესს და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაციას, რომლის შეტანაც უფრო დიდ ადგილს მოითხოვს.

- ტესტი შეიცავს იმ ნაწილს, სადაც შედის შეფასების კრიტერიუმები, რომელთაც კანდიდატები ტესტირების დაწყებამდე უნდა გაეცნონ.
- სხვადასხვა პროცედურული ხასიათის მითითებები იმის შეახებ, თუ რა უნდა გაითვალისწინონ ან გააკეთონ კანდიდატებმა იმისათვის, რომ რაც შეიძლება კარგად შეავსონ ტესტი.
- ახსნა-განმარტებები ტესტის დიზაინის თაობაზე, თუ ტესტი ბლოკებად იყოფა ან თუ კანდიდატებმა განსხვავებული დრო უნდა დაუთმონ ტესტის სხვადასხვა ნაწილს.

ტესტირების დიდ პროგრამებში, განსაკუთრებთ კი სტანდარტიზებულ პროგრამებში, შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი ზემოთ მოტანილი კითხვის ინსტრუქციად გარდაქმნა. ამ ინსტრუქციებს კანდიდატებს ტესტირების ჩატარებისას უკითხავენ. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა კანდიდატისათვის, განურჩევლად იმისა, თუ სად უტარდება მას ტესტირება, ერთი და იგივე ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი. ხშირად ეფექტურია ინფორმაციის მიწოდება ნაბეჭდი სახით, მაგრამ კანდიდატები უფრო თანაბარ მდგომარეობაში მაშინ აღმოჩნდებიან, როდესაც მათ ერთსა და იმავე ინფორმაციას სიტყვიერად მიაწოდებენ.

როგორც სატესტო ფურცელზე ინსტრუქციის მიწოდებისას, ისე ზეპირი ინსტრუქციის წერილობითი ტექსტის შედგენის შემთხვევაში, იმათთვის, ვინც ტესტირებას ხელმძღვანელობს, ეცადეთ ინფორმაციის არსი მინიმალური რაოდენობის სიტყვებში მოაქციოთ.

## **თავი 5**

### **ტესტური დავალებების ტიპი და ფორმატი**

მე-6 სქემის მომზადებისას, ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა ტესტური დავალებების შედგენაზე „ტესტის წერა – კითხვის ბლოკისათვის“, არჩევანი გააკეთა ტესტური დავალებების ტიპისა და ფორმატის სხვადასხვა ვარიანტებიდან. მოგვიანებით მოგაწოდებთ შესაძლო ვარიანტებს, საიდანაც არჩევანის გაკეთებაა შესაძლებელი (სქემა 10 და 11).

მაგრამ თავიდან კარგი იქნება, თუ ყურადღებას მივაპყრობთ ყველა ტესტური დავალებისათვის საერთო მახასიათებლებს (სქემა 7). ეს დაგვეხმარება განვასხვავოთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები.

მე-8 სქემაში მოცემულია ტესტირებისას მიწოდებული მასალის (სტიმულის) მაგალითები, ხოლო სქემა 9 გვიჩვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი ტესტური დავალების ნაწილების ფორმულირება ერთი ფორმატით - მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალების სახით.

#### სქემა 7

1. ყველა ტესტური დავალება გულისხმობს მინიმუმ ერთი სწორი პასუხის არსებობას იმ აზრით, რომ ამგვარი პასუხის გაცემისას, კანდიდატი შემფასებლისაგან სრულ კრედიტს იღებს.
  - ზოგჯერ არჩევანი „დახურულია“, როგორც ეს ხდება მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალების შემთხვევაში. სწორი პასუხები ტესტში მოცემულია, როგორც პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი.
  - ზოგჯერ, როგორც ეს ესეც ტიპის ტესტებში ხდება, პასუხი პოტენციური სახით არსებობს იქამდე, სანამ ვინმე არ „წაიკითხავს“ სტიმულს და თავის პასუხს არ მოგვაწვდის (ზოგჯერ, რა თქმა უნდა, ვერც ერთი კანდიდატი ვერ იღებს სრულ კრედიტს, მაგრამ ყველა ტესტური დავალება ისეთი სახით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ვინმეს მაინც შეეძლოს კრედიტის მიღება).
  - ზოგი ტესტური დავალება „ღია“ სახისაა და მათ ერთზე მეტი სწორი პასუხი გააჩნია. ამის მაგალითია ორი განსხვავებული ესე, რომელთაგანაც თითოეულს შეუძლია სრული ქულის მოპოვება. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალების შემთხვევაში, ასეთი რამ არასოდეს ხდება.

2. ყველა ტესტურ დავალებას უკავშირდება არასრული პასუხი, რომელიც შემფასებლისაგან შეიძლება იმსახურებდეს არასრულ კრედიტს, ან მცდარი პასუხი, რომელიც საერთოდ არ იმსახურებს კრედიტს.

- მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების უმრავლესობაში, არასრული ან მცდარი პასუხი საერთოდ არ იღებს კრედიტს.
- ესეს ტიპის ტესტების უმრავლესობაში, ძალიან ცოტა პასუხია ისეთი, რომელიც საერთოდ არ იღებს კრედიტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემფასებელს ცარიელი ფურცელი უბრუნდება.

პასუხები, რომლებიც შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი, ფაქტობრივი ან პოტენციური, ყოველთვის განიხილება ტესტური დავალების ნაწილად.

## სქემა 8

### მიწოდებული მასალის (სტიმულის) ნიმუშები

#### ინფორმაციული ხასიათის მასალა (სტიმული)

- ნაწყვეტი მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტში, რომელსაც ტესტური დავალებები მიუთითებს;
- რუკა გეოგრაფიის ტესტში, რომელსაც უნდა მიუთითონ კანდიდატებმა მოკლე პასუხის მქონე კითხვებზე პასუხის გაცემისას;
- ფოტოსურათი ხელოვნების ტესტში, რომელზეც კანდიდატმა ესე უნდა დაწეროს;
- დიაგრამა მათემატიკურ ტესტში, რომელიც ამოცანის გადაჭრის საფუძველს წარმოადგენს.

#### ღირექტიული ხასიათის მასალა (სტიმული)

- მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებაში წამყვანი წინადადება ანუ ე. წ. „ბირთვი / ღერძი“ (steam) მაგ: „მოცემული ნაწყვეტის მიხედვით უპასუხეთ, თუ ვინ შეჭამა ნამცხვარი?“;
- მოკლე პასუხის მქონე ტესტური დავალება: „გამოიყენეთ რუკის სკალა კოშკსა და ხიდს შორის მანძილის გამოსათვლელად“;
- ესე კონკრეტულ თემაზე: „შეადარეთ ერთმანეთს ფოტოსურათში მოცემული პიკასოს ნახატი ამავე მხატვრის ორ ნახატთან, რაც სასწავლო პროგრამით გაიარეთ“;
- ტესტური დავალება, რომელიც განვრცობილ პასუხს მოითხოვს:

„დაწერეთ კრიტიკული ხასიათის მიმოხილვა რომანისა, რომელიც ამ სემესტრში გაიარეთ“;

- ფორმულირება ამოცანისა, რომელსაც პასუხი უნდა მოეძებნოს: „როგორია ზემოთ მოცემული დიაგრამის დაჩრდილული ნაწილის ფართობი კვადრატულ მეტრებში? წარმოადგინეთ პასუხის გამოთვლა დეტალური სახით“.

აქ ამოცანას წარმოადგენს გონებრივი პროცესების ზოგადი ან კონკრეტული ხასიათის სტიმულირება ტესტირების დროს.

## სქემა 9

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალების ნაწილები	
ინსტრუქცია კანდიდატებისათვის	წაიკითხეთ შემდეგი ნაწყვეტი და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს
ინფორმაციული ხასიათის მასალა (სტიმული)	ბობმა, კეროლმა, ტედმა და ელისმა ეს-ესაა დაიწყეს თავშესაქცევად პოკერის თამაში, მაგრამ ტედმა უკვე ყველაზე დიდი თანხა მოიგო. კეროლმა მოიგო მცირე თანხა, ხოლო ელისმა უფრო დიდი თანხა წააგო, ვიდრე ბობმა.
დირექტიული ხასიათის მასალა (სტიმული)	
№ და შეკითხვის ლერძი/ბირთვი	1. თამაშის ამ ეტაპზე ვინ წააგო ყველაზე მეტი ფული?
* პასუხის ვარიანტები	ა. ბობმა ბ. კეროლმა გ. ტედმა ე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არ გვაქვს საკმარის ინფორმაცია
გასაღები ანუ სწორი პასუხი	დ ელისმა
მცდარი პასუხის ვარიანტები	ა, ბ, გ და ე

სასარგებლოა ტესტური დავალებების კლასიფიცირება სამ კატეგორიად:

1. ტესტური დავალება, რომელიც პასუხის შერჩევას მოითხოვს

კანდიდატი, რომელსაც ტესტირება უტარდება, ირჩევს პასუხს ან შესაძლო პასუხების ნუსხიდან ან თავად მასალიდან (სტიმულიდან). არჩევანი „დახურულია“, ანუ მხოლოდ ერთი პასუხი იღებს კრედიტს. მოცემულ ვარიანტს შემდეგი ფორმატი შეიძლება ჰქონდეს:

ა. სწორი – მცდარი

რუკა გვიჩვენებს, რომ ბომბეი ინდოეთის დედაქალაქია - სწორია თუ მცდარი?

ბ. ტესტური დავალებების ურთიერთმისადაგება

იპოვეთ ნაწყვეტში სიტყვა, რომელიც ნიშნავს *ფულუროს*.

მოუძებნეთ ამ სიტყვებს შესაბამისი ანტონიმები:

ნასვამი: მძინარე; ნაღვლიანი

მხიარული . . . . .

ფხიზელი . . . . .

მღვიძარე . . . . .

მშვიდი . . . . .

ზემოთ მოყვანილის მსგავსი ტესტური დავალებების გამოყენებისას, ჩვეულებრივ, მოცემულია უფრო მეტი სიტყვა, ვიდრე ის სიტყვები, რომლებიც წყვილებს ქმნიან.

გ. კლასიფიკაციის ტესტური დავალებები

*შეავსეთ ცარიელი ადგილები:*

საფრანგეთი            პარიზი            ევროპა

. . . . .            კენია            აფრიკა

. . . . .            ბოგოტა            . . . . .

შრი ლანკა            . . . . .

კლასიფიკაციის კატეგორიები ხან მოცემულია (ქვეყანა, დედაქალაქი, კონტინენტი), ხან კი გამოტოვებული, როგორც ამ მაგალითის შემთხვევაში და მათ შესახებ ხდება დასკვნის გამოტანა კატეგორიების მაგალითებიდან. რა თქმა უნდა, შესაძლებელია უფრო მარტივი, ორსვეტიანი კლასიფიკაციის გამოყენება.

დ. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალება

აქ მაგალითისათვის გამოდგება მე-9 სქემა. აღსანიშნავია, რომ მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალებები ორი სტილისა შეიძლება იყოს. ერთ კატეგორიას ეწოდება სტიმულზე დამოკიდებული ტესტური დავალებები, რომელთა ნიმუში მე-9 სქემაშია მოცემული, მეორეს კი ეწოდება სტიმულისაგან დამოუკიდებელი ტესტური დავალებები. მეორე შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა პასუხის შესაძლო ვარიანტები, მაგრამ იგულისხმება, რომ იგი პასუხის გაცემისას იყენებს იმ ცოდნას, რომელიც კლასში მუშაობისას შეიძინა.

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალებები შეიძლება სტრუქტურითაც იყვნენ განსხვავებულნი. მე-9 სქემაში კანდიდატს შეუძლია არჩევანი გააკეთოს ხუთი ვარიანტიდან. ზოგიერთ შემთხვევაში სავარაუდო პასუხების რაოდენობა შეიძლება ოთხი იყოს. ასეთი ვარიანტის შედგენა უფრო ადვილია, ისევე, როგორც მასზე პასუხის გაცემა. სჯობს ვერიდოთ პასუხის სამი და ექვსი ვარიანტის შემცველი ტესტების გამოყენებას, რადგანაც პირველ შემთხვევაში ადვილდება სწორი პასუხის პოვნა, ხოლო ექვსვარიანტიანი ტესტი ზედმეტად რთულია საპასუხოდ ტესტირების პირობებში. საბოლოოდ, რომელი სტრუქტურაც არ უნდა აირჩიოთ (ოთხ ან ხუთ ვარიანტიანი ტესტი), მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის ყველა ტესტური დავალება უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ სტრუქტურას.

ნებისმიერი ტესტირებისას, სადაც კი გამოიყენება ტესტური დავალება, რომელიც პასუხის შერჩევას მოითხოვს, მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ თითოეული ტესტური დავალების დამოუკიდებლობა სხვა ტესტური დავალებებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორი პასუხის შერჩევა არცერთი ტესტური დავალების შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, რომ წინა ტესტურ დავალებას სწორი პასუხი გაეცა.

## 2. ტესტური დავალება, რომელიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს

ასეთი ტესტური დავალების შემთხვევაში, კანდიდატები ადვილზე ახდენენ პასუხის კონსტრუირებას, ანუ ამზადებენ პასუხს საგნის სწავლისას შეძენილი ცოდნის საფუძველზე ან ახლებურად წერენ მიწოდებული მასალის (სტიმულის) ამა თუ იმ ნაწილს. ასეთ ტესტურ დავალებათა უმრავლესობა „ლია“, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასებისას სრულიად განსხვავებულ პასუხებს შეიძლება თანაბარი კრედიტი მიენიჭოს. სხვა ტესტურ დავალებებს მხოლოდ ერთი სწორი პასუხი აქვს, რაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს.

ა. მოკლე პასუხის მქონე ტესტური დავალებები

*მოიფიქრე წაკითხული მოთხრობისათვის საუკეთესო სათაური.*

*რა ქნა სამმა ბიძაშვილმა ამ მოთხრობაში?*

*რატომ გაბრაზდა თინა?*

ბ. ტესტური დავალებები, რომლებიც ცარიელი ადგილის შევსებასა და წინადადების დასრულებას მოითხოვს

*16 X 4 = . . . . . ან . . . . .*

*საივონს შეერქვა ხო ში მინ ქალაქი, იმიტომ რომ . . . . .*

*სიტყვა . . . . . ზუსტად აღწერს ჯოს ქცევას კამათის დროს.*

გ. ტესტური დავალებები, რომლებიც ტექსტის „დახურვას“ მოითხოვს

ტესტური დავალებების ერთ-ერთ ქვეკატეგორიას, რომელიც წინადადების დასრულებას მოითხოვს, ტექსტის დახურვის ტესტური დავალებები ეწოდება. ამ შემთხვევაში მოწმდება სიტყვების ცოდნა. კანდიდატს სთხოვენ ჩასვას შესაბამისი სიტყვები ტექსტიდან აღებული ნაწყვეტის გამოტოვებულ ადგილებში. მაგალითად, ტექსტში შეიძლება გამოტოვებული იყოს ყოველი მეხუთე სიტყვა. თავიდან, ეს ფორმატი გამოიყენებოდა კითხვის პროცესის კვლევისას, როგორც პროზის წაკითხვის ტესტი. შემდგომში ის გარდაიქმნა ტესტად, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებს ემსახურება. ქვემოთ მოტანილია ტექსტის დახურვის ამოცანის მაგალითი:

ტესტური დავალებების ერთ - ერთ ქვეკატეგორიას, . . . წინადადების დასრულებას მოითხოვს, ტექსტის . . . ტესტური დავალებები ეწოდება. ამ . . . მოწმდება სიტყვების ცოდნა. კანდიდატს . . . ჩასვას შესაბამისი სიტყვები ტექსტიდან . . . ნაწყვეტის გამოტოვებულ ადგილებში.

ზოგჯერ გამოიყენება ოდნავ განსხვავებული ფორმატი, რომელსაც ეწოდება ტექსტის დახურვის მოდიფიცირებული ფორმატი, სადაც ადგილების გამოტოვება გარკვეული რეგულარობით არ ხდება, მაგრამ გამოტოვებულ ადგილებში ჯდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვები ან ცნებები. ამავე დროს, მხოლოდ ერთი პასუხის ჩასმა არის ლოგიკურად გამართლებული. ქვემოთ მოყვანილია იგივე ნაწყვეტი, რომელიც სტრუქტურირებულია განსხვავებული სახით:

ტესტური დავალებების ერთ-ერთ ქვეკატეგორიას, რომელიც წინადადების . . . მოითხოვს, ტექსტის დახურვის ტესტური დავალებები ეწოდება. ამ შემთხვევაში მოწმდება . . . ცოდნა. კანდიდატს სთხოვენ ჩასვას შესაბამისი სიტყვები ტექსტიდან აღებული ნაწყვეტის . . . ადგილებში.

დ. განვრცობილი პასუხები (მოკლე თემა და ესე)

ეს ამოცანები შეიძლება კონკრეტულად უკავშირდებოდეს ტესტში მოცემულ ინფორმაციას ან ეყრდნობოდეს იმ ფაქტს, რომ კანდიდატს ტესტზე მუშაობისას თან მოაქვს შესაბამისი თემის ცოდნა, რათა ტესტის ინსტრუქციას უპასუხოს.

*წაიკითხეთ მასალა და მოამზადეთ დაბალანსებული და დეტალური ხასიათის კრიტიკული პასუხი იმ მოსაზრებებზე, რომლებსაც გამოთქვამს სხვადასხვა ავტორი განათლების თაობაზე. თქვენი ნაწერი 600 – 1000 სიტყვას უნდა შეიცავდეს.*

*დაწერეთ მოკლე თემა, რომელშიც შეჯამებულია ფეიერბანკის შეხედულება ოპიუმის პირველ ომზე, რა სახითაც ის ამ ნაწყვეტშია მოცემული.*

*დაწერეთ ესე, რომელშიც განხილულია ჯონ მეინარდ კეინის ეკონომიკური თეორიებისა და მოსაზრებების ზეგავლენა ამ ქვეყნის ამჟამინდელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.*

განვრცობილი პასუხები უფრო მეტ საშუალებას აძლევს ტესტური დავალების ავტორს, გამოავლინოს კანდიდატის თვალსაზრისი, რთული მასალის ცოდნა და, ამასთან, მოვლენათა თანმიმდევრობისა ან ლოგიკური კავშირების დანახვა. ამ სახის ტესტური დავალებების შემთხვევაში, კოგნიტური ოპერაციები, რომლებსაც კანდიდატები იყენებენ ტესტზე პასუხის გაცემისას, შეიძლება დიდად იყოს დამოკიდებული ტესტზე მუშაობის საწყის ეტაპზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო მათი პასუხები ტესტზე მუშაობის საწყის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ინსტრუქციაში, რომ კანდიდატმა უნდა დაგეგმოს თემა და დაწეროს მისი წინასწარი (შავი) ვარიანტი. ამ საქმიანობისათვის ტესტირების პროცესში გარკვეული დრო უნდა გამოიყოს.

გამოყენებული ფორმატი ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ კანდიდატმა არჩევანი უნდა გააკეთოს სხვადასხვა დავალებას შორის. ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა ვერიდოთ ამგვარი ინსტრუქციის გამოყენებას და ყველა კანდიდატს უნდა ვთხოვოთ ერთი და იმავე ამოცანის შესრულება. თუ არჩევანს გვერდს ვერ

აუვლით სასწავლო კურსის დიდი მოცულობისა და სირთულის გამო, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ასარჩევი ვარიანტები (ამოცანები/დავალებები) თითქმის ერთნაირი იყოს კონცეპტუალური სირთულისა და შესრულების სირთულის თვალსაზრისით. ამის უზრუნველყოფა ზოგჯერ შეუძლებელია ამ ვარიანტების წინასწარი ტესტირების გარეშე სავსე პირობებში.

### 3. გადასაჭრელი პრობლემები

ტესტში შეტანილი პრობლემები, ფაქტობრივად, წარმოადგენს კონსტრუირებული პასუხების ქვე-კატეგორიას, მაგრამ ისინი საკმარისად მნიშვნელოვანი და გავრცელებულია, რის გამოც ცალკე უნდა იყოს განხილული. ამ აზრით, ესეც დაწერის მოთხოვნა განვრცობილი პასუხის მქონე ტესტებში პრობლემის ელემენტის შემცველია, განსაკუთრებით მაშინ, თუ კანდიდატს მოეთხოვება დიდი ოდენობის საინფორმაციო მასალის წაკითხვა და ტესტირების პროცესში საკუთარი პასუხის ჩამოყალიბება. მიუხედავად მაგალითის, რომელიც განვრცობილი პასუხების თავშია მოცემული და შევხედოთ მას ამ თვალსაზრისით:

*წაკითხეთ მასალა და მოამზადეთ დაბალანსებული და დეტალური ხასიათის კრიტიკული პასუხი იმ მოსაზრებებზე, რომლებსაც გამოთქვამს სხვადასხვა ავტორი განათლების თაობაზე. თქვენი ნაწერი 600 – 1000 სიტყვას უნდა შეიცავდეს.*

სხვა პრობლემები შეიძლება არ საჭიროებდეს პასუხის გაცემას სიტყვების გამოყენებით და, ამის ნაცვლად, რაოდენობრივი ხასიათის მსჯელობას მოითხოვდეს. ან შესაძლოა, საჭირო იყოს მასალის მანიპულირება, როგორც ეს ხდება ლაბორატორიაში, სემინარზე ან სამხატვრო სტუდიაში ტესტის გამოყენებისას.

მათემატიკური ხასიათის პრობლემები ალბათ პრობლემების ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს. ისინი შეიძლება მოიცავდეს დაწყებითი სკოლის მარტივ მაგალითებს და უფრო რთულ მაგალითებსაც, რომლებზეც მუშაობენ სასკოლო პროგრამის უფრო მაღალ საფეხურზე. ისევე, როგორც პირველ მაგალითში, ისინიც შეიძლება გულისხმობდეს საგნებით მანიპულირებას ამოცანის გადაჭრის გასაადვილებლად.

*ჯონს უფროსმა სთხოვა გასაყიდად ექვსი ქილა გამოეყინა. ჯონმა დადგა თაროზე ექვსი ქილა; ჯერ ჩაამწკრივა სამი სავსე ქილა და შემდეგ სამი ცარიელი. როგორ გამოიყურება ეს ქილები? – იკითხა ჯონმა ლანჩზე გასვლის წინ. უკეთესი იქნებოდა, თუ მონაცვლეობით დადგამდი სავსე და ცარიელ ქილებს – უთხრა უფროსმა.*

ჯონი მშიერია და ძალიან ეჩქარება. სულ ცოტა რამდენ ქილას უნდა შეუცვალოს მან ადვილი, ქილები მონაცვლეობით რომ განლაგდეს თაროზე?

შეხედეთ ოთახის ფოტოსურათს და გეგმას. თქვენ ხედავთ, რომ მისი არც ერთი კუთხე არ არის მართი (ანუ 90 გრადუსი).

მოამზადეთ რაიმე ავეჯის (ჭურჭლის კარადა, მაგიდა და სხვა) ნახაზი, შესაბამისი ზომებით, რომელიც შეეფერება ოთახს და ზუსტად ჩაჯდება მის ერთ-ერთ კუთხეში.

## **თავი 6**

### **ტესტური დაგეგმვის ტიპის შერჩევა ტესტირებისათვის**

როგორც უკვე ითქვა, არჩევანს წინა თავში მოცემული მრავალი ფორმატიდან განსაზღვრავს სწავლის პროცესის ის ნაწილი, რომელზეც მიმართულია ტესტირების პროცედურა. ტესტის ავტორი უნდა ეცადოს, რომ საუკეთესოდ მოარგოს ერთმანეთს სასწავლო მასალის მოცემული სეგმენტი და პოტენციური ინსტრუმენტი, როგორც ეს სპეციფიკაციაშია მოცემული.

ნებისმიერ ფორმატს გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარე, რომლებიც მე-10-ე და მე-11-ე სქემაშია მოცემული. თუმცა, ეს სქემები მხოლოდ ზოგად ასპექტებს გვიჩვენებს. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებების შედგენასთან მრავალი პრობლემა დაკავშირებული. მაგალითად, მცდარი პასუხის ვარიანტები (დამაბნეველი პასუხები) ძნელი ჩამოსაყალიბებელია. ისინი ისე წარმოგვიდგენს მცდარ ინფორმაციას, თითქოსდა ის სწორი ყოფილიყოს და ალბათ კანდიდატის გონებაში მცდარი შეხედულებების აქტივაციას იწვევს. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის ფორმატი არ ითვალისწინებს იმ კანდიდატებს, რომლებიც, განვითარების იმ საფეხურის გამო, რომელზეც ამჟამად იმყოფებიან, ნახევრად სწორ პასუხებს იძლევიან და საკითხის სრულყოფილ გაგებაზე ჯერ არ არიან მისულები. ამ ტიპის პასუხები საერთოდ არ იღებს არანაირ კრედიტს (ქულას). უფრო მეტიც: თუ პროგრამის მიხედვით ტესტირება ეხება კანდიდატის მიერ დავალების შესრულებას ესთეტიკური და აფექტური კრიტერიუმების მიხედვით, კრიტიკულ მსჯელობას ან ღირებულებების შეფასებების უნარს, მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტზე მომუშავე სპეციალისტს გაუჭირდება შესაბამისი ტესტური დავალებების გამოყენებით ყოველივე ამის დამაკმაყოფილებლად ასახვა. ეს ფორმატი არც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ გავითვალისწინოთ ერთზე მეტი პასუხი, ავსახოთ სირთულე მასალისა, რომელსაც ფლობს კანდიდატი, ტესტური დავალებების გადატვირთვის გარეშე.

ყველაზე მთავარი ალბათ ისაა, რომ მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებები „დახურული“ ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ ითვალისწინებს ადამიანის შეხედულებათა მრავალფეროვნებას, რომელიც გვატყობინებს იმას, თუ როგორ ხდება მოვლენათა შეფასება, გაგება და ინტერპრეტაცია. ამ დროს შეირჩევა მხოლოდ სწორი, ერთადერთი სწორი პასუხი. ეს არაფერს აშავებს, როდესაც ობიექტურად არსებობს მხოლოდ ერთი შესაძლო სწორი პასუხი, მაგრამ ზოგჯერ „პასუხის სისწორე“ სუბიექტური რამაა, ტესტის ავტორის სუბიექტური შეხედულებაა, იმ დროს, როდესაც პირს, რომელსაც ტესტირება უტარდება, შეიძლება განსხვავებული, მაგრამ სრულიად

გამართლებული შეხედულება გააჩნდეს. მაგალითად, კრიტიკული ხასიათის მსჯელობისას, ადამიანები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რას მიიჩნევენ მნიშვნელოვანად ან ღირებულად. ეს ნორმალური და გამართლებულია. ჩვენ გვაქვს უფლება, ვიქონიოთ შეხედულებები, რომლებიც თითქოსდა ფაქტებზე და ჩვენ მიერ წაკითხულის ან ნანახის გონიერ ინტერპრეტაციაზე იყოს დაფუძნებული. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებები ვერ ასახავს ამ მრავალფეროვნებას.

ზემოხსენებული პრობლემებიდან მრავალი შეიძლება გადაიჭრას „ღია“ პასუხების ფორმატზე გადასვლით; მაგალითად, ესეც გამოყენებით. მაგრამ ამგვარ ფორმატსაც თავისი პრობლემები უკავშირდება. ეს არის სუბიექტურობა, რომელიც, ამ შემთხვევაში, არ გულისხმობს იმას, რომ კანდიდატი ამზადებს პასუხს და იცავს თავის შეხედულებას. პრობლემა მაშინ ჩნდება, როდესაც ხდება კანდიდატის ნამუშევრის ღირებულების შეფასება. ყოველი შემფასებელი შეფასებისას ხელმძღვანელობს საკუთარი შეხედულებით იმის შესახებ, თუ რომელია სწორი თვალსაზრის საკითხზე, რომლის შესახებაც წერს კანდიდატი - რომელია სწორი რეაქცია მოცემულ თემაზე. ამას ზოგჯერ ძალიან მიკერძოებულ შეფასებასთან მივყავართ.

მაგრამ სანამ ყველა ამ პრობლემისათვის თავის არიდების გამო ტესტირების პროცესს დავიყვანდით უმარტივესი ინტერპრეტაციისა და ზოგადი ხასიათის ცოდნის უბრალო შეფასებაზე, უნდა გვახსოვდეს რომ სავსებით შესაძლებელია ანალიზის, სინთეზისა და მაღალი რიგის უნარებისა და შეფასებების ტესტირება და, როგორც ეს წინა თავშია ნათქვამი, ეს არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ სავალდებულოცაა. უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ამგვარ ამოცანას ვერ გაწვდება მხოლოდ ერთი ფორმატი. ჩვენ შესაძლოა ვერასოდეს გადავჭრათ პასუხის ინტუიციურ მიგნებასთან დაკავშირებული პრობლემა, ანუ ვერასოდეს დავრწმუნდებით იმაში, რომ კანდიდატმა მართლაც იცოდა საკითხი და ინტუიციურად არ მიაგნო სწორ პასუხს, მაგრამ სხვადასხვა ფორმატის გამოყენება ერთი ტესტის ფარგლებში საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ დეტალური სურათი სწავლის პროცესის უამრავი შედეგის შესახებ - ცოდნის, გაგების ხარისხის, უნარებისა და შემოქმედებითი უნარის შესახებაც კი. ყოველთვის არ არის იოლი ამდენად მრავალფეროვანი სურათის მიღება, მაგრამ ეს პრინციპში შესაძლებელია და ამგვარი ძალისხმევის გაწევა ხშირად გამართლებულია.

ზემოთქმული განსაკუთრებით გამოცდებს ეხება. გამოცდის დროს ტესტირება ბევრი სხვადასხვა მიზნით ტარდება და ზოგიერთი მიზანი განსხვავებულ ფორმატს საჭიროებს. ფორმატის სიმრავლე დახმარებას უწევს კანდიდატებს გამოცდის პროცესში, მაგრამ მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ, როგორც ეს მე-10 და მე-11 სქემებიდან ჩანს, ტესტირების ფორმატი შეეფერება ტესტირების ამა თუ იმ მიზანს. მაგალითად, დეტალური ფაქტობრივი ხასიათის ინფორმაციის ტესტირება

ადვილად ხორციელდება ურთიერთმისადაგებისა ან კლასიფიკაციის დავალებების გამოყენებით (მე-10 სქემა), ხოლო კანდიდატის უნარი, შეასრულოს რთული, მაღალი რიგის ოპერაციები, როგორცაა არსებული ცოდნის სინთეზი ან შეფასება, შეიძლება საჭიროებდეს რთული ამოცანების გადაჭრას ან განვრცობილი პასუხის მქონე ტესტის ჩატარებას (მე-11 სქემა).

სქემა 10

იმგვარი ტესტური დავალებების ფორმატის შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც პასუხის შერჩევას მოითხოვს		
ტესტური დავალების ტიპი	უპირატესობა	სისუსტე
ა. სწორი - მცდარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადვილი შესადგენია</li> <li>• ადვილი შესაფასებელია</li> <li>• ადვილია სასწავლო კურსის მრავალფეროვნების ასახვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პასუხის ინტუიტიურად ამოცნობა ძალიან ადვილია (50%)</li> <li>• შემოიფარგლება ცალსახა (ერთი) არჩევანით</li> <li>• ვერ ამოწმებს მაღალი რიგის უნარ - ჩვევებს</li> </ul>
ბ. ტესტური დავალებების ურთიერთმისადაგება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასარგებლოა კავშირებისა და მიმართებების ტესტირებისათვის</li> <li>• ადვილია შეფასება (ქულის მინიჭება)</li> <li>• ადვილია ამ ტიპის ტესტური დავალებების დიდი რაოდენობის შედგენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტრუქტურაზე (თანავარსკვლავედებზე) დამყარებული მიდგომის გამოყენებისას, ტესტური დავალებების დამოუკიდებლობა ვეღარ იქნება დაცული</li> <li>• რთული ინსტრუქციების სიტყვიერი ფორმულირება</li> </ul>
გ. კლასიფიკაციის ტესტური დავალებები	<ul style="list-style-type: none"> <li>• შედარებით ადვილი შესადგენია</li> <li>• ადვილია შეფასება (ქულის მინიჭება)</li> <li>• სასარგებლოა ფაქტობრივი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თუ გვანტერესებს კომპონენტების სტრუქტურის შეფასება, ტესტური დავალებების დამოუკიდებლობა მხოლოდ გარკვეული</li> </ul>

	<p>ხასიათის ინფორმაციის ტესტირებისათვის</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სასარგებლო მარტივი მიმართებების ტესტირებისათვის</li> </ul>	<p>ხარისხით იქნება დაცული</p> <ul style="list-style-type: none"> <li>იფარგლება ფაქტების დახარისხებით</li> <li>იფარგლება ცალსახა ფაქტებით</li> </ul>
<p>დ. მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>მინიმუმზეა დაყვანილი პასუხის ინტუიციური ამოცნობის ალბათობა</li> <li>მრავალფეროვანია – შეგიძლია გამოიყენო მრავალი სახის კოგნიტური პროცესის გასაზომად</li> <li>ამცირებს სუბიექტური შეფასების ალბათობას</li> <li>შედეგების ანალიზს შეუძლია მოგვაწოდოს დიდი ოდენობის დიაგნოსტიკური ხასიათის ინფორმაცია</li> <li>ადვილია ქულების მინიჭება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თითქმის არ ხდება კრეატიული აზროვნების სტიმულირება</li> <li>ძვირადღირებულია და მის შემუშავებაზე დიდი ღრო მიდის</li> <li>ძნელი გასაზომია, თუ როგორაა აზრები სტრუქტურირებული და როგორ ხდება მათი პრეზენტაცია</li> <li>ძნელია მცდარი პასუხის ვარიანტების ფორმულირება</li> <li>ისე წარმოგვიდგენს მცდარ ინფორმაციას, თითქოს ის სწორი იყოს.</li> </ul>

სქემა 11

იმგვარი ტესტური დავალებების ფორმატის შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს		
ტესტური დავალების ტიპი	უპირატესობა	სისუსტე
ა. მოკლე პასუხის მქონე	<ul style="list-style-type: none"> <li>ბრწყინვალედ ახდენს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არ გამოდგება</li> </ul>

<p>ტესტური დავალებები</p>	<p>ფაქტობრივი ცოდნის ტესტირებას</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მინიმუმზე დაჰყავს პასუხის ინტუიციურად ამოცნობის ალბათობა</li> <li>• ადვილი შესადგენია</li> <li>• ადვილი შესამოწმებელია (ქულების მინიჭება)</li> </ul>	<p>როთული ინფორმაციის გასაზომად</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადვილად ხდება შეუსაბამო პასუხის გაცემა</li> </ul>
<p>ბ. შეავსეთ ცარიელი ადგილები – წინადადების დასრულება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადვილია ფაქტობრივი ცოდნის ტესტირება</li> <li>• მინიმუმზე დადის ინტუიციური მიგნების ფაქტორი</li> <li>• ადვილი ჩამოსაყალიბებელია</li> <li>• ადვილი შესასწორებელია (ქულის მინიჭება)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძნელია მაღალი რიგის უნარ-ჩვევების გაზომვა</li> <li>• ადვილად ხდება შეუსაბამო პასუხის გაცემა</li> </ul>
<p>გ. დახურული, მოდიფიცირებული დახურული ტესტური დავალებები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადვილი შესადგენია</li> <li>• კარგად ზომავს სიტყვების ცოდნას</li> <li>• ამოწმებს ნაწყვეტის გაგების უნარს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკავშირდება ზოგიერთი ბუნდოვანი მომენტი, რომელიც როთული გასარკვევია</li> <li>• არჩევანის მრავალ შესაძლებლობას მცირე ღირებულება გააჩნია</li> <li>• ხშირად ინტუიციურ მიგნებაზე ოდნავ მეტ ძალისხმევას საჭიროებს</li> </ul>

<p>დ. განვრცობილი პასუხი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იძლევა მაღალი რიგის უნარ-ჩვევების შემოწმების საშუალებას</li> <li>• შედარებით ადვილი შესადგენია</li> <li>• ხელს უწყობს კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებას ისევე, როგორც დასწავლილი პასუხების აქტივაციას</li> <li>• შეუძლია გაზომოს დასწავლა აფექტურ სფეროში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხანდახან ასეთი ფორმატის გამოყენებისას ხდება ნასწავლი მასალის არასაკმარის შერჩევა</li> <li>• შეფასება (ქულის მინიჭება) დიდ დროს მოითხოვს და ძვირად ღირებულია</li> <li>• სხვადასხვა შემფასებლების მიერ წარმოებული შეფასებები არ ეთანხმება ერთმანეთს</li> </ul>
<p>ე. პრობლემის გადაჭრა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლებელია მაღალი რიგის უნარ-ჩვევების შეფასება</li> <li>• შესაძლებელია დასწავლის რთული პროცესების შედეგების გაზომვა</li> <li>• შედარებით ადვილი შესადგენია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასება (ქულების მინიჭება) დიდ დროს მოითხოვს</li> <li>• ზოგჯერ ძნელია შეფასების სტაბილური კრიტერიუმების დადგენა</li> </ul>

## თავი 7

### ტესტური დავალების შედგენა, როგორც შემოქმედებითი აქტი

მოცემული დოკუმენტის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ ტესტური დავალების შედგენა შემოქმედებითი პროცესია. ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ სპეციფიკაციები, გავითვალისწინეთ სასწავლო პროგრამა და მისი შედეგები, მიმოვიხილეთ სხვადასხვა ტიპის ფორმატი და ვისაუბრეთ მის შერჩევაზე. ახლა შეგვიძლია დავიწყოთ საუბარი შემოქმედებითი პროცესის შესახებ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საჭიროა მუდმივად გვანსოვდეს სამი ძირითადი განსხვავება, რომელთა დაცვა ნამდვილად ოქროს წესს წარმოადგენს. განსხვავება ეხება შემდეგ პარამეტრებს:

- მარტივი გაგება და მაღალი დონის ინტერპრეტაცია;
- “ღია” და დახურული” ტესტური დავალება;
- ფაქტობრივი ცოდნა და მსჯელობა, რომელიც დასკვნის გამოტანას გულისხმობს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ განსხვავებებს, რომელთაც პირველი და უკანასკნელი პუნქტი მიუთითებს.

ზემოთქმულის გათვალისწინება დაგვეხმარება ტესტის ხარისხის გაუმჯობესებაში, დაგვეხმარება იმაში, რომ შევიძუშაოთ ისეთი ტესტური დავალებები, რომლებიც ფაქტების ცოდნასა და მათს მარტივ გაგებას კი არ ზომავს, არამედ ზომავს მაღალი რიგის უნარ-ჩვევებს, რომელთაც შეიმუშავებენ მოსწავლეები სწავლის პროცესში.

ნებისმიერი ტესტი შეიცავს ისეთ ტესტურ დავალებას, რომელიც ფაქტების ცოდნაზე და მარტივი კავშირების გაგებაზეა დაფუძნებული. ასეთი დავალებები ეხმარება მოსწავლეებს ტესტის ჩაბარებაში. მაგრამ, უნდა გვანსოვდეს, რომ ისინი ხშირად მხოლოდ მარტივ კოგნიტურ დამუშავებას მოითხოვს, ანუ იმ ფაქტების მოძიებას, რომელთა ამოღება იოლად ხდება სტიმულის სახით მიწოდებული მასალიდან. პასუხის გაცემის პროცესი გაადვილებულია, რადგან მხოლოდ ერთი პასუხია „სწორი“. თუ ტესტური დავალება არ გასცდება ამ დონეს, ჩვენ გამოგვრჩება ძალიან მნიშვნელოვანი რამ: ის, რომ სწავლა ყოველივე ამაზე ბევრად მეტს ნიშნავს.

გარდა ამისა, ჩვენ კანდიდატებისაგან იმას მოველით, რომ მათ შეუძლიათ „ფარული, ნაგულისხმევი“ ინფორმაციის ამოკითხვა, ანუ მათ უნდა შეეძლოთ:

- დასკვნის გამოტანა მოვლენებსა და ფაქტებს შორის ნაგულისხმევი ან ლოგიკური კავშირებიდან;
- გაგება იმისა, თუ რა არის ნაგულისხმევი ან რა დაშვებებზეა დამყარებული მსჯელობა. ყოველივე ეს შეიძლება არც იყოს სიტყვიერად მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი გათვალისწინება ნამდვილად მნიშვნელოვანია;
- მათ უნდა შეეძლოთ საკუთარი აზრისა და შეფასებითი ხასიათის კრიტიკული პოზიციის გაანალიზება, შეჯამება და ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოთქმულს შეგვიძლია „ინტერპრეტაცია“ ვუწოდოთ. მასალა-სტიმული ნაბეჭდი სახითაა მოცემული. კანდიდატს უყალიბდება მისი თავისებური

ინტერპრეტაცია, რაც ჩანს უფრო „ღია“ დავალებაზე პასუხის გაცემისას. აქ არ შეიძლება იყოს ერთი სწორი პასუხი - სხვადასხვა პოზიციიდან, სხვადასხვა თვალსაზრისიდან გამომდინარე მრავალი პასუხი იმსახურებს სრულ კრედიტს.

ოქროს წესი, რომელსაც უნდა მისდიოს ტესტის ავტორმა, ასეთია: *ერიდეთ ხრიკებსა და ბანალურობას*

ტესტის ავტორები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ცდილობდნენ კანდიდატის „გამოჭერას“. მათი პროფესიონალიზმი ისაა, რომ იმის გარკვევის ნაცვლად, თუ რა არ იციან კანდიდატებმა, უნდა ეცადონ იმის გარკვევას, თუ რა იციან მათ. ხრიკების შემცველი კითხვები უნდა ამოვყაროთ ნებისმიერი ტესტიდან. ჩვენი მცდელობა ყოველთვის იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ ნებისმიერ მოსწავლეს, რომელსაც გავლილი აქვს მოცემული კურსი (კურსი, რომლის ტესტირებაც ხდება) ან რომელსაც შემუშავებული აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები, ჰქონდეს საკმარის შანსი იმისა, რომ კარგად შეასრულოს ტესტური დავალება. აუცილებლად შეარჩიეთ ისეთი მასალა და დავალებები, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან შეცდომებზე ან უუნარობაზე - გაიგო მნიშვნელოვანი მასალა. ეს ის შეცდომებია, რომელთაც, თქვენი დაკვირვებით, ჩვეულებრივ, უშვებენ მოსწავლეები. ან კიდევ მასალა ან ტესტური დავალება შეიძლება მიმართული იყოს ყველა კანდიდატისათვის საერთო სირთულეებზე ან მნიშვნელოვან სირთულეებზე და არა უბრალოდ ბუნდოვან ინტერპრეტაციაზე, რომელსაც თქვენ უბიძგეთ ნაკლებად ყურადღებიანი კანდიდატების „გამოჭერის“ მიზნით.

ერიდეთ ბანალური კითხვების დასმას. ტესტის შესრულებისას ჩვენ ძლივს გვყოფნის დრო კურსის გავლისას ნასწავლი ცნებების, მნიშვნელოვანი ფაქტებისა თუ მათი გაგებისა და გაცნობიერების ტესტირებისათვის, რის გამოც დროის ფლანგვა უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი ან შეუსაბამო საკითხების ტესტირებაზე უაზრობაა. ეს, სხვასთან ერთად, ეხება დამაბნეველი კითხვების (მცდარი პასუხის ვარიანტების) გამოყენებასაც მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტებში. ნუ კარგავთ დროს მცდარი პასუხის ისეთი ვარიანტების მოძადაებაზე, რომლებსაც ნებისმიერი კანდიდატი ტრივიალურად მიიჩნევს, და, შესაბამისად, უგულვებელყოფს მას.

გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც მუდმივად უნდა ახსოვდეს ტესტური დავალების ავტორს. ეს საკითხები მე-12 სქემაშია დაჯამებული.

მე-12 სქემის ბოლო ორი პუნქტი დაგვეხმარება ტესტური დავალების ავტორის სუბიექტურობის გამორიცხვაში. ტესტირებას დაქვემდებარებული პროგრამის განხილვა მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ შესაძლოა ძალიან ვიწრო ან მცდარ

თვალსაზრისს გამოხატავდეს მაშინაც კი, როდესაც ტესტის ავტორი გამოცდილი და აღიარებული ექსპერტია. როდესაც ტესტის შემუშავება სასკოლო პროგრამაზე დაყრდნობით ხდება, ხშირად შეუძლებელია ერთ ავტორზე მეტის ჩართვა, რადგან შეიძლება მხოლოდ ერთი ადამიანი იცნობდეს მოცემულ კურსს. სხვა შემთხვევაში ამის გაკეთება ხშირად შესაძლებელია და რამდენიმე ადამიანის ავტორობა ნამდვილად სასარგებლოა.

თუ მივიჩნევთ, რომ ჩვენ ყველა საჭირო პირობა დავიცავით, შევქმენით ტესტზე მომუშავე სპეციალისტების ჯგუფი, შევიტანეთ გარკვეულობა პროგრამაში და შევჯერდით იმაზე, თუ რომელი ფორმატი გამოვიყენოთ, შემდეგი საფეხური ტესტური მასალის შედგენა და მისი გადასინჯვა იქნება. მაგალითისათვის, დავაკვირდეთ იმ ადამიანის მუშაობას, რომელიც ტესტური მასალის შედგენითა დაკავებული და რომელიც ამისათვის ერთ კონკრეტულ, ალბათ ურთულეს, ფორმატს იყენებს - მრავლობითი არჩევანის შემცველ ფორმატს.

## სქემა 12

ტესტური დავალების შედგენის პრინციპები და პროცედურები

- ნუ უგულებელყოფთ სპეციფიკაციას. გამოიყენეთ ის ტესტური დავალების შედგენის მთელი პროცესის განმავლობაში.
- დაუთმეთ მაქსიმალური დრო მოცემულ საქმიანობას.
- ფორმატის შერჩევის შემდეგ, შეარჩიეთ მასალა და დაუთმეთ დრო მასზე ფიქრს. გაეცანით მის მთავარ და მეორეხარისხოვან მხარეებს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შემუშავდეს კარგი ტესტური დავალები და მცდარი პასუხის ვარიანტები.
- ტესტის შემუშავების პარალელურად, დაადგინეთ შეფასების (ქულის მინიჭების) პროცედურები და განსაზღვრეთ შეფასების კრიტერიუმები.
- ტესტზე მუშაობის პროცესში (მასალის შერჩევა, ტესტური დავალებების განხილვა და რედაქტირება) გამოიყენეთ რამდენიმე პროფესიონალი. ეს შეიძლება იყოს სხვა მასწავლებლები, რომლებიც შესაძლოა ჩაერთვებიან მოცემულ სასწავლო კურსში ან რომლებიც გამოიყენებენ ტესტის შედეგებს.
- თუ შესაძლებელია, რამდენიმე ადამიანს მიაღებინეთ მონაწილეობა ტესტური დავალებების შედგენაში და ტესტის საბოლოო ვარიანტში გამოიყენეთ მათ მიერ შედგენილი ტესტური დავალებები (ანუ გამოიყენეთ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ტესტური დავალებები).

## სქემა 13.

მრავლობითი არჩევანის შემცველი ფორმატის ტესტურ დავალებათა შედგენის პროცესი

1. უპირველეს ყოვლისა, მოძებნეთ ინფორმაციული ხასიათის სტიმული - მასალა, რომელიც კავშირშია სასწავლო კურსთან ანუ ტესტის მიზნებთან. იშვიათ შემთხვევაში, ტესტურ დავალებაზე მომუშავეთ შესაძლოა თავად მოუწიოთ მასალის შედგენა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ამგვარი მასალა მზა სახით არსებობს და მისი ამოღება შესაძლებელია წიგნებიდან, ჟურნალებიდან და სხვა წყაროებიდან. აღნუსხეთ, სად მოიძიეთ მოცემული მასალა.
2. ყოველი თემის გარშემო მოიპოვეთ სხვადასხვა სახის მასალა (სტიმული). ეს შეიძლება იყოს ნაწერი, სურათი, გრაფიკული გამოსახულება, ცხრილი. მულტივად გახსოვდეთ, რა ტიპის ადამიანებს მოუწევთ ტესტზე პასუხის გაცემა.
3. მიიღეთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, პროგრამის მოცემული ნაწილის ტესტირებისათვის მასალის (სტიმულის) დამოუკიდებელი ერთეული იქნება საჭირო, თუ რამდენიმე ერთეულის კომბინაცია, რადგანაც, მეორე შემთხვევაში, ხდება სხვადასხვა მასალის შესაძლებლობების გაერთიანება, რაც ტესტის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.
4. შეარჩიეთ დამატებითი მასალა (სტიმული), რომელსაც გამოიყენებთ იმ შემთხვევაში, თუ არსებული მასალა იმდენად კარგი არ გამოდგა, როგორც ეს თავიდან ჩანდა.
5. რამდენჯერმე გადაიკითხეთ მასალა და გააკეთეთ მოკლე, ერთპლკარიანი ჩანაწერები იმ პუნქტების შესახებ, რომლებიც, როგორც მასალის წაკითხვისას ირკვევა, ტესტირებას ექვემდებარება.
6. თუ მასალის ზოგიერთი ნაწილი არ შეიცავს ტესტირებისათვის შესაფერის მონაკვეთებს, მაშინ იფიქრეთ იმაზე, რომ „დაჩეხოთ“ მასალა, რათა ამოიღოთ ზედმეტი ნაწილები. მაგრამ ნუ დააქუცმაცებთ მას, რათა არ დაუკარგოთ მნიშვნელობა.
7. როდესაც იგრძნობთ, რომ მოცემული მასალა და მისი შესაძლებლობები მთლიანად არის ამოწურული, ერთპლკარიანი ჩანაწერები, რომლებიც პუნქტ 5-შია ნახსენები, ჩამოაყალიბეთ ცალკეული ტესტური დავალების „ღერძის/ბირთვის“ მონახაზის სახით.
8. დაწერეთ ისინი თითოეული ფურცლისა ან ბარათის თავზე (ერთი ბარათი ან ფურცელი თითოეული ტესტური დავალებისათვის) და მათ ქვეშ მიუწერეთ მცდარი პასუხის შესაძლო ვარიანტების წინასწარი მონახაზი. ჩანაწერები გააკეთეთ ფანქრით.
9. არ არის აუცილებელი დაასრულოთ რომელიმე ერთ ტესტურ დავალებაზე მუშაობა (ანუ შეადგინოთ შესაბამისი „ღერძი/ბირთვი“ და მცდარი პასუხის ვარიანტები), იმისათვის რომ შემდეგ ტესტურ დავალებაზე გადახვიდეთ. იდეები სხვადასხვა დროს მოგვლის თავში (ხანდახან სრულიად

მოუხერხებელ დროს), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტესტური დავალების შემუშავებისათვის საკმარის დროა გამოყოფილი.

10. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბებულია ტესტური დავალების მონახაზი, დაწერეთ მის ქვეშ შავი ვარიანტი შესაბამის ფორმატში. თუ თქვენ ფურცლებს იყენებთ, ტესტური დავალებების წინასწარი ვარიანტების ჩამოწერა ნებისმიერი თანმიმდევრობითაა შესაძლებელი. ზოგიერთი მათგანი შეიძლება დროებით დაუსრულებელიც კი დატოვოთ, თუ თქვენ ვერ მოიფიქრეთ მცდარი პასუხის შესაბამე ან მეოთხე ვარიანტი. იმუშავეთ მხოლოდ ფანქრით.
11. თავი მოუყარეთ ყველა ფურცელსა თუ ბარათს და დაალაგეთ ისინი სირთულის მიხედვით – ყველაზე ადვილიდან ყველაზე რთულისაკენ, თუმცა ხანდახან სხვა წესითაც გვიწევს მოქმედება. მოათავსეთ მასალა (სტიმული) ფურცლების ან ბარათების თავზე და ამობეჭდეთ მთელი ეს მასალა იმ თანმიმდევრობით, როგორითაც ის არის დალაგებული.

მე-13 სექციაში შეჯამებულია უზომოდ რთული პროცესი, რის გამოც ის დამატებით ინტერპრეტაციას საჭიროებს.

I პუნქტში ხაზი უნდა გაუვსვთ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მნიშვნელობას ანუ უნდა აღინიშნოს, თუ სად არის მოპოვებული მასალა. ეს ინფორმაცია გამოგვადგება მაშინ, როდესაც დაგეჭვრდება ნებართვა მისი ხელახალი გამოქვეყნებისას, ხოლო ასეთი დეტალები ხშირად გვაავიწყდება ხოლმე.

მე-2 პუნქტში გათვალისწინებულია ის, თუ რამდენად მისაღებია მასალა იმ პირებისათვის, რომელთაც ჩაუტარდებათ ტესტირება. მოეწონებათ ის გოგონებსა და ბიჭუნებს? ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლებს? არსებობს ადამიანთა ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც ვერ გაიგებენ მასალას ენობრივი ბარიერის გამო (გაუგებარი ენა ან დიალექტი) ან ხომ არ არის მასალა დატვირთული იმგვარი ემოციებით (მინიშნება სიკვდილზე ან რაიმე უბედურებაზე), რომელნიც არამომგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს ზოგიერთ კანდიდატს?

მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გაჩნდება შემდეგი კითხვა: „რით არის ეს მასალა მოსაწონი? რას ისწავლიან კანდიდატები მოცემული მასალის წაკითხვით ან მოცემული სურათის დათვალიერებით?“. ეს თქვენ მიგახვედრებთ, თუ რის გამო მუშაობს ესა თუ ის სტიმული. გარდა ამისა, თქვენ დაინახავთ მოცემული მასალის ძირითად მნიშვნელობას და იმ დეტალებს, რომლებიც გამოგადგებათ ტესტური დავალებისა და მცდარი პასუხის ვარიანტების შედგენაში.

პუნქტი 7 მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ორი რამ: ცოდნა, რომელიც თან მოაქვს კანდიდატს, არ უნდა წარმოადგენდეს მასალის (სტიმულის) ალტერნატივას ან მის ჩამნაცვლებელს. მიზანი ისაა, რომ

კანდიდატმა ვერ შეძლოს ტესტური დავალების შეასრულება სტიმულის წაკითხვის გარეშე. მსგავსად ამისა, მან უნდა გაიგოს პრობლემა „ღერძიდან/ბირთვიდან“ გამომდინარე და არ უნდა დაუწყოს პასუხს ძებნა იქამდე, სანამ გაარკვევდეს, თუ რას ენება ესა თუ ის კითხვა.

თუ ტექსტის შედარებით გრძელ ნაწყვეტს იყენებთ ფურცელზე ან ბარათზე ტესტური დავალების მონახაზის დაწერისას (პუნქტი 8) ალბათ მოგიწევთ ბარათზე ერთბაშად ჩანაწერების დაფიქსირება, რაც პასუხის ვარიანტების წინასწარი მონახაზების ტექსტის ნაწყვეტთან ხელახალ „მიბმაში“ დაგეხმარებათ. გაითვალისწინეთ, იმავეს გაკეთება საბოლოო ტესტშიც თუ მოგიწევთ. ძალიან ხშირად ისინი, ვინც ტესტირებას გადიან, ცდილობენ გაარკვიონ, არის თუ არა მასალაში (სტიმულში) მოცემული ის, რაც ტესტურ დავალებაშია ნახსენები. ეს ქმნის ხელოვნურ სირთულეს, რომელსაც შეგიძლიათ კანდიდატები ააცილოთ და დააზოგინოთ მათ ეგ ზომ ძვირად ღირებული დრო.

იქამდე, სანამ საბოლოოდ ააწყობდეთ ტესტური დავალებების წინასწარ ვარიანტებს (პუნქტი 11), თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ თქვენ მიერ შედგენილი დავალებების შინაარსი და ხარისხი. თქვენ ალბათ მიაქცევთ ყურადღებას აღმოცენებულ სირთულეებს, იმას, საკმარისად მრავალფეროვანია თუ არა კითხვები, ზედმეტად ბევრი კონკრეტული კითხვა ხომ არ ენება მხოლოდ ლექსიკას, კარგად თუ არის წარმოდგენილი დასკვნითი ხასიათის მსჯელობა; თუ ნაწყვეტში გადმოცემული განწყობილება მნიშვნელობის მქონეა, არის ის ასახული თქვენ მიერ შედგენილ ტესტურ დავალებაში? ყოველივე ამის გათვალისწინება დაგეხმარებათ, დაალაგოთ სწორი თანმიმდევრობით ის მასალა, რომელსაც ექსპერტთა პანელის შეხვედრაზე წარადგენთ. ეს შეხვედრა პროცედურის შემდეგ საფეხურს წარმოადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილია იმ პროცესის მაგალითი, რომელიც მე-13 სქემაშია აღწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამოსავალი დაშვება ყოველთვის ასეთია: ერთ ნაწყვეტს უკავშირდება ტესტური დავალებების წყება და არა მხოლოდ ერთი ტესტური დავალება. ერთმანეთისაგან გამოცალკევებული დავალებების გამოყენება მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტში არაეკონომიურია დროისა და ფართობის თვალსაზრისით და კანდიდატებისგან ძალიან ინტენსიურ გონებრივ ვარჯიშს მოითხოვს. გარდა ამისა, ისინი ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ სწავლის პროცესი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სეგმენტებისაგან შედგება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ნამდვილად არ გვინდა, რომ მოსწავლეებმა ასეთი შთაბეჭდილებით დატოვონ საგამოცდო ოთახი.

**მასალა (სტიმული). საფეხურები 1-3**

*ნაწყვეტი*

მრავლობითი არჩევანის ფორმატის მქონე ტესტური დავალების შედგენა, საზოგადოდ, რთული ხელოვნებაა, მაგრამ რაოდენ ხშირად ხდება ისე, რომ ჩვენ ამ საქმეს კიდევ უფრო ვართულებთ, ვიდრე ის ამას იმსახურებს! ჩვენ ვიწყებთ მუშაობას იმ განწყობით, რომ ეს საქმე ადვილი გასაკეთებელია და სწრაფად გავდივართ ბოლოში იმის გათვალისწინების გარეშე, რაც მუდმივად უნდა გვახსოვდეს. პროცესის აჩქარება არაფერში გვეხმარება - ტესტური მასალა მზა სახით არ დაგდება ფურცელზე. ჩვენ გვიწევს ფიქრი, მასალის განხილვა, გარკვევა იმისა, თუ რის კითხვა გვინდა და რა კითხვების დასმის საშუალებას იძლევა თავად მასალა. ტესტური დავალების ნაჩქარევად ჩამოყალიბება დროის ფლანგვაა. ჩვენ ამას გარეშე პირებისათვის მისი ჩვენებისას აღმოვაჩინოთ, როდესაც ვხედავთ მათ ასეთ რეაქციას: „ბანალურია!“ ან „შეცდომებს შეიცავს!“.

## ერთბწყარიანი ჩანაწერი – საფეხური 5

ძირითადი საკითხი

## მონახაზი ღერძის/ბირთვის ფორმულირებისთვის – საფეხური 7

რომელია ამ ნაწყვეტში ძირითადი საკითხი?

## მცდარი პასუხის ვარიანტების მონახაზი – საფეხური 8

- ამ საქმის სირთულე;
- დრო;
- ლოგიკური თანმიმდევრობა;
- მცდარი პასუხის დამაჯერებელი ვარიანტები;
- კარგი კრიტიკოსის მოძიება;
- ბანალურობის თავიდან აცილება.

## ღერძის/ბირთვის წინასწარი ვერსია და მცდარი პასუხის შესწორებული ვარიანტები – საფეხური 9

1. რომელია ამ ნაწყვეტში ძირითადი საკითხი?

- ა საჭირო დრო;
- ბ ტესტური დავალებების შედგენის ლოგიკური თანმიმდევრობა;
- გ მცდარი პასუხის დამაჯერებელი ვარიანტები ძნელი მოსაძებნია;
- დ კარგი კრიტიკოსის მოძიება ტესტური დავალების განსახილველად;
- ე მცდარი პასუხის საკმარის რაოდენობის ვარიანტების მოძებნა;
- ვ ბანალური კითხვებისათვის თავის არიდება;
- ზ ტესტური დავალების დაწერის სირთულე.

აგრეთვე შესაძლებელია უარყოფითი სახის ტესტური დავალების შედგენა იგივე მასალის გამოყენებით. ეს იმისათვის კეთდება, რომ ხაზი გავუსვათ ნაწყვეტში გამოხატული მოსზრებების სირთულესა და მრავალფეროვნებას. თუმცა, უარყოფითი სახის ტესტური დავალების შედგენა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც ამას ტესტირება მოითხოვს.

**უარყოფითი ფორმით გამოხატული ღერძის/ბირთვის წინასწარი ვერსია და მცდარი პასუხის შესწორებული ვარიანტები - საფეხური 10**

1. ტესტური დავალების შედგენის რომელი ასპექტები არ არის გათვალისწინებული ნაწყვეტში?

- ა საჭირო დრო;
- ბ ტესტური დავალებების შედგენის ლოგიკური თანმიმდევრობა;
- გ მცდარი პასუხის დამაჯერებელი ვარიანტები ძნელი მოსაძებნია;
- დ კარგი კრიტიკოსის მოძიება ტესტური დავალებების განსახილველად;
- ე მცდარი პასუხის საკმარის რაოდენობის ვარიანტების მოძებნა
- ვ ბანალური კითხვებისათვის თავის არიდება;
- ზ ტესტური დავალების დაწერის სირთულე.

მასალისადმი (სტიმულისადმი) ამგვარი უარყოფითი მიდგომის ღირებულებაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მოსწავლეებს აშკარად უფრო მეტად უჭირთ მათი შესრულება, ვიდრე პოზიტიური სახით გამოხატული ამოცანებისა. უარყოფითი სახით ფორმულირებული დავალებებისათვის თავის არიდება მხოლოდ ზოგჯერ არის შეუძლებელი. ასეთი ფორმულირებული დავალებების პასუხის არც ერთი ვარიანტი არ უნდა შეიცავდეს დამატებით, ორმაგ უარყოფას.

ტესტური დავალებების შედგენისას შერჩეული მასალის შესაბამისად, შეიძლება გამოჩნდეს სხვა საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც ხდება საჭირო. ქვემოთ მოყვანილ რეზიუმეში მოცემული ჩამონათვალიდან ზოგიერთი პუნქტი ადრე იყო ნახსენები, ზოგი კი პირველად გვხვდება:

- ზედმეტად გრძელი ხომ არ არის ნაწყვეტი შედგენილი ტესტური დავალებების თვალსაზრისით?
- შეიცავს ნაწყვეტი ისეთ სიტყვებს, რომლებიც ძნელი გასაგებია კანდიდატებისათვის?
- ნათლად არის ჩამოყალიბებული შეკითხვის ღერძი/ბირთვი?
- ტესტური დავალებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, თუ მე-4 პუნქტზე პასუხი სხვა ტესტურ დავალებაზე გაცემულ სწორი პასუხებზე იქნება დამოკიდებული?

- ტესტური დავალებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, თუ მე-10 ტესტური დავალების მცდარი პასუხის ვარიანტები განაპირობებს მე-2 პუნქტზე პასუხის გაცემას?
- არის მცდარი პასუხის მოცემული ვარიანტი ბუნდოვანი?
- არის თუ არა მცდარი პასუხის ყველა ვარიანტი დაწერილი გრამატიკისა და სინტაქსის ერთი და იმავე წესების დაცვით?
- რამდენად დამაჯერებელია მცდარი პასუხის ეს ვარიანტები?
- მოცემული ტესტური დავალების მცდარი პასუხის ყველა ვარიანტი მიუთითებს უშუალოდ ღერძს/ბირთვს, თუ ზოგი მათგანი ღერძისგან/ბირთვისგანაა მოწყვეტილი?

ალბათ ისიც გასათვალისწინებელია, მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტურ დავალებებში რამდენი შესაძლო პასუხი (ოთხი თუ ხუთი) გვექნება საბოლოო ტესტში? ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტები განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამენ. პასუხის ხუთი ვარიანტი ამცირებს სწორი პასუხის ინტუიციურად მიგნების ალბათობას, მაგრამ ვარიანტების დიდი რაოდენობა საქმეს ურთულესს კანდიდატსაც და ტესტებზე მომუშავე სპეციალისტსაც. მოცემული ნაშრომის ავტორს მიაჩნია, რომ პასუხის ოთხი ვარიანტის გამოყენება სრულიად საკმარისია. ამგვარად, ტესტში გვექნება დიდი რაოდენობის დახვეწილი, მკაფიო ტესტური დავალებები, მეხუთე – ნაწვალები და ირელევანტური მცდარი პასუხის გარეშე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც განიხილავს თქვენ მიერ შედგენილ ტესტს, მიაწოდეთ პასუხების ხუთი (ექვსი ან შვიდი) წინასწარი ვარიანტი.

აი, კიდევ ორი რჩევა, რომელიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: ხმამაღლა წაიკითხეთ ტესტური დავალებები, თითქოსდა ის მოსწავლე ხართ, რომელმაც უნდა უპასუხოს ტესტს და ყოველ ჯერზე იფიქრეთ, როგორ უპასუხებდა ის მას. ეს დაგეხმარებათ, უცხო თვალთ შეხედოთ მასალას, რომელზე მუშაობისას ბევრი ოფლი დაღვარეთ. მეორე რჩევა ის არის, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ნუ გაეკარებით ტესტურ დავალებას, რადგან შემდეგ მას უფრო საღი თვალთ შეხედავთ.

მაგრამ იმისათვის, რომ ყველა პრობლემა საბოლოოდ გადავჭრათ, გვჭირდება ისეთი ვინმე, ვინც ტესტურ დავალებებს კრიტიკულად განიხილავს. ამას გარდა, ჩვენ გვჭირდება სტუდენტებიც, რომელთაც ჩაუტარდებათ ტესტირება. აქედან იწყება ტესტური დავალების შემუშავების შემდეგი საფეხური.

**თავი 8**  
**კანელისათვის (ექსპერტთა ჯგუფისათვის)**  
**ტესტური დავალებების წარდგენა**  
**და მათი მოდერაცია**

ტესტური დავალებების კრიტიკული განხილვა არსებითი მნიშვნელობის მქონეა. ამ ეტაპზე ხდება ტესტის წინასწარი ვარიანტის ექსპერტთა ჯგუფისადმი (პანელისადმი) წარდგენა და მისი მოდერაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერტთა შეხვედრაზე, ტესტის ავტორის შედარებით რადიკალური ვერსია უფრო ზომიერი ხდება სხვადასხვა პოზიციიდან მისი განხილვის მეშვეობით.

თუმცა ყველა არ იზიარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად უნდა მივაწოდოთ იმაზე მეტი, რაც მინიმალური მოთხოვნითაა გათვალისწინებული – უფრო მეტი ტესტური დავალება და მცდარი პასუხების უფრო მეტი ვარიანტი თითოეული ტესტური დავალებისათვის. მაგრამ ტესტური დავალებები მაქსიმალურად დახვეწილი სახით უნდა იყოს ფორმულირებული იქამდე, სანამ მოხდება მათი გამრავლება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებისათვის წარდგენა.

ანუ, ტესტური დავალებები უნდა იყოს:

- მაქსიმალურად კარგად დამუშავებული, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში;
- ისინი უნდა იყოს წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით და არა ხელნაწერის სახით;
- დანომრილი და გარკვეული პრინციპით დალაგებული და არა დალაგებული შემთხვევითი წესით;
- მათ უნდა თან ახლდეს მასალა, რომელიც სტიმულის სახით გამოიყენება;
- ნებისმიერი მითითება სტრიქონზე (ბწკარზე) ნათლად უნდა იყოს აღნიშნული ნაწყვეტში და ტესტურ დავალებებში;
- ტესტის დიზაინი სტანდარტული ფორმით უნდა იყოს შესრულებული. მრავლობითი არჩევანის ტესტების დავალების სტანდარტული დიზაინი ქვემოთაა მოტანილი:

სქემა 14

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების დავალების სტანდარტული დიზაინი	
ტესტური დავალების ნომერი მუქი შრიფტით და ლერძი/ბირთვი	23 რამდენი კაცია ჯგუფში?

<p>დახრილი ასოებით.</p> <p>შესაძლო პასუხების აღმნიშვნელი ასოები მუქი შრიფტით; თავად შესაძლო პასუხები - დახრილი ასოებით.</p>	<p>ა ათზე ნაკლები</p> <p>ბ ათსა და ოცს შორის</p> <p>გ ოცზე მეტი</p> <p>დ ნაწყვეტი არ შეიცავს შესაბამის ინფორმაციას.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ნებისმიერ პასუხს, რომელიც დასრულებულ წინადადებას წარმოადგენს, მოსდევს წერტილი ან ინტერვალი, როგორც ეს “დ” - ს შემთხვევაში ხდება.</li> <li>• შესაძლო პასუხების წინ დაწერილ ასოებს არ მოსდევს წერტილი და მათ არ ათავსებენ ფრჩხილებში.</li> <li>• თუ ღერძში/ბირთვში გამოიყენება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, როგორცაა არ ან გარდა, ის უნდა დაიბეჭდოს მუქი შრიფტით.</li> </ul>	

ექსპერტებს წინასწარ არ უნდა შევატყობინოთ ტესტის შემდგენლის მიერ შემოთავაზებული სწორი პასუხი. მათი მიზანია, ისე იმუშაონ ტესტურ დავალებებზე, თითქოსდა ისინი თავად ავსებდნენ ტესტს და თავად უნდა მოიძიონ სწორი პასუხი. მაგრამ, ტესტის ასლზე, რომელსაც ექსპერტებს გადასცემთ და რომელსაც ისინი იყენებენ შეხვედრის დროს, უნდა იყოს მოცემული ტესტის „გასაღები” ანუ სწორი პასუხები, რადგან თუ გაცხარებული მსჯელობის პროცესში ტესტის შემდგენელს დაავიწყდება სწორი პასუხი, ეს ექსპერტებს მუშაობაში შეუშლის ხელს.

ექსპერტთა რაოდენობა და მათი შერჩევა დამოკიდებული იქნება არსებულ ვითარებასა და რესურსებზე. თუკი ეს შესაძლებელია, ექსპერტებმა უნდა მიიღონ ფულადი ანაზღაურება. აღსანიშნავია კონფიდენციალობის შენარჩუნების აუცილებლობა. ჯგუფში უნდა იყოს თავმჯდომარე (არა ის პირი, რომლის მიერაც დაწერილ ტესტს განიხილავენ შეხვედრაზე; მას ისედაც ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი), რომელიც, ამავე დროს, შეიძლება კოორდინაციას უწევდეს შეხვედრამდე ბევრად ადრე მასალის დარიგებას. ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებს ირჩევენ იმისდა მიხედვით, თუ ვის რა ცოდნა აქვს, რამდენად მრავალფეროვანია მათი თვალსაზრისები, რომლითაც მათ შეუძლიათ საკუთარი წვლილის შეტანა ტესტის დახვეწაში. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფში უნდა შედიოდნენ ის ექსპერტებიც, რომლებიც იქნებიან ტესტის შედეგების საბოლოო მომხმარებლები. სადაც კი ეს შესაძლებელია, უნდა დავიცვათ გენდერული ბალანსი. ტესტური დავალების თითოეული ავტორი, რომლის ნამუშევარსაც განიხილავს ექსპერტთა ჯგუფი, განხილვის პროცესში მდივნის ფუნქციას ასრულებს.

ექსპერტთა შეხვედრის ჩატარება უფრო რთულია, ვიდრეს ეს ერთი შეხედვით ჩანს. შეხვედრამდე და შეხვედრის განმავლობაში უნდა დავიცვათ კონფიდენციალობა. ზოგიერთი პროგრამის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის წევრებს უწევთ ხელის მოწერა შესაბამის იურიდიულ დოკუმენტზე, რის შედეგადაც კონტროლი წესდება აღებული ვალდებულების შესრულებაზე. თავად სხდომაზე დრო ძალიან სწრაფად გარბის, რადგან თვალსაზრისების გამოხატვისა და დაცვის და დეტალებზე კამათის პროცესი ძალიან ცოცხალია. სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე და არ მისცეს საშუალება მონაწილეებს, რომ ისინი ჩაებან ბანალურ დისკუსიებში.

შეხვედრის დროს შეიძლება აღმოცენდეს მწვავე პიროვნებათაშორისი კონფლიქტი. ეს განსაკუთრებით მაშინაა მოსალოდნელი, როდესაც ტესტის ავტორი გამოუცდელია ტესტის შედგენის საქმეში. ასეთი ადამიანი, ჩვეულებრივ, სხვის შენიშვნებს განიცდის თავდასხმად მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და საკუთარ პიროვნებაზეც კი. ბუნებრივია, რომ ტესტის ავტორი ცდილობს დაიცვას საკუთარი თვალსაზრის თითოეულ ტესტურ დავალებასთან დაკავშირებით. ახალბედა ტესტის ავტორი ნაკლებად დაუცველად იგრძნობს თავს, თუ ეცოდინება, რომ ტესტზე მომუშავე ყველაზე გამოცდილი ადამიანებიც კი ზოგჯერ არასწორად კითხულობენ ნაწყვეტებს და გამორჩევათ ხოლმე არსებითი მნიშვნელობის მქონე ადგილები. შეხვედრის თავმჯდომარე უნდა ეცადოს ჩააცხროს ვნებათაღელვა და ხელი შეუწყოს კონსტრუქციული შენიშვნების გამოხატვას პირადი ხასიათის შენიშვნების ნაცვლად. ექსპერტთა ჯგუფის მონაწილეები იმიტომ იკრიბებიან, რომ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვან ნამუშევრის მიმართ და არა პიროვნების მიმართ. ამის გამო, სრულიად მიუღებელია ასეთი შენიშვნის გამოთქმა: "ჩემთვის უბრალოდ გაუგებარია, როგორ აზროვნებთ".

თუკი ეს შესაძლებელია, ჩაიწერეთ შეხვედრა მაგნიტოფონზე და, ამავე დროს, აწარმოეთ მისი ოქმი. ზოგჯერ, ინტელექტუალური კამათის პროცესში, გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომლებიც არ აღირიცხება ტესტის ავტორის მიერ, მაგრამ ეს მოსაზრებები შეიძლება ძალიან სასარგებლო გამოდგეს ტესტური მასალის რედაქტირების დროს.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმის თაობაზე, თუ რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს სხდომა. ტესტური დავალების კრიტიკის ხარისხი მკვეთრად უარესდება დაახლოებით ორი საათის შემდეგ. თუმცა, ზოგჯერ უპრიანია გავაგრძელოთ შეხვედრა და დავასრულოთ საკითხზე მუშაობა, ნაცვლად იმისა, რომ მოგვიანებით ხელახლა შევკრიბოთ ექსპერტთა ჯგუფი. თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს კრების დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

## თავი 9

### პირველი საფეხური – რელაქტირება ანუ საკონტროლო გადასინჯვა

ტესტის ავტორი, ექსპერტთა შეხვედრის ჩანაწერებზე დაყრდნობით, რელაქციას უკეთებს ტესტურ დავალებათა წინასწარ ვარიანტს რამდენადაც შესაძლებელია აუჩქარებლად და სკრუპულოზურად. შეხვედრისას მრავალი წინადადება გამოითქმის ტესტური დავალებების სირთულისა და ვალიდურობის თაობაზე, იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მცდარი პასუხის ვარიანტები დამაჯერებლად გამოიყურებოდეს. გარდა ამისა, აღინიშნება ფაქტობრივი და ლინგვისტური ხასიათის შეცდომები. ახლა თავად ტესტის ავტორზეა დამოკიდებული ის, რომ გაითვალისწინოს მაქსიმალური რაოდენობა იმ შენიშვნებისა, რომლებიც მას გონივრულად მიაჩნია პროფესიული თვალსაზრისით. ყველა შენიშვნა არ იქნება გასათვალისწინებელი (ზოგჯერ ექსპერტებიც ცდებიან), მაგრამ შენიშვნების უმრავლესობის გათვალისწინება უზომოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ტესტის საბოლოო სახე სასურველს შეესაბამებოდეს.

საკონტროლო გადასინჯვის პროცესი ჩაირთავს ყველას ან ზოგიერთს ქვემოთ მოტანილი პროცედურებიდან:

- მასალის (სტიმულის) განვრცობა ან შეკვეცა, სადაც ეს მიზანშეწონილადაა მიჩნეული ექსპერტთა ჯგუფის მიერ;
- მიწოდებულ მასალაში სქოლიოში ჩამოსატანად ისეთი სიტყვების მონიშვნა, რომლებსაც, ექსპერტთა აზრით, კანდიდატები შეიძლება არ იცნობდნენ და რომელთა ცოდნაც აუცილებელია ნაწყვეტის შინაარსის გასაგებად;
- მთელი ტესტური დავალების წაშლა, თუკი, ექსპერტების აზრით, ის ზედმეტად რთული ან ბანალურია;
- სრულიად ახალი ტესტური დავალების შედგენა წაშლილის ნაცვლად ან დამატების სახით, როგორც ეს ექსპერტთა რჩევაშია გათვალისწინებული;
- ექსპერტთა აზრით მცდარი პასუხის შედარებით არადაამაკმაყოფილებელი ან არადაამაჯერებელი ვარიანტების წაშლა;
- ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული მცდარი პასუხის ახალი ვარიანტების ფორმულირება;
- ენის შემოწმება სინუსტის, გარკვეულობისა და თანმიმდევრულობის თვალსაზრისით;
- ტესტური დავალებების საბოლოო თანმიმდევრობის დადგენა გარკვეულ მონაკვეთში ან მთლიანად ტესტში.

ამ საქმიანობის დიდი ნაწილი არასაჭიროდ გამოიყურება, მაგრამ ეს ასე არ არის. ის არსებითი მნიშვნელობისაა. წინასწარი ტესტირებისას უნდა გამოვიყენოთ მცდარი პასუხების, გასაღებების, ღერძების/ბირთვების და

მისაწოდებელი მასალის მხოლოდ საუკეთესო ვარიანტები. ხანდახან სავლელ ტესტირებისას სხვადასხვა ჯგუფთან გამოიყენება ერთი და იმავე ტესტური დავალების ოდნავ სახეშეცვლილი ვარიანტი. ეს სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც ტესტის ავტორს ვერ გადაუწყვეტია, ექსპერტის რჩევას მიჰყვეს თუ საკუთარი მოსაზრებით იმოქმედოს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შეიძლება დაემართოს ტესტურ დავალებას საკონტროლო გადასინჯვის პროცესში, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ადრე მიწოდებული მასალა და ტესტური დავალების წინასწარი ვარიანტი.

### ნაწყვეტი

მრავლობითი არჩევანის ფორმატის მქონე ტესტური დავალების შედგენა, საზოგადოდ, რთული ხელოვნებაა, მაგრამ რაოდენ ხშირად ხდება ისე, რომ ჩვენ ამ საქმეს კიდევ უფრო ვართულებთ, ვიდრე ის ამას იმსახურებს! ჩვენ ვიწყებთ მუშაობას იმ განწყობით, რომ ეს საქმე ადვილი გასაკეთებელია და სწრაფად გავდივართ ბოლოში იმის გათვალისწინების გარეშე, რაც მუდმივად უნდა გვახსოვდეს. პროცესის აჩქარება არაფერში გვეხმარება - ტესტური მასალა მზა სახით არ დაჯდება ფურცელზე. ჩვენ გვიწევს ფიქრი, მასალის განხილვა, გარკვევა იმისა, თუ რის კითხვა გვინდა და რა კითხვების დასმის საშუალებას იძლევა თავად მასალა. ტესტური დავალების ნაჩქარევად ჩამოყალიბება დროის ფლანგვაა. ჩვენ ამას გარეშე პირებისათვის მისი ჩვენებისას აღმოვაჩინოთ, როდესაც ვხედავთ მათს ასეთ რეაქციას: “ბანალურია!” ან “შეცდომებს შეიცავს!”

რომელია ამ ნაწყვეტში ძირითადი საკითხი?

- ა საჭირო დრო;
- ბ ტესტური დავალებების შედგენის ლოგიკური თანმიმდევრობა;
- გ მცდარი პასუხის დამაჯერებელი ვარიანტები ძნელი მოსაძებნია;
- დ კარგი კრიტიკოსის მოძიება ტესტური დავალების განსახილველად;
- ე მცდარი პასუხის საკმარის რაოდენობის ვარიანტების მოძებნა;
- ვ ბანალური კითხვებისათვის თავის არიდება;
- ზ ტესტური დავალების დაწერის სირთულე.

ექსპერტების მიერ ტესტის განხილვისას, ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა გავაანალიზოთ თითოეული წინადადება. ტესტის ავტორი საჭიროზე უფრო მეტ ვარიანტს გვთავაზობს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ ამ ვარიანტების განხილვა. რას გვთავაზობს თითოეული ვარიანტი, როგორც დებულების სახით ჩამოყალიბებული რეზიუმე იმ პროცედურისა, რომლის შესახებაც ნაწყვეტიდან შევიტყვეთ?

ნაწყვეტში აშკარად ნახსენებია დრო (ა) და პროცედურის ლოგიკა (ბ). თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მცდარი პასუხის დამაჯერებელი ვარიანტები ძნელი მოსაძებნია (გ) და რომ ძნელია საკმარისი რაოდენობის მცდარი პასუხის ვარიანტების მოძებნა (ე), ნაწყვეტში ეს არ არის ნახსენები, რის გამოც ეს პუნქტები პირველ რიგში უნდა ამოვავდოთ. ისინი რელევანტურია ტესტური დავალების შედგენის საკითხის მიმართ, მაგრამ არა მოცემული ნაწყვეტის მიმართ. ნაწყვეტში ნახსენებია ბანალური კითხვები (ვ), ისევე, როგორც ტესტური დავალების შემუშავების სირთულე (ზ).

ამის შემდეგ ჩვენი ტესტური დავალება ასეთ სახეს მიიღებს:

*რომელია ამ ნაწყვეტში ძირითადი საკითხი?*

*ა საჭირო დრო*

*ბ ტესტური დავალებების შედგენის ლოგიკური თანმიმდევრობა*

*გ კარგი კრიტიკოსის მოპოვება ტესტური დავალების განსახილველად  
დ ბანალური კითხვებისათვის თავის არიდება*

*ე ტესტური დავალების დაწერის სირთულე*

ახლა კრიტიკულად შევხედოთ ჩვენ მიერ გამოყენებულ ენას. ასე, მაგალითად, არის ღერძი/ბირთვი საკმარისად მკაფიოდ ფორმულირებული? ჩვენ შეგვიძლია ოდნავ გავაუმჯობესოთ ფორმულირება: “ძირითადად რის გადმოცემა უნდა ავტორს ამ ნაწყვეტში?” აქედან გამომდინარე, (ა) უაზრო ხდება (საჭირო დრო რისთვის?). (ა) და (ბ), ორივე მოითხოვს ზმნას. პირველ შემთხვევაში ეს არის „მითითება” - მითითება დროისა, რომელიც ამ საქმეს სჭირდება და „დაცვა” - ტესტური დავალებების შედგენისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა. (დ)-ს და (ვ)-ს, ორივეს ახლავს ასეთი ზმნა. ზ-ს არ ახლავს ასეთი ზმნა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ჩავსვათ ზმნა „გაცნობიერება”. ახლა მოცემული ტესტური დავალება ასე გამოიყურება:

ძირითადად რის გადმოცემა უნდა ავტორს ამ ნაწყვეტში?

*ა. ტესტური დავალებების შედგენისათვის საჭირო დროის მითითება;*

*ბ. ტესტური დავალებების შედგენისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა;*

*გ. კარგი კრიტიკოსის მოძიება ტესტური დავალების განსახილველად;*

*დ. ბანალური კითხვებისათვის თავის არიდება;*

*ე. ტესტური დავალების დაწერის სირთულის გაცნობიერება.*

ეს ვარიანტიც არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგანაც ამ ხუთ დებულებას სჭირდება რაღაც, რაც შეკრავს მათ. ამის გაკეთება შესაძლებელია, თუ ღერძს/ბირთვს გავაფართოებთ იმდენად, რომ ამ ხუთივე დებულებას რაიმე გამაერთიანებელს მოვუძებნოთ. ეს ნაწყვეტი ტესტური დავალების

შემდგენლებისათვის არის დაწერილი, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ისეთი სახით შევცვალოთ წინა სიტყვიერი ფორმულირება, რომ ტესტური დავალების შემდგენლებიც იყვნენ გათვალისწინებულნი უკვე ორი წინადადებისაგან შემდგარ ლერძში/ბირთვში.

ძირითადად რის გადმოცემა უნდა ავტორს ამ ნაწყვეტში?

ტესტური დავალების შემდგენელმა უნდა:

- ა. დიდი დრო დაუთმოს ტესტური დავალების წერას;
- ბ. დაიცვას ტესტური დავალებების შედგენისას ლოგიკური თანმიმდევრობა;
- გ. მოიძიოს კარგი კრიტიკოსი ტესტური დავალების განსახილველად;
- დ. თავი აარიდოს ბანალური კითხვების დასმას;
- ე. გააცნობიეროს ტესტური დავალების დაწერის სირთულე.

ახლა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა იქნება ამ შემთხვევაში სწორი პასუხი. (ბ), (დ) და (ვ) ნახსენებია ნაწყვეტში, რის გამოც ყველა მათგანი პასუხის დამაჯერებელი ვარიანტია. მაგრამ რომელია პასუხი: (ა) თუ (ზ)? თუ მივუბრუნდებით ლერძს/ბირთვს, შეიძლება ასეთი კითხვა დაგვებადოს: „მხოლოდ ერთი ძირითადი საკითხია ამ ნაწყვეტში?“ დროის თემა, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე გასდევს მთელ ამ ნაწყვეტს (ის რამდენჯერმე არის ნახსენები ან ნაგულისხმევი), მაგრამ მის უკან დგას მთლიანი პროცესისათვის დამახასიათებელი ზოგადი ხასიათის სირთულე, სადაც „ნუ იჩქარებ“ მთავარი ფაქტორია. თუ ჩვენი ტესტური დავალების საბოლოო ვერსია პასუხის ოთხ ვარიანტს მოითხოვს, ჩვენ შეგვიძლია (ა) და (ზ) პასუხები ერთ ვარიანტად გავაერთიანოთ, და, მაგალითად, ასეთი ფორმულირება მივიღოთ: „ტესტური დავალების ნელა და მეთოდურად მომზადება“, ხოლო სიტყვა „სირთულე“ (ან რაიმე მსგავსი სიტყვა) ლერძში/ბირთვში შევიტანოთ.

ამის შემდეგ ტესტური დავალება ასეთ სახეს შეიძენს:

1. ძირითადად რის გადმოცემა უნდა ავტორს ამ ნაწყვეტში?

ტესტური დავალების შემდგენელს შეუძლია დაძლიოს ტესტური დავალების შემუშავებისათვის დამახასიათებელი სირთულეები

- ა. ტესტური დავალების ჩამოყალიბებისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით;
- ბ. კარგი კრიტიკოსის მოძიებით, რომელიც განიხილავს ტესტურ დავალებას;
- გ. ბანალური კითხვებისთვის თავის არიდებით;
- დ. ტესტური დავალების ნელა და მეთოდურად მომზადებით.

საბოლოო შემოწმება: ეთანხმება თუ არა სინტაქსურად ლერძი/ბირთვი პასუხის თითოეულ ვარიანტს? კი. ახლა მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ პასუხის ვარიანტები მეტ-ნაკლებად ერთი სიგრძისა იყოს. დასასრულ, პასუხის თითო ვარიანტს უნდა მივაწეროთ ასოები შესაბამისი თანმიმდევრობით. ტესტური დავალება საბოლოოდ ასეთ სახეს შეიძენს:

1. ძირითადად რის გადმოცემა უნდა ავტორს ამ ნაწყვეტში?

ტესტური დავალების შემდგენელს შეუძლია დაძლიოს ტესტური დავალების შემუშავებისათვის დამახასიათებელი სირთულეები

- ა. ტესტური დავალების ჩამოყალიბებისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით;
- ბ. კარგი კრიტიკოსის მოძიებით, რომელიც განიხილავს ტესტურ დავალებას;
- გ. ბანალური კითხვებისთვის თავის არიდებით;
- დ.\* ტესტური დავალების ნელა და მეთოდურად მომზადებით.

მე-15 სქემაში მოცემულია მთელი ამ პროცესის რეზიუმე, რაც საშუალებას მისცემს ტესტის შემდგენელს, შეამოწმოს რედაქტირებული ტესტური დავალებები საცდელი ტესტირების ჩატარების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მოცემულ თავში, ისე წინა თავში, პროცესი აღიწერება მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალების მაგალითზე, მაგრამ პროცედურების იგივე თანმიმდევრობა გამოიყენება სხვა ფორმატის ტესტური დავალებების შემთხვევაშიც. მათაც სჭირდებათ სასწავლო პროგრამასთან შესაბამისობის სერიოზული კრიტიკული განხილვა და მათი ფორმულირებისათვის გამოყენებული ენის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეესაბამებიან ისინი პროცედურებს, რომლებიც ტესტთან დაკავშირებით ხორციელდება.

## თავი 10 წინასწარი მზადება საბოლოო დაფორმატირებისათვის

რედაქტირების პარალელურად, უნდა განხორციელდეს კიდევ ორი საქმიანობა. ერთია გამომცემლებისაგან და / ან ავტორებისაგან იურიდიული უფლების მოპოვება ისეთი ტექსტის ან მასალის გამოყენებაზე, რომელზეც საავტორო უფლება არსებობს. მასალის ტესტირება სავსე პირობებში არ უნდა მოხდეს ზემოხსენებული პროცედურის ჩატარებამდე. აზრი არ აქვს ნაწყვეტის ან სხვა მისაწოდებელი მასალის ტესტირებას, თუ ამგვარი ნებართვა არ არის მიღებული.

მეორე საქმიანობაა მისაწოდებელი ტექსტისა და პასუხების ჩასაწერი ფურცლების დიზაინის შექმნა, მათი დაფორმატება, რათა სავსე პირობებში გამოსაცემი ტექსტის ვარიანტი რაც შეიძლება ახლოს იყოს საბოლოო ტექსტის დიზაინთან. გარდა ტესტური დავალებისა, დიზაინმა და კანდიდატებისათვის გათვალისწინებულმა ინსტრუქციებმა უნდა გაიარონ ტესტირება სავსე პირობებში.

სქემა 15

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალების შემუშავების პროცესი

1. მიწოდებული მასალა (სტიმული), რომელსაც ეხება ტესტური დავალება, მოიცავს იმ მასალას, რომელიც ტესტის მიზანს შეესაბამება. მასალის გააზრება და მასზე პასუხის გაცემა კანდიდატისათვის მნიშვნელოვან გამოცდილებას წარმოადგენს.
2. ღერძი/ბირთვი და გასაღები (სწორი პასუხი) ერთობლივად წარმოადგენს აზრიან და ღირებულ რეაქციას მასალის (სტიმულის) ძირითად საკითხზე და არა პერიფერიულ საკითხზე. ტესტურ დავალებაზე მუშაობა კანდიდატისათვის ბანალურ საქმიანობას როდი წარმოადგენს.
3. მცდარი პასუხის ვარიანტები დამაჯერებელი უნდა იყოს, ანუ ისინი უნდა ასახავდნენ რელევანტურ თვალსაზრისს იმ საკითხის შესახებ, რომელიც ღერძსა და სტიმულშია მოცემული.
4. ტესტური დავალება დამოუკიდებელი უნდა იყოს. სწორი პასუხის პოვნა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, რომ სხვა ტესტურ დავალებაზე სწორი პასუხია გაცემული. ტესტში არსად არ უნდა იყოს მოცემული მინიშნება სწორი პასუხის შესახებ.
5. ტესტურ დავალებაზე - ღერძზე/ბირთვზე სწორი პასუხის გაცემა

დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რამდენად კარგად ესმის კანდიდატს სტიმულში მოცემული ძირითადი საკითხი და არა მცდარი პასუხის ვარიანტების გამორიცხვის გზით სწორი პასუხის მიგნებაზე ან პასუხის ინტუიციურ მიგნებაზე.

6. ტესტურ დავალებაში ფორმულირებული ან ნაგულისხმევი კითხვა მტკიცებით ფორმაში უნდა იყოს მოცემული. თუ მასალაში შემაჯავლი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი აუცილებლად უარყოფითი ფორმით უნდა იყოს გამოხატული, ის მოცემული იქნება ლერძში/ბირთვში და დაბეჭდილი იქნება დიდი ასოებით ('არ', 'გარდა'). არც ერთი სხვა დებულება არ უნდა იყოს უარყოფითი ფორმით მოცემული პასუხის რომელიმე ვარიანტში.
7. თითოეული ტესტური დავალება უნდა მოიცავდეს პასუხის ოთხ ან ხუთ ვარიანტს და სტანდარტული ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.
8. პასუხის ყოველი ვარიანტი დაახლოებით ერთი სიგრძისა უნდა იყოს. თუ ამ პირობის დაცვა შეუძლებელია, მაშინ ვარანტთა ჯგუფები უნდა იყოს ერთი და იმავე სიგრძის (მაგ. ორი მოკლე და ორი გრძელი).
9. ტესტური დავალება უნდა დაექვემდებაროს საცდელ ტესტირებას და მისი სწორი პასუხების ინდექსი 20%-ს და 80%-ს შორის უნდა მერყეობდეს.
10. საცდელი ტესტირებისას უნდა დავინახოთ, რომ ტესტური დავალების გასაღები (სწორი პასუხი) ახდენს დადებით დისკრიმინაციას, ხოლო მცდარი პასუხის ვარიანტები - უარყოფით დისკრიმინაციას.

აღსანიშნავია, რომ უძვობესია ვიქონიოთ დიზაინის სხვადასხვა ვარიანტი, მომავალში უფრო მრავალფეროვანი არჩევანის უზრუნველყოფის მიზნით. თავფურცლისათვის სასურველია მომზადდეს ერთი ან ორი (რაც კიდევ უკეთესია) ნიმუში, ანუ სავარჯიშო „კითხვები“, თუ კანდიდატებს ამ ტიპის კითხვები ადრე არ შეხვედრიათ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტურ დავალებათა გამოყენებისას.

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების შემთხვევაში, უნდა გადავხედოთ ტესტის გასაღებების თანმიმდევრობას. ერთმანეთის მომდევნო მხოლოდ ორ ტესტურ დავალებას შეიძლება ჰქონდეს ერთი და იმავე ასოთი გამოხატული გასაღები, მაგრამ არა უმეტეს - ორისა. გარდა ამისა, პასუხის ვარიანტებისათვის მიწერილ თითო ასოს (ა ბ გ დ), მოცემული ტესტის ფარგლებში უნდა მივაწეროთ დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ტესტური დავალებები. ზოგჯერ, ტესტის შემდგენლები ცდილობენ გასაღებების „დამალვას“ იმით, რომ მათ გ-ს ან დ-ს მიაწერენ. თუ ამ ორ ასოს ზედმეტად ხშირად გამოვიყენებთ, კანდიდატს, რომელიც მიხვდება, თუ როგორ ხდება მათი გამოყენება, ექნება 25%-ზე მაღალი შანსი იმისა, რომ სწორი პასუხი გასცეს თითოეულ ტესტურ დავალებას.

სასურველია შევინახოთ ტესტის წინასწარი (შავი) ვარიანტი, და ის მასალა, რომელიც ტესტური დავალების დაქუშავებასა და დახვეწას ასახავს. ეს მასალა მაშინ გამოგვადგება, თუ აღმოჩნდება, რომ, მაგალითად, №1 ტესტური დავალების საბოლოო ვარიანტმა არ იმუშავა და ცვლილებას საჭიროებს. დამატებითმა ვარიანტებმა და იმ სიტყვიერმა ფორმულირებამ, რომელიც თავის დროზე უარყავით, შეიძლება გააიოლოს ამგვარი ამოცანის შესრულება.

## თავი 11 ტესტირება საცდელ პირობებში ანუ საცდელი ტესტირება

სკოლაში ტესტური დავალების საცდელი ტესტირება შეუძლებელია ისეთ პოპულაციაზე ჩატარდეს, რომელიც არ გაივლის რეალურ ტესტირებას, რადგან ამ ტესტის ჩატარება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მოცემული კურსი აქვს გავლილი და ვისთვისაც დაიწერა ტესტი. მაგრამ მოცულობით პროგრამებში ტესტირება საველე პირობებში აუცილებლად ჩასატარებელია შემდეგი ოთხი მიზეზის გამო:

- მთლიანი ტესტის გასამართად, შეცდომების გასასწორებლად;
- მთლიანი ტესტის კონცეპტუალური სირთულის შესამოწმებლად;
- ტესტის სიგრძისა და მასზე დახარჯული დროის განსასაზღვრად;
- იმ ლექსიკის (სიტყვების) ვარგისიანობის შესამოწმებლად, რომელიც გამოიყენება ტესტის მასალის (სტიმულის) და ტესტური დავალების ფორმულირებისათვის.

იმ პოპულაციის რაოდენობა, რაც საცდელი ტესტირებისას გამოიყენება, განსხვავებული იქნება. სწორი იქნება, თუ „არსებული რესურსების გათვალისწინებით, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გამოვიყენებთ.”

მეორე წესი ის არის, რომ პოპულაცია, რომელიც გაივლის საცდელ ტესტირებას, თავისი შემადგენლობით მსგავსი უნდა იყოს იმ პოპულაციისა, რომელსაც საბოლოოდ ჩაუტარდება ტესტირება (მსგავსი ასაკი, განათლების დონე, გენდერული შემადგენლობა, გამოცდილება იმ საკითხებში, რომელიც ტესტის საფუძველს შეადგენს). საცდელი ტესტირებისათვის პოპულაციის შერჩევისას უსაფრთხოების ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ: რაც უფრო მეტი ადამიანი ნახავს ტესტს, მით უფრო მეტი ტესტის ასლი დაიკარგება. ამგვარად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ იმ ადამიანებმა გაუწიონ ზედამხედველობა საცდელ ტესტირებას და დაარიგონ ტესტები, რომლებიც კავშირში არიან ტესტზე მომუშავე ჯგუფთან ან დაქირავებულნი არიან მის მიერ.

საკმარისი დრო უნდა დაეთმოს საცდელ ტესტირებას, რათა ყველა მოსწავლემ თუ სტუდენტმა მოასწროს ტესტის შევსება. საცდელი ტესტირების დასასრულს ჩვენ გვჭირდება როგორც მონაცემები, რომლებიც მთლიანი ტესტის შესრულებით არის მიღებული, ისე მონაცემები, რომლებიც ტესტის საწყისი ნაწილის შევსებით მიიღება. თუ ირკვევა, რომ მხოლოდ რამდენიმე კანდიდატი ახერხებს ტესტის დასრულებას, ზოგიერთი კანდიდატისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს განსაკუთრებული ტიპის საცდელი ტესტირების ჩატარება, სადაც კანდიდატები

დაიწყებენ ტესტზე მუშაობას ტესტის ბოლო დავალებების შესრულებით და შემდეგ გადავლენ ტესტის წინა სექციაში შეტანილ დავალებებზე.

მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საცდელი ტესტირების ჩატარება შეუძლებელია? ეს დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს ტესტის ავტორს, რომელსაც მოუწევს ზედმიწევნით სკრუპულოზურად შეამოწმოს ტესტი, სანამ გამოიყენებდეს მას. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ სხვა სპეციალისტებმაც გადახედონ ტესტის წინასწარ ვარიანტს და გამოთქვან მასთან დაკავშირებით თავიანთი კრიტიკული მოსაზრება.

## თაზი 12

### ტესტური დავალებების ანალიზი

მოცემულ დოკუმენტში არ არის აღწერილი ტესტური დავალების შესრულებით მიღებულ მონაცემთა ანალიზის ყველა შესაძლო ვარიანტი. სხვა მოდულებში შემავალი დოკუმენტები ამ საკითხს უფრო დეტალურად არჩევს. სასკოლო ტესტებში გამოიყენება უფრო მარტივი სტრატეგიები და ინდიკატორები ამ ინფორმაციის მისაღებად და გამოსახატავად. უფრო დიდი მოცულობის ტესტურ პროგრამებს აქვთ საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ ანალიზი უფრო რთულ და საფუძვლიან დონეზე ჩაატარონ.

დიდ პროგრამებში მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალებების გამოყენებისას, ანალიზი მოიცავს სტატისტიკას, რომელიც გვიჩვენებს თითოეული ტესტური დავალების მაჩვენებლებს:

- მთელი იმ პოპულაციიდან, რომელსაც ჩაუტარდა ტესტირება, რამდენმა პროცენტმა გასცა სწორი პასუხი ტესტურ დავალებას (facility);
- თითოეული ტესტური დავალების დისკრიმინაციულ მაჩვენებელს: რამდენად კარგად განასხვავებს სწორი პასუხი (გასაღები) უნარიან და ნაკლებად უნარიან მოსწავლეებს;
- თითოეულ ტესტურ დავალებაზე გაცემული პასუხების რაოდენობას: რამდენი კანდიდატი ეცადა ტესტური დავალების შესრულებას, განურჩევლად იმისა, სწორად თუ მცდარად უპასუხა მას;
- კრიტერიუმის მაჩვენებელი (criterion score) თითოეული ტესტური დავალების მიხედვით: საშუალო მაჩვენებელი იმ კანდიდატებისა, რომელთაც სცადეს პასუხი გაეცათ ტესტურ დავალებაზე;
- გამოვლინდა თუ არა მცდარი პასუხის ისეთი ვარიანტები, რომლებმაც კარგად ვერ იმუშავა: მაგალითად, შეიძინა ძალიან ცოტა კანდიდატის მიერ ან უპირატესობა მიენიჭა უნარიანი კანდიდატების მიერ.

ტესტური დავალების რედაქტორის თვალსაზრისით, ტესტის შემუშავების პროცესის ამ უაღრესად მნიშვნელოვან საფეხურზე კიდევ მინიმუმ ხუთი რამ უნდა ექვემდებარებოდეს ანალიზს.

ეს არის ინფორმაცია, რომელსაც მოვიპოვებთ შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით:

1. ტესტური დავალების ნაწილებზე, განსაკუთრებით მრავლობითი შერჩევის შემცველი ტესტის შემთხვევაში, მისი ღერძის/ბირთვის, სწორი და მცდარი პასუხების შესახებ;
2. ტესტური დავალების მთლიანობისა და სარგებლიანობის შესახებ;
3. ტესტური დავალების შესრულებაზე, სადაც ტესტური დავალება ტესტის დამოუკიდებელ ელემენტს წარმოადგენს;
4. ტესტური დავალების შესრულებაზე იმავე ტესტის ან ტესტურ დავალებათა რიგის სხვა ტესტურ დავალებებთან შედარებით;
5. ერთიანი ტესტის მთლიანობითი ხასიათისა და სარგებლიანობის შესახებ.

განსხვავება მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებს შორის (რომლებიც ერთი შეხედვით ერთსა და იმავეს გვეუბნება) მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების შემთხვევაში. ტესტური დავალების რედაქტორისათვის, თითოეული ეს პუნქტი, ტესტის საბოლოო ვერსიაში ამა თუ იმ ტესტური დავალების შენარჩუნების ან უკუგდების სხვადასხვა მიზეზს მიუთითებს. ტესტური დავალება შეიძლება იყოს სასარგებლო მაღალი რიგის უნარ-ჩვევების გაზომვის თვალსაზრისით (2). ის შეიძლება წარმოადგენდეს გამოცალკევებულ ტესტურ ელემენტს, რომელიც კარგად განასხვავებს უნარიან და ნაკლებ უნარიან მოსწავლეებს (3). მაგრამ ის შეიძლება ბევრად რთული იყოს ტესტის სხვა ტესტურ დავალებებთან შედარებით (4) და ამ მიზეზით ამოიღონ ტესტიდან.

ტესტური დავალების ინტერპრეტატორი მუდმივად აწყდება ისეთ ვითარებას, როდესაც სუსტი მხარე ბათილდება ძლიერი მხარით და პირიქით. აი კიდევ ერთი მაგალითი: ორ ტესტურ დავალებას შეიძლება ჰქონდეს ისეთი სწორი პასუხი (გასაღები), რომელიც თანაბრად კარგი დისკრიმინაციული უნარით ხასიათდება (3). ორივე ტესტური დავალება ჯდება „აღვილიდან რთულისაკენ“ კონტინიუუმის მისაღებ ფარგლებში (4). ერთი ტესტური დავალება ზომავს მაღალი რიგის უნარ-ჩვევებს, მაგრამ მისი მცდარი პასუხის ორი ვარიანტი არ მუშაობს, ხოლო მეორე მხოლოდ ფაქტების ცოდნას ამოწმებს, თუმცა მცდარი პასუხის თითოეული ვარიანტი კარგად „ჯდება“ ზოგადად ტესტური დავალების შესრულებაში (2). როგორ მოვიქცეთ? მართო ერთი ტესტური დავალება დავტოვოთ? ამათვან რომელი? ორივე ტესტური დავალება შევინარჩუნოთ? ორივე უკუვაგლოთ? არ არსებობს წესები, რომლებიც გვეტყვის, თუ რომელ კომბინაციას ან ვარიანტს უნდა მიანიჭო უპირატესობა. მიუხედავად ამისა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სასწავლო პროგრამა და ის მიზნები, რომელთა ტესტირებაც ხდება; არ უნდა დაგვავიწყდეს სპეციფიკაციის არსებობა.

ტესტის სიგრძეც უნდა შემოწმდეს. თუ აღმოჩნდა, რომ საცდელი ტესტირებისას კანდიდატთა დიდმა რაოდენობამ გამოტოვა ერთი და იგივე ტესტური დავალება, ან ვერ მოასწრო ტესტის დასრულება, ეს გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ტესტის ხანგრძლივობაზე. თუ ყველა კანდიდატი უპასუხებს ყველა ტესტურ დავალებას, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ტესტირების დრო უნდა შემცირდეს და ტესტური დავალებების რაოდენობა გაიზარდოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საცდელი ტესტირების ჩამტარებელი პირები ადასტურებენ, რომ კანდიდატთა დიდმა რაოდენობამ საცდელი ტესტი დროზე ადრე დაამთავრა.

**თაზი 13**  
**მეორე ეტაპი –**  
**ტესტის რელაქტირება გამოსაცემად**

ტესტის საველე პირობებში გამოცდის შემდეგ და ტესტური დავალებების გაანალიზების შემდეგ, იწყება მეორე ეტაპი – რელაქტირების ეტაპი. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, თითოეულ ტესტურ დავალებას გამოწმებით და ვიღებთ გადაწყვეტილებას მისი შენარჩუნების ან უკუგდების შესახებ. შეიძლება მოგვიწიოს ზოგიერთი ელემენტის ხელახლა დაწერა, მაგრამ შესწორებები უნდა იყოს მინიმალური და მხოლოდ მცდარი პასუხის ვარიანტებს ეხებოდეს. თუ ღერძი და სწორი პასუხები (გასაღები) საჭიროებს შესწორებას, ამას შედეგად მოყვება ახალი ტესტური დავალების დაწერა, რასაც დასჭირდება შემდგომი საცდელი ტესტირება. ამიტომ სჯობს ამოვადო მოცემული ტესტური დავალება და გამოიყენო ის, რომელმაც კარგად იმუშავა.

მას შედეგ, რაც ყოველი ტესტური დავალება მაქსიმალურად დაიხვეწება, იწყება ტესტისათვის საბოლოო სახის მინიჭება. ისევე, როგორც ტესტის შემუშავებასთან დაკავშირებული მრავალი პროცესის შემთხვევაში, ჩვენ უნდა შევასრულოთ ქმედებათა გარკვეული თანმიმდევრობა, რათა უზრუნველვყოთ ის, რომ ახალი შეცდომები არ იჩენდეს თავს და ტესტი მაქსიმალურად პასუხობდეს საწყის სპეციფიკაციას. მე-16 სქემაში მოცემულია ასეთ ქმედებათა თანმიმდევრობა.

სქემა 16

რელაქტირება გამოსაცემად – ქმედებათა ჩამონათვალი

1. წაიკითხეთ ტესტური დავალებების ანალიზი და დაახარისხეთ ტესტური დავალებები (ან მათი ჯგუფები) სამ კატეგორიად:
  - ა. მზად არის გამოსაცემად;
  - ბ. სჭირდება რელაქტირება;
  - გ. შეიძლება ამოსაგდები გახდეს.
2. რელაქცია გაუკეთეთ ტესტურ დავალებებს და დაადგინეთ ტესტური დავალებების ის ერთობლიობა, რომელიც ტესტში შევა. შეამოწმეთ ტესტური დავალების გამოტოვების მაჩვენებელი ტესტის ოპტიმალური სიგრძის დასადგენად.
3. შეამოწმეთ სპეციფიკაცია ტესტური დავალებების ერთობლიობაში ტესტური დავალებების რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით. ადადგინეთ ნებისმიერი უკუგდებული ტესტური დავალება, რომლის გამოყენებაცაა

შესაძლებელი, თუკი ყველა მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

4. დაალაგეთ ტესტური დავალებები წინასწარი თანმიმდევრობით და ტესტის თითოეული ბლოკის დასასრულს შეიტანეთ ქულის მინიჭების სქემა.
5. შეამოწმეთ ეს თანმიმდევრობა შემდეგი ნიშნების მიხედვით:
  - ა) დალაგება სირთულის მიხედვით (მაგალითად, მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტში, ჯერ მოცემულია ადვილი ტესტური დავალება, რათა კანდიდატმა უფრო დარწმუნებულად იგრძნოს თავი);
  - ბ) მოცემული სწორი პასუხების (გასაღების) რიგი და განაწილება;
  - გ) ტესტური დავალების ტიპების დაბალანსება და მრავალფეროვნება.
6. დაწერეთ კანდიდატებისათვის შესაბამისი ინსტრუქციები. მიუთითეთ, რამდენი დრო უნდა დაუთმოს კანდიდატმა ტესტის თითოეულ ნაწილზე მუშაობას.
7. უხეშად გაანაწილეთ ტესტური დავალებები ტესტის ნაბეჭდი ფორმის გვერდებზე; შესაძლოა მოგიწიოთ ზოგიერთისათვის ადგილის შეცვლა უფრო დამაკმაყოფილებელი დიზაინის მისაღებად. თუ არ იყენებთ პასუხებისათვის ცალკე ფურცელს, გამოყავით საკმარისი ადგილი პასუხებისათვის.
8. დანომრეთ ყველა ტესტური დავალება თანმიმდევრობით. თუ ეს საჭიროა, ასობით გამოყავით ერთმანეთისაგან ტესტის ნაწილები.
9. გააკეთეთ დაბეჭდილი ტესტის და აგრეთვე პასუხების ფურცლის (მისი გამოყენების შემთხვევაში) მოდელი. წაიკითხეთ ტესტი თავიდან ბოლომდე, შეამოწმეთ ენა და ნუმერაცია (გვერდებისა და სტრიქონების ნუმერაცია), ყველა ღიაგრამა და ზოგადად დიზაინი.
10. გადაიღეთ მოდელის ფოტოასლი და სთხოვეთ კოლეგას, რომელიც კარგად იცნობს ტესტის თემას (მაგრამ, რომელსაც არ უნახავს ტესტი), უპასუხოს მას.
11. შეამოწმეთ, თუ როგორ შეასრულა კოლეგამ ტესტი.
12. თუ შესაძლებელია, გადადეთ ტესტი გვერდზე ერთი კვირის განმავლობაში და მერე თავად შეავსეთ იგი, მისი საბოლოოდ შემოწმების მიზნით. მხოლოდ ამის შემდეგ გაუგზავნეთ ტესტი მბეჭდავს.

## თაზი 14 პარბა კი ტესტი?

მე-15 სქემაში მოცემულია ზოგიერთი კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ, რამდენად დამაკმაყოფილებელია ტესტური დავალება. უნდა ჩატარდეს მთელი ტესტის ასეთივე შეფასება. აქ მოცემულია წინადადებები შესაძლო კრიტერიუმების თაობაზე.

ჰოპკინსი და ანტესი (1990: 156-7) გვთავაზობენ შესაფასებლად სამ სფეროს, რომელთაც ისინი უწოდებენ ბალანსს, სპეციფიკურობას და ობიექტურობას. თითოეული სფეროს მიმართ ისმის ორი კითხვა, რომელიც შეუძლიათ საკუთარ თავს დაუსვან ტესტის მიმომხილველებმა და ტესტის ავტორებმა, რათა ზოგადი წარმოდგენა შეიქმნან იმაზე, თუ რამდენად ვარგისია ტესტი. (მოცემული კითხვები ახლებურადაა დანომრილი ორიგინალთან შედარებით).

### ბალანსი

1. რამდენად ასახავს შერჩეული ტესტური დავალებები იმ მიღწევებს (შინაარსობლივს და ქცევითს), რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს?
2. შეიცავს ტესტი საკმარის ტესტურ დავალებებს იმისათვის, რომ საკმარის ხარისხით დაფაროს შინაარსი და ქცევები, რომლებიც ამოცანებშია ასახული?

### სპეციფიკურობა:

3. მოითხოვს ტესტური დავალებები იმ შინაარსისა და საკითხების ცოდნას, რომელთაც მოიცავს ტესტი?
4. შესაძლებელია ტესტურ დავალებებზე პასუხის გაცემა ზოგადი ცოდნის საფუძველზე?

### ობიექტურობა:

5. ნათელია კანდიდატისათვის, თუ რას მოელოან მისაგან?
6. განსაზღვრულია სწორი პასუხი?

როგორც ტესტის ავტორი, თქვენ ეყრდნობით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას, მაგრამ მუდმივად უნდა გახსოვდეთ ისინი ტესტის შემუშავების პროცესში. სპეციფიკაცია დაგეხმარებათ იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რომლებიც I კითხვაშია მოცემული. დავიწყოთ მატრიცით, სადაც შინაარსი და მიზნები მატრიცის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განზომილებებს შეესაბამება (როგორც ეს ნ, ნა და ნბ სქემებშია მოცემული). არ არის აუცილებელი ყველა უჯრის შევსება, მაგრამ „ბალანსი“ მოითხოვს იმას, რომ ყველა სვეტსა და რიგში რამე იყოს ჩაწერილი.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას ბალანსთან დაკავშირებით: გვინდა, რომ ჩვენი ტესტი მთლიანად ერთი ფორმატის ტესტური დავალებებისაგან შედგებოდეს? ჩვენ შეგვიძლია ასეთი გადაწყვეტილება მივიღოთ: ტესტის გასწორების (ქულების მინიჭების) გასაადვილებლად, გამოვიყენოთ ესეც ფორმის ტესტური დავალებები ან მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტისათვის ტიპობრივი დავალებები, მაგრამ, როდესაც ტესტი სხვადასხვა ფორმატის ტესტური დავალებებისგან შედგება, მარტივი ფორმატი (სწორია/მცდარია) იმდენად არ უნდა სჭარბობდეს ტესტში, რომ ამან ხელი შეგვიშალოს სწავლის პროცესის უფრო რთული მიზნების ტესტირებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები (ან თავად თქვენი შეხედულებები) დაგეხმარებათ მე-2 კითხვის გათვალისწინებაში. როდესაც ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო არ არის საკმარის იმისათვის, რომ მთლიანად დაიფაროს ის, რაც მოსწავლესა თუ სტუდენტს უსწავლია, საუკეთესო ბალანსის მიღწევა იმას ნიშნავს, რომ ნასწავლი მასალის შერჩეული ნაწილი უნდა მოიცავდეს უმნიშვნელოვანეს მინაარსს და ყველაზე მნიშვნელოვან ქცევებს.

კითხვა 3 ფაქტობრივად ეხება რელევანტობას, როგორც „სპეციფიკურობის“ ელემენტს. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი ნამდვილად გაგიწევთ დახმარებას ტრივიალური ტესტური დავალებების ტესტიდან ამოშლით ან ისეთი კითხვების უკუგდებით, რომლებიც პერიფერიულ მასალას ეხება და არაფრის მომტანია, გარდა იმისა, რომ კანდიდატებს ტესტისათვის გამოყოფილ ძვირფას დროს აკარგვინებს. როგორც უკვე ითქვა მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალების შესახებ, ღერძი და სწორი პასუხი ერთად იძლევა მნიშვნელობის მქონე და ღირებულ რეაქციას ძირითად საკითხზე, რომელიც ტესტის მასალაშია მოცემული, და არა პერიფერიულ საკითხებზე. კანდიდატისათვის ტესტურ დავალებაზე მუშაობა არ უნდა წარმოადგენდეს ტრივიალურ საქმიანობას, განურჩევლად იმისა, ტესტი მრავლობითი არჩევანის შემცველი ფორმატითაა დაწერილი თუ რაიმე სხვა ფორმატით.

ზუსტად ასევე, ექსპერტთა ჯგუფი დახმარებას გვიწევს მე-4 კითხვასთან დაკავშირებით, ისეთი კომენტარების გამოთქმის მეშვეობით, როგორცაა „ეს რელევანტურია, მაგრამ არ არის სპეციფიკური მოცემული კურსისათვის - საბავშვო ბალის ბავშვმაც კი იცის ეს.”

მე-5 კითხვა მრავალ მომენტს ეხება. იქნება ეს კანდიდატისათვის მიცემული ინსტრუქცია თუ ტესტური დავალების სიტყვიერი ფორმულირება, თქვენი ენა ყოველთვის ნათელი, ლაკონური და მკაფიო უნდა იყოს. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ განსაზღვრება ხელს შეუწყობს გაგებას (მაგრამ არა სწორი პასუხის ინტუიციურ მიგნებას), შეიტანეთ ეს განსაზღვრებები. თუ შემოგაქვთ რაიმე წესები ან სიტყვებთან დაკავშირებული შეზღუდვები, მიუთითეთ მათ. ეს დაეხმარება

კანდიდატებს, მაქსიმალურად ეფექტურად იმოქმედონ, მაგრამ არანაირად არ შეუწყობს ხელს სწორი პასუხის ინტუიციურ მიგნებას.

აზრის მკაფიო და ნათლად გამოხატვა დაგეხმარებათ მე-6 კითხვაზე პასუხის გაცემაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სწორი პასუხი აუცილებლად ერთნაირი იქნება. მაგალითად, ასეთი რამ შეუძლებელია ესეს ტიპის პასუხების შემთხვევაში. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს ეცოდინება სწორი პასუხის საზღვრები - როგორ შეიძლება სწორი პასუხის მიღება, მაშინაც კი, როცა თავად არ შეგწევს ამის უნარი.

ზემოთ მოცემულ ზოგად მითითებებს შეგვიძლია დავუმატოთ ტესტირების დადებითი პრაქტიკის უფრო კონკრეტული კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმთა უმრავლესობა ნებისმიერი ფორმატით დაწერილ ტესტურ დავალებას ეხება (სულ ერთია, ტესტური დავალება პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს თუ პასუხის შერჩევას).

- მიაწოდეთ კანდიდატებს საკმარისი ინფორმაცია, რათა ესმოდეთ, თუ რა მოეთხოვებათ მათ, მაგრამ ეს ინფორმაცია არ უნდა იყოს იმდენად ჭარბი, რომ დააბნოს კანდიდატები.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

დაწერეთ ყველაფერი, რაც იცით ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

ზოგი ამბობს, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომი წარმოადგენდა შანსს გარკვეული ევროპული ქვეყნებისათვის, გამოეცადათ ტაქტიკა და ახალი იარაღი უფრო დიდი მასშტაბის ევროპული ომის დაწყებამდე. თუ თქვენ ეთანხმებით ამ თვალსაზრისს, დაასაბუთეთ მისი სისწორე დაახლოებით ერთ გვერდზე. თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ თვალსაზრისს, დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია ასევე, დაახლოებით ერთ გვერდზე.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

„ესპანეთის სამოქალაქო ომი წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის გენერალურ რეპეტიციას“. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? დაწერეთ 500-სიტყვიანი მოკლე ესე საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.

- პასუხისათვის გამოყოფილი ადგილის მეშვეობით ან რაიმე სხვა სახით, გააგებინეთ კანდიდატს, რამდენად ვრცელი პასუხი უნდა გასცეს მან ტესტურ დავალებას. თუ თქვენ ამას პასუხისათვის გამოყოფილი ადგილის მეშვეობით მიანიშნებთ, გამოყავით პასუხისათვის დიდი ადგილი, რადგან ზოგ მოსწავლეს ისეთი ხელწერა აქვს, დიდ ადგილს მოითხოვს.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

დაწერეთ რამდენიმე სტრიქონი მოტივტივე ბაზრების შესახებ ბანგოკში.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

დაასახელეთ ორი მიზეზი, რის გამოც ბანგოკის მოტივტივე ბაზრები მნიშვნელოვანია ქალაქის ეკონომიკისათვის.

1. . . . .

. . . . .

2. . . . .

. . . . .

- დააჯგუფეთ ერთი და იმავე ფორმატისა ან შინაარსის დავალებები და სადაც ეს აუცილებელია, სახელი დაარქვით მათ. დაალაგეთ ტექსტური დავალებები მარტივიდან რთულისაკენ.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

1. მეორე მოთხრობის მეორე აბზაცში მოძებნეთ სიტყვა, რომელიც ნიშნავს „მოკლედ“.
2. დაწერეთ მოკლე სახასიათო სკეტჩი პირველ მოთხრობაში მოყვანილი ერთ-ერთი მოთამაშის შესახებ.
3. რატომ ვერ ითამაშა კაპიტანმა კარგად?
4. მართალია, რომ ლურჯმა გუნდმა მოიგო?

გაუმჯობესებული ვარიანტი; ნაწყვეტი I

1. ლურჯმა გუნდმა მოიგო: სწორია თუ მცდარი?
2. დაწერეთ ხუთსტრიქონიანი სახასიათო სკეტჩი ერთ-ერთი ფეხბურთელის შესახებ, რომელიც ამ მოთხრობაშია ნახსენები.

გაუმჯობესებული ვარიანტი; ნაწყვეტი II

3. დაწერეთ მეორე აბზაცში მოცემული ის სიტყვა, რომელიც ნიშნავს „მოკლედ“.
4. სამი წინადადებით ახსენით, თუ რატომ ვერ ითამაშა კაპიტანმა კარგად.

- შეადგინეთ რაც შეიძლება გასაგები და ზუსტი ინსტრუქციები და კითხვები: ერიდეთ ბუნდოვანებას.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

იცით თუ არა, რას ნიშნავს სიტყვა „წინასწარმეტყველური“?

სიტყვა „წინასწარმეტყველური“ ნიშნავს . . . . .  
. . . . .

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

თქვნი სიტყვებით გადმოეცით, თუ როგორ გრძნობდა თავს თინა.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

თქვნი სიტყვებით დაწერეთ ორი წინადადება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ გრძნობდა თავს თინა, როდესაც ის დააკავეს.

. . . . .

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

ნუ ეცდებით ესეს დაწერას, სანამ კარგად არ ჩამოაყალიბებთ მას.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

პირველად დაწერეთ ესეს შავი ვარიანტი სუფთა ფურცელზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაწერეთ საბოლოო ვარიანტი ცალხაზიან ფურცელზე.

- სადაც გამოყენებულია კონკრეტული წესები ან თავები, აღნიშნეთ ისინი ინსტრუქციებში.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

სულ რამდენი დრო გავიდა?

გაუმჯობესებული ვარიანტი  
მეზავრობას დასჭირდა. . . . . საათი და . . . . . წუთი.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

მას შემდეგ, რაც ჯონმა ერთხელ შემოუარა კორტს, რა მანძილი გაიარა მან?

გაუმჯობესებული ვარიანტი:

კორტის პერიმეტრის შემოვლისას ჯონმა გაიარა . . . . . მეტრი.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

ამოხსენით შემდეგი ამოცანები.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

ამოხსენით შემდეგი ამოცანები. გამოხატეთ სწორი პასუხი ორი ათობითი ხარისხის სიზუსტით.

- სადაც შესაძლებელია, მიუთითეთ კრიტერიუმზე, რომელიც გამოიყენება განვრცობილი პასუხის (მაგალითად ესეს ან გადასაჭრელი ამოცანის) შესაფასებლად.

ნიმუშები:

პასუხი იმსახურებს მაქსიმუმ ხუთ ქულას, თუ ის არ არის სრული.

.....

თქვენი ნაწერი შეფასდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ აზროვნებთ პასუხის მომზადებისას და რა შინაარსის ნამუშევარს წარადგენთ. გარდა ამისა, ნამუშევარი შეფასდება მისი სტრუქტურის, ორგანიზაციისა და, აგრეთვე, აზრის გამოხატვის საშუალებებისა და სტილის თუ ტექნიკის სიზუსტის თვალსაზრისით.

- სადაც შესაძლებელია, მოსწავლეებს ახალი და მათთვის უცნობი დავალებები მიაწოდეთ, მაგრამ ისინი მის მიერ ნასწავლ მასალას უნდა შეესაბამებოდეს.

(თუ მასალა – სტიმული, რომელსაც ტესტური დავალება მიუთითებს ახალია კანდიდატისათვის, ის მაინც უნდა შეიცავდეს იმ თემებს, რომლებიც სასწავლო კურსის შინაარსსა და მიზნებს შეესატყვისება. ამგვარი ახალი მასალის გააზრება და მასზე პასუხის გაცემა კანდიდატისათვის მნიშვნელოვან გამოცდილებას უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც აფართოებს მის ცოდნას და ტესტირებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის).

ნიმუშები

ქვემოთ მოტანილი ორი დოკუმენტი ეხება კარიბის რეგიონის ისტორიას, რომელიც თქვენ წელს გაიარეთ. ორივე დოკუმენტი თქვენთვის ახალია. წაიკითხეთ ისინი ყურადღებით და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს.

.....

მოუსმინეთ ნაწყვეტს მოცარტის ერთ-ერთი ადრეული სიმფონიიდან {No. 29, KV 201}. თუმცა თქვენ ეს ნაწარმოები წელს არ გაგივლიათ, ქვემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს ამ ნაწარმოების შედარებას თქვენ მიერ უკვე განვილი სიმფონიებთან.

- სადაც ეს შესაძლებელია, სათაურების მეშვეობით მიუთითეთ იმ სტრუქტურასა ან ორგანიზაციაზე, რომელსაც, თქვენი აზრით, მოსწავლეები ამოცანის შესრულებისას იყენებენ.

ნიმუშები

750-1000 სიტყვაში დაწერეთ კრიტიკული მიმოხილვა იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები განიცადა პაბლო პიკასოს მხატვრულმა სტილმა 1905 წლიდან 1945 წლამდე.

თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ:

- ა. ადრეულ ნამუშევრებს;
- ბ. კუბიზმის ზეგავლენას;
- გ. პოსტ-კუბისტურ მიმართულებებს.

.....

აირჩიეთ შილერის ნებისმიერი ორი ლექსი, რომლებიც ამ წელს გაიარეთ. დაწერეთ კრიტიკული წერილი, რომელშიც მოხდება ამ ლექსების ურთიერთშედარება და ნაჩვენები იქნება თუ შილერის პოეზიის რა მხარეებია ასახული თითოეულ მათგანში, რა არსებითი სხვაობაა ამ ორ ლექსში გამოყენებულ ენასა და მათ ზოგად ტონს შორის. აგრეთვე მოგვაწოდეთ ამ ნაწარმოებების სხვა მახასიათებლების თქვენეული შეფასება.

- რამდენადაც შესაძლებელია, ერიდეთ არჩევანის გაკეთებას ტესტურ დავალებებს შორის, მაგრამ არა არჩევანს ტესტური დავალების შიგნით. მეორე შემთხვევაში შემოგვთავაზეთ რეალური, აზრის შემცველი ალტერნატივები. თუ კანდიდატები პასუხის გაცემისას საკუთარ სტრუქტურასა ან ფორმას გამოიყენებენ, უთხარით მათ, რომ ეს დასაშვებია.

ნიმუშები

„არგენტინის ეკონომიკის უახლესი ისტორია შეიძლება აღიწეროს, როგორც პერიოდი, როდესაც ერთ კრიზისს მეორე კრიზისი ცვლიდა.“

750-1000 სიტყვაში ჩამოაყალიბეთ საკუთარი თვალსაზრის ამ ქვეყნის ეკონომიკის ისტორიის შესახებ 1960 წლის შემდეგ და ყურადღება გაამახვილეთ ერთ ან რამდენიმე საკითხზე, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი:

- საერთაშორისო ვაჭრობა;
- შიდა სავალუტო პოლიტიკა;
- ომის ზეგავლენა მალვინის (ფოლკლენდის) კუნძულებზე.

დაწერეთ იმ ადამიანის შესახებ, რომლის ფოტოსურათი ზემოთაა მოცემული. ეს წერილობითი დავალება შეგიძლიათ ნებისმიერი ფორმით შეასრულოთ: მოთხრობის, წერილის ან საუბრის ფორმით.

- თუ თქვენ იყენებთ ცალკე მასალას (სტიმულს), რათა კანდიდატს პასუხის გაცემაში შეუწყოთ ხელი, წარმატებული პასუხი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად კარგად ესმის კანდიდატს სტიმულში მოცემული ძირითადი საკითხი ან სხვა საკითხები, იმაზე, რომ მან არ გამოირიცხოს ირელევანტური მასალა კარგი პასუხის ძიებისას და კიდევ იმაზე, რომ გააცნობიეროს მასალაში მოცემული ფაქტები. ტესტზე პასუხი არ უნდა წარმოადგენდეს პასუხის პოვნისა და შემდეგ მისი უარყოფის უწყვეტ პროცესს.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

ჩამოთვალეთ სახელები იმ მოთხრობის პერსონაჟებისა, რომლებსაც ახლახან მოუსმინეთ.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

დაასახელეთ ახლახან მოსმენილი მოთხრობის პერსონაჟი, რომლის ქცევამ ყველაზე მეტად განაპირობა ის, რომ მოთხრობის სიუჟეტი დაძაბული გამზდარიყო. გადმოგვეცით თქვენი სიტყვებით, რა გააკეთა ამ პერსონაჟმა ისეთი, რის გამოც მოთხრობის სიუჟეტი დაიძაბა.

.....

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

რუკაზე მოცემული ქალაქებიდან, რომელია რიგით მესამე მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით?

გაუმჯობესებული ვარიანტი:

ქალაქი X რუკაზე ნაჩვენებია რეგიონის საბაზრო ქალაქია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ქალაქი სარკინიგზო ხაზების გადაკვეთაზე იმყოფება. მოიხმარეთ

რუკა და მასზე მოცემული ინფორმაცია იმ სამი მიზეზის დასადგენად, რის გამოც ეს ქალაქი მნიშვნელოვანი გახდა.

- როცა კი შეგიძლიათ სასარგებლო რჩევის მიცემა, დაბეჭდეთ იგი, თუნდაც ამისათვის რამდენიმე სიტყვის დამატება დაგჭირდეთ.

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

კანდიდატებმა კითხვებს დადგენილი თანმიმდევრობით უნდა უპასუხონ.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

თქვენ გაგიადვილდებათ დავალების შესრულება, თუ კითხვებს დადგენილი თანმიმდევრობით უპასუხებთ. თუმცა, თქვენ შესაძლოა დაგჭირდეთ რთული კითხვების გამოტოვება და მათ მოგვიანებით მიუბრუნდეთ.

.....

არადამაკმაყოფილებელი ვარიანტი:

დრო: ერთი საათი.

გაუმჯობესებული ვარიანტი:

დრო: ერთი საათი.

დაიტოვეთ ტესტირების დამთავრებამდე რამდენიმე წუთი, რათა საფუძვლიანად გადაამოწმოთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო.

## თაზი 15

### შემფასებელთა ჯგუფის ტრენინგი

მას შემდეგ, რაც ტესტი დაიბეჭდება და ჩატარდება ტესტირება, უნდა შედგეს ტესტირების შედეგების შემფასებელთა ტრენინგი. ზოგიერთი ტესტის შედეგებს მანქანა ამოწმებს. ასეთ შემთხვევაში მანქანა აწარმოებს სკანირებას და ოპტიკური საშუალებების მეშვეობით “კითხულობს” კანდიდატების მიერ გაცემულ პასუხებს. სხვა სახის ტესტირებისას, სადაც, მაგალითად, ტესტზე პასუხის გაცემა ესეს ფორმატით ხდება, შეფასება წარმოებს ადამიანების მიერ. ამ დროს, ჩვეულებრივ, შემფასებელთა ჯგუფს იყენებენ.

უნდა ჩატარდეს შემფასებელთა ჯგუფის ტრენინგი. ტრენინგამდე უნდა დადგინდეს კრიტერიუმები, რომლებიც შემფასებელთა ჯგუფის ყველა წევრმა უნდა გამოიყენოს ტესტირების შედეგების შეფასებისას. ეს კრიტერიუმები გამოიყენება განურჩევლად იმისა, თუ რა სახისაა ტესტირების შედეგი: ესე, ხელოვნების ნიმუში (ქანდაკება), დიაგრამა, გეგმა თუ კომპიუტერული ოპერაციის რეზულტატი. ნებისმიერი შეფასება ყოველთვის რაღაც კრიტერიუმების მიხედვით ხორციელდება, ამ კრიტერიუმებს ეყრდნობა. ამოცანა ისაა, რომ ყველა შემფასებელი საერთო კრიტერიუმებს იყენებდეს. საუკეთესო შეფასება კრიტერიუმებს ეფუძნება, რადგანაც კრიტერიუმები განსაზღვრავს არა მხოლოდ პასუხისადმი ქულის მინიჭებას, არამედ საფუძვლად უდევს იმ ანგარიშებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, რომლებიც შეფასების პროცესს ეყრდნობა. ეს მაშინაც ხდება, როდესაც შედეგები ნორმასთან მიმართებით არის საინტერესო ან როდესაც მოგვიანებით ხდება რაიმე მიზნით მათი სტანდარტიზაცია.

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ საცდელი ტესტის მონაცემები შეფასების საერთო კრიტერიუმების დასადგენად ტრენინგის მიზნით. თუ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ტესტური დავალებები, რომლებიც განვრცობილ პასუხებს მოითხოვს, გაივლის წინასწარ ტესტირებას, ჩვენ ხელთ გვექნება თითოეულ საბოლოოდ შერჩეულ თემასთან ან კითხვასთან დაკავშირებული ნიმუშები. გარდა ამისა, ტესტის შემდგენელს მკაფიო წარმოდგენა ექნება იმის თაობაზე, თუ რა უნდა ჩაითვალოს ტესტურ დავალებაზე ცუდ, საშუალო თუ კარგ პასუხად, რაც გვამძღვეს შეფასებათა კრიტერიუმების ნუსხას, რომელსაც ტრენინგისას გამოვიყენებთ.

შემფასებლების შერჩევისას შემდეგი პირობები უნდა იყოს დაცული: შემფასებელი უნდა იცნობდეს შესაფასებელ პროგრამას ან კურსს და უნდა ჰქონდეს მისი სწავლების გამოცდილება. ეს იმას განაპირობებს, რომ ტრენინგის პირველ შეხვედრაზე მოსვლისას შემფასებელს უკვე გააჩნია გარკვეული მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მოცემული პროგრამისა თუ კურსის გავლისას, ისევე, როგორც შეფასების კრიტერიუმების თაობაზე. ტრენინგის პირველი შეხვედრის

მიზანი ისაა, რომ ტესტის შემდგენელთა მიერ დადგენილი კრიტერიუმები, შემფასებელთა მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები და საცდელი ტესტირების რეზულტატების ნიმუშები მოვაქციოთ იმგვარი დინამიური სიტუაციის კონტექსტში, სადაც ჩამოყალიბდება საერთო შეხედულება კანდიდატების მიერ ტესტის შესრულების სხვადასხვა ხარისხის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგენს ამოსავალს ტრენინგის ნებისმიერი შეხვედრისათვის, განურჩევლად იმისა, თუ რა თემას ეძღვნება იგი:

1. აზროვნება, რომელსაც ავლენს კანდიდატი პასუხის მომზადებისას და შინაარსი, რომელსაც ის გვაწვდის თავისი ნამუშევრის წარდგენისას;
2. ნაშრომის შინაარსის საბოლოო სტრუქტურა და ორგანიზაცია, რომლის წარდგენა ხდება შესაფასებლად;
3. რა სახით არის გამოხატული ნაშრომი, როგორია მისი სტილი და ტექნიკა.

მუქი შრფტით მოცემული სიტყვები ერგება ნებისმიერ კრიტერიუმს. ენის ტესტში ტექნიკა შეიძლება ნიშნავდეს სიტყვის დამწერლობისა და პუნქტუაციის სისწორეს, ხოლო ორგანიზაცია შეიძლება აბზაცების დაცვაში გამოიხატებოდეს. მათემატიკურ ტესტში სტილი შეიძლება აღნიშნავდეს აზროვნების ეკონომიურობასა და მოხდენილობას, რომელიც კანდიდატმა გამოამჟღავნა ამოცანის გადაჭრისას. ზემოხსენებული ცნებების გამოყენება გვეხმარება მნიშვნელოვანი კრიტერიუმების გარშემო დიკუსიის ნაყოფიერად წარმართვაში. ეს იმაშიც გაუწევს შემფასებლებს დახმარებას, რომ მათ აიცილონ შეფასებისათვის ტიპობრივი შეცდომები: კონცენტრაცია ზედაპირულ მახასიათებლებზე და კანდიდატის ნაშრომის უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი მხარეების უგულებელყოფა.

## სქემა 17

შემფასებელთა ჯგუფის ტრენინგი

1. ჯგუფური დისკუსიისათვის შესაფერისი ადგილის პოვნა.
2. მხოლოდ იმ შემფასებელთა შერჩევა, რომლებიც საგნის ექპერტებს წარმოადგენენ და გამოცდილები არიან მის სწავლებაში (ან რაიმე სხვა გამოცდილება აკავშირებთ მოცემულ საგანთან).
3. ტრენინგის დაწყებამდე, თითოეული შემფასებლისათვის კრიტერიუმების ნუსხისა და საცდელი ტესტირების შედეგად კანდიდატებისაგან მიღებული პასუხების ნიმუშების მიწოდება.
4. ტრენინგის პირველ შეხვედრაზე მიმდინარეობს ინტერაქტიული პროცესები მცირე ჯგუფებს შიგნით, რათა ჯგუფის წევრებმა განიხილონ და შეასწორონ კრიტერიუმები ტესტური დავალებიდან და შესაბამისი ლიტერატურიდან გამომდინარე.

5. შეხვედრაზე, რომელზეც ტრენინგის მონაწილეები დიდ ჯგუფად ერთიანდებიან, თანხმდებიან კრიტერიუმების ნუსხის თაობაზე. თუ ეს შეუძლებელია, ეცადეთ, რომ რამდენადაც შესაძლებელია საერთო აზრი შეიმუშაოთ მათთან დაკავშირებით.
6. ტრენინგის თითოეული მონაწილე აფასებს საცდელი ტესტური მასალის სხვა ნიმუშს მიწოდებული კრიტერიუმების გამოყენებით. ტრენინგის ყველა მონაწილე ერთსა და იმავე ტესტურ მასალაზე მუშაობს.
7. მცირე ჯგუფებში განიხილება საცდელი შეფასების შედეგები და მთელ ჯგუფს, საჭიროებისამებრ, შესწორებები შეაქვს კრიტერიუმების ნუსხაში.
8. იწყება ქულების მინიჭება.

სქემა 17-ში შემოთავაზებულია შემფასებელთა ტრენინგის ორგანიზებისა და ჩატარების საფეხურები. ამ სქემიდან ჩანს, რომ შემფასებლებმა წინასწარ უნდა იცოდნენ შეფასების საერთო კრიტერიუმები. მაგალითად, მე-5 საფეხურზე დაგეგმილი საქმიანობა ადვილად განხორციელდება, თუ ბარათებს (თითოეულ ბარათზე მოცემულია ერთი შესაძლო კრიტერიუმი) დავახარისხებთ ჯგუფებად, რომლებშიც მსგავსი კრიტერიუმები იქნება გაერთიანებული, ამოვადებთ ზედმეტ ბარათებს და შევადგენთ ნუსხას დარჩენილი ბარათების გამოყენებით.

სქემა 17 მიუთითებს, რომ ტრენინგის მონაწილეები იყენებენ “რეალურ სიტუაციაში” შესრულებული სამუშაოს შედეგების ნიმუშებს კრიტერიუმების დადგენის მიზნით, მაგრამ აქ არ არის ნათქვამი ის, თუ რა სტრატეგიებს შეგვიძლია მივმართოთ სსენებული ნიმუშებისადმი კრიტერიუმების გამოყენებისას. ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც შეუძლია გამოიყენოს შემფასებელმა, ასეთია: ნიმუშების შეფასება ხდება ყველა კრიტერიუმის ერთდროულად გათვალისწინების საფუძველზე, რის შედეგადაც თითოეული შესრულებული დავალებისათვის მიიღება ერთი ნიშანი ანუ ქულა. მეორე სტრატეგიის თანახმად, თითოეული შესრულებული დავალება ფასდება ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით, რის შედეგადაც მიიღება ნაწილობრივი ქულები, რომლებიც შემდეგ ჯამდება. კიდევ ერთი სტრატეგია შემდეგს გულისხმობს: თითოეული ქულისათვის ანუ მიღწევის დონისათვის პოულობენ (და აქვეყნებენ) შესაბამისი კრიტერიუმის მაგალითს ან შესაბამის პასუხს (ნამუშევარს) და სთხოვენ შემფასებლებს, მიუსადაგონ ყოველი ახალი პასუხი (ნამუშევარი) ერთ-ერთ მაგალითს.

რომელი მეთოდიც არ უნდა გამოვიყენოთ (თითოეულს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე აქვს), პროცესში მონაწილე პირებს საკმარისი დრო უნდა გამოვუყოთ დისკუსიისათვის, რათა ისინი გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ. გარდა ამისა, შემფასებლების მიერ შეფასების რეალური პროცესის წარმოება ანალიზსა და შემდგომ დაკვირვებას უნდა დაექვემდებაროს. ამგვარ მონიტორინგს შეიძლება ჯგუფური განხილვა ახლდეს თან. ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ შემფასებლები განსხვავებულად მოახდენენ კრიტერიუმების ინტერპრეტაციას. იმასაც უნდა

ველოდოთ, რომ მათ მიერ მოცემული შეფასებები (ქულები) წინააღმდეგობრივი ხასიათის იქნება. ჩვენ სრულად ვერ მოვუვლით ხსენებულ პრობლემებს (ეს შეუძლებელიც კია), მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ მათ არ მოახდინონ ზეგავლენა შეფასების პროცესის სანდობასა და ვალიდურობაზე. (უკიდურეს შემთხვევაში, ეს შეიძლება შემფასებელთა ჯგუფიდან მისი ნაკლებ წარმატებული წევრების გარიცხვას გულისხმობდეს). შეფასების სანდობისა და ვალიდურობის ხარისხი შეგვიძლია სხვა გზითაც გავზარდოთ. ეს შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვის შემცირებით, რასაც ტრენინგის უფრო თავისუფალი გრაფიკი უზრუნველყოფს, ან კიდევ ტრენინგის დროს ჩასატარებელი სამუშაოს დაყოფით უფრო მცირე ნაწილებად, რათა ტრენინგის მონაწილეებს გაუჩნდეთ იმის რწმენა, რომ ისინი წარმატებით გაართმევენ თავს ტრენინგის ამოცანების შესრულებას.

მოცემული ტექსტის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ტესტირებისათვის დავალებების შერჩევაზე, ნახსენებია სუბიექტურობა, რომელიც იჩენს თავს მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტურ დავალებაზე “სწორი” პასუხის შერჩევისას. რა თქმა უნდა, მოსწავლეთა ნაწერისათვის ნიშნის მინიჭება ყოველთვის სუბიექტურად ხდება. როგორც არ უნდა ვეცადოთ, რომ შემფასებლები ეთანხმებოდნენ ერთმანეთს და საერთო კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ, მაინც განსხვავებულად ხდება კრიტერიუმების ინტერპრეტაცია და ქულების მინიჭება. ეს გარდაუვალია. მაგრამ ჩვენი მიზანია, ყოველივე ეს მინიმუმზე დავიყვანოთ. ზემოთ თქმული არ უკარგავს შეფასებას ვალიდურობას. ჩვენ, უბრალოდ, გვიწევს კომპრომისზე წასვლა, როდესაც ვხედავთ, რომ განვრცობილი და რთული პასუხების შეფასება მხოლოდ ასე შეიძლება ხდებოდეს.

## თაზი 16

### საპარჯიშოები

1. შეარჩიეთ სასწავლო პროგრამის სფერო, რომლის ექსპერტიც ხართ ან რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიული თვალსაზრისით.

სქემა 1-ის და 2 -ის გამოყენებით, დაწერეთ მოკლე სპეციფიკაცია იმ ტესტისა ან ტესტური პროგრამისათვის, რომელიც მოცემულ სფეროს განეკუთვნება. ერთი გვერდის დაწერა სრულიად საკმარისია - გამოტოვეთ საფეხური 8, მატრიცა.

მცირე ჯგუფს (2-4 ადამიანი) შეგნით მიმდინარე ინტერაქტივის პირობებში განიხილეთ ცალკეული პირების მიერ შემუშავებული სპეციფიკაციები.

2. იხელმძღვანელეთ სქემა 3 – 6-ით და გამოიყენეთ თქვენი სპეციფიკაცია (იმ სახით, რა სახესაც ის შეიძენს საპარჯიშო 1-ის შესრულების შედეგად მისი გადასინჯვის შემდეგ), ტესტისა ან ტესტური პროგრამისათვის სრული მატრიცის შესამუშავებლად.

შეიტანეთ მატრიცაში მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალებების კრებული, როგორც ერთ - ერთი ტესტური დავალება.

გაიმეორეთ მცირე ჯგუფში მიმდინარე ინტერაქტივი, რომელიც I საპარჯიშოში განხორციელდა.

3. გამოიყენეთ საპარჯიშო 2-ის შედეგად გადასინჯული მატრიცა მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალებების მცირე კრებულის შეადგენად (3-4 დავალება), რომელიც თქვენ მიერ მომზადებული სპეციფიკაციის შესატყვისი იქნება.

თუ ვერ მოიპოვეთ მისაწოდებელი მასალა (სტიმული), თავად მოგიწევთ მისი მომზადება.

შეადგინეთ მცირე ჯგუფი (პანელი) და განიხილეთ ეს ტესტური დავალებები.

## თაპი 17

### შეფასების ჩატარების საჭიროება განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე

მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ ნასწავლი მასალისა თუ შეძენილი უნარ-ჩვევების შეფასების შედეგად ჩვენ ვიღებთ ისეთ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება განათლების პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. ეს მონაცემები ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სასწავლო პროგრამის შესაფასებლად (მისი დადებითი მხარეების შესაფასებლად), მოსწავლეებისა და სტუდენტების ცოდნის დონის შესაფასებლად, ან კიდევ გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში სასწავლო პროცესის შემდეგ საფეხურზე.

გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნეს შეფასებული, შეფასების რომელი სტრატეგიები უნდა იქნეს გამოყენებული და რა სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ანგარიში, დამოკიდებულია სასწავლო პროგრამის მიზნებზე, მისი სხვადასხვა ნაწილის მნიშვნელობაზე და იმ ადამიანებზე, რომლებიც გამოიყენებენ შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ასე მაგალითად, ეროვნულ დონეზე, ამგვარი ინფორმაცია შეიძლება ჭირდებოდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მათ, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება სწორად იყოს მიღებული.

განათლების სექტორში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საჭიროებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულია სასწავლო პროგრამა, რომელ მოსწავლეებს შეუძლებელია სასურველი ხარისხით ესა თუ ის უნარ-ჩვევა, ვინ რა ხარისხით შეიძინა საჭირო ცოდნა, დამოკიდებულია ვალიდური (და, შესაბამისად, სანდო) შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაზე. მათი მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას იყენებენ გადაწყვეტილების მიღებისას. ინფორმაციის ტიპი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა დონეზე მიიღება გადაწყვეტილებები – სკოლის, რეგიონის, თუ ეროვნულ დონეზე.

სკოლის დონეზე განათლების პროცესის განმსაზღვრელი ცვლადებიდან ზოგიერთი შეიძლება ექვემდებარებოდეს ცვლილებას, ზოგი კი - არა.

მაგალითად, როგორც ცნობილია, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ზემოქმედებს მოსწავლის მიღწევის დონეზე, მაგრამ მასწავლებლებს არ შეუძლიათ მოსწავლეთა ოჯახების სოციალური ან ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა. მეორე მხრივ, სავსებით შესაძლებელია ზოგიერთი ცვლადით მანიპულირება და ამით მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება (ჩვენ ვამბობთ ხოლმე, რომ ასეთი ცვლადები უფრო *დამყოლია*). მაგალითად, სამუშაო ადგილზე მასწავლებელთა ტრენინგის ხარისხის გაუმჯობესებამ და მათთვის უკეთესი სასწავლო მასალის მიწოდებამ შესაძლოა გააუმჯობესოს მოსწავლეთა მიღწევები.

პროგრესის გასაზომად, ანუ იმისათვის, რომ დავინახოთ განსხვავება წარსულ და ახლანდელ მდგომარეობას შორის, ტესტირება ორჯერ მაინც უნდა ჩატარდეს. მაგალითად, იმისათვის, რომ შევაფასოთ ახალი პროგრამის ზემოქმედება სკოლის მუშაობის ხარისხზე, უნდა აღვწეროთ სწავლების ეფექტურობა ინოვაციამდე და ინოვაციის შემდეგ, რათა დავინახოთ, რა მოგვიტანა ინოვაციის შემოტანამ.

**რისთვის სჭირდება შეფასება მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს.**

*ცალკეული მოსწავლის დონეზე* - მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს ესაჭიროებათ ინფორმაცია მოსწავლის მიღწევის ხარისხის შესახებ, რომელიც უნდა მიგვითითებდეს არა მხოლოდ მის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, არამედ გვიჩვენებდეს, თუ როგორ გამოვიყენოთ ძლიერი მხარეები და როგორ დავძლიოთ სისუსტეები. შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების გაგება შეიძლება მხოლოდ იმ კონტექსტში, რომელშიც მოხდა მონაცემების შეგროვება. მაგალითად, მაჩვენებელი 59% არაფერზე მეტყველებს, თუ არ ვიცით, რა სახის სწავლებისა თუ სწავლის პირობებში მივიღეთ იგი, როგორი იყო სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა, გაიარა თუ არა მოსწავლემ სრული კურსი, რა კითხვები იყო დასმული შეფასებისას და რა პასუხები იყო მოსალოდნელი. ასეთი მაჩვენებელი აგრეთვე გვაწვდის ინფორმაციას სიზუსტის ხარისხის შესახებ – იგულისხმება, რომ სიზუსტის ხარისხი უნდა უახლოვდებოდეს ნახევარ პროცენტს, თუმცა სიზუსტის ამ ხარისხს იშვიათად აღწევენ განათლების სფეროში შეფასებების ჩატარების დროს.

**შეფასებასთან დაკავშირებული საჭიროებანი სასკოლო დონეზე**

*სკოლის დონეზე* - სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია ჩვეულებრივ ითხოვს ინფორმაციას მთლიანად კლასის და არა ცალკეული მოსწავლეების შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიძლება გამოხატავდეს რაიონის, რეგიონის ან ქვეყნის სხვადასხვა სკოლებში ჩატარებული შეფასებების შეპირისპირებას მოცემულ სკოლაში ჩატარებულ შეფასებასთან. ჩვეულებრივ, ამგვარი შეპირისპირება ძირითადად კონცენტრირებულია შედარებით სტატუსზე. მოცემული სკოლის სტატუსის გაუმჯობესება სხვა სკოლების სტატუსთან შედარებით შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი მიზეზებით, რომელებიც არ არის განპირობებული მოცემული სკოლის მასწავლებლების უნარ-ჩვევების დახვეწით ან სასკოლო პროგრამის სრულყოფით. მაგალითად, ამგვარი გაუმჯობესება შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ სკოლამ, რომელშიც სწავლების ხარისხი ძალიან დაბალია, შესაფასებლად მხოლოდ კარგი მოსწავლეები შეარჩიოს. შედარებით სტატუსზე კონცენტრირების ნაცვლად, უმჯობესია ყურდღება გავამახვილოთ იმ ინფორმაციაზე, რომელიც მოლოდინისა და მიზნის მიღწევის ცნებებით გამოიხატება. ანუ, სწავლების როგორი დონეა მისაღწევი და რამდენად ვუახლოვდებით მას. ამის შემდეგ, უნდა განვიხილოთ, თუ ჩვენ მიერ

განხორციელებული ქმედებები რამდენად უწყობს ხელს თითოეულ მოსწავლეს დასახული მიზნების მიღწევაში. ამ შემთხვევაში წარმატების ხარისხის შეფასებისას ვითვალისწინებთ იმას, თუ რამდენად უზრუნველყოფს სკოლა თითოეული მოსწავლისათვის მაქსიმალურ წინსვლას.

## შეფასებასთან დაკავშირებული საჭიროებანი რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე

რეგიონალურ დონეზე (შტატებისა და პროვინციების ჩათვლით) - მოთხოვნილი ინფორმაცია, ჩვეულებრივ, ეხება სკოლების ეფექტურობის გაუმჯობესებას. სკოლის მიღწევა, ამ დონეზე, უფრო მეტი რაოდენობის მაჩვენებლებით იზომება. ესენია სკოლისათვის გამოყოფილი რესურსების ეფექტური გამოყენება, იმგვარი პროგრამებით უზრუნველყოფა, რომლებიც პასუხობს საგანმანათლებლო პოლიტიკის პრინციპებს, თემის მონაწილეობა განათლების პროგრამებში.

ეროვნულ დონეზე მოთხოვნილი ინფორმაცია უფრო მეტად ეხება პოლიტიკური ხასიათის საკითხებს, ქვეყნის მასშტაბით განათლების დაგეგმვას და იმას, თუ რომელი საგანმანათლებლო გეგმისათვის უნდა გამოიყოს რესურსები.

*ეროვნულ დონეზე მომუშავე ოფიციალური პირები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ განათლების სისტემის გრძელვადიან ტენდენციებს - სისტემის უნარს, დაეხმაროს ყველა მოსწავლეს იმაში, რომ მათ მიაღწიონ ფიზიკური, სოციალური და გონებრივი განვითარების მაღალ სტანდარტს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ტენდენციები ჩარევას მოითხოვს, მაგალითად, მაშინ, როდესაც მოსწავლეების უმრავლესობა წარმატებით ვერ ართმევს თავს პროგრამის გარკვეულ ნაწილს, ან როდესაც პროგრამა საჭიროებს გადასინჯვასა და გადასტრუქტურირებას, რათა მოიცვას უახლესი კვლევები და გაითვალისწინოს ახალი სოციალური და ეკონომიკური ვითარება (სომერსეტი და ეკპოლმი, 1990, გვ. 18).*

ისინი, ვინც აპირებენ გარკვეული ქმედებების განხორციელებას, უნდა აცნობიერებდნენ იმ პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედეგებს, რომლებიც მათ ქმედებებს მოჰყვება და აგრეთვე ამ ქმედებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამ ღონისძიებებს ახორციელებდნენ მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღები პირები, პოლიტიკის შემქმნელები, სასკოლო პროგრამაზე, შეფასებაზე და მასწავლებელთა ტრენინგზე (სამუშაოს დაწყებამდე და შემდეგაც) პასუხისმგებელი პირები და აგრეთვე ისინი, ვინც განათლების სექტორში დაგეგმვის საკითხებზე მუშაობს.

ამგვარად, მათ, ვინც ამა თუ იმ ქმედებას მიმართავს, უნდა შეეძლოთ მოცემული ქმედების სარგებლიანობის დასაბუთება. მაგალითად, პოლიტიკოსებმა უნდა შეძლონ თავიანთი ამომრჩევლების დარწმუნება იმაში, რომ განხორციელებული ქმედებები გონივრულია; ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს იმის ჩვენება,

რომ პროგრამები ისე განხორციელდა, როგორც ეს იყო დაგეგმილი და შეძლოს ამ პროგრამის ეფექტურობის დემონსტრირება. ზემოთ აღნიშნულმა პირებმა აუცილებლად უნდა გააცნობიერონ, რომ ცვლილებების განხორციელება გაცილებით მეტია, ვიდრე ახალი დადგენილებების გამოქვეყნება. ეროვნულ დონეზე ალბათ საჭიროა, რომ მათ, ვინც სიახლეების დანერგვაზეა პასუხისმგებელი, გაიარონ ტრენინგი.

## თაზი 18 რა წარმოადგენს ტესტი?

ერთ-ერთი ვალიდური მიდგომა შეფასების მიმართ ისაა, რომ დააკვირდე ყველაფერს, რის სწავლებაც ხდება. თუმცა, აღსარიცხი ინფორმაციის სიმრავლის გამო, ამის გაკეთება ძირითადად შეუძლებელია. ამის ნაცვლად, უნდა მოხდეს ვალიდური შერჩევა იმ მიღწევებიდან, რომელებიც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს. რადგან სკოლის სასწავლო პროგრამები უვითარებენ მოსწავლეებს სხვადასხვა ამოცანის წარმატებით შესრულების უნარს, ერთ-ერთი გზა მოსწავლის ცოდნის შეფასებისა შეიძლება იყოს მათთვის გარკვეული რაოდენობის ამოცანების მიცემა, რომელებიც მათ სპეციფიკურ (განსაზღვრულ) პირობებში უნდა შეასრულონ. ჩვეულებრივი, წერილობითი ტესტის (Pencil-and-paper test) დავალება, რომელიც შეიძლება კითხვის სახით იყოს ჩამოყალიბებული, ამ ტიპის სპეციალურად შერჩეული ამოცანების მაგალითს წარმოადგენს. თუმცა, იმისათვის, რომ შევიქმნათ ყოვლისმომცველი, სრული და გააზრებული სურათი იმისა, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, ალბათ აუცილებელია ტესტში სხვა ტიპის ამოცანების შეტანაც. ასე, მაგალითად: ზუსტ მეცნიერებებში, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვნად ითვლება პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევები. ამის გამო ზუსტი მეცნიერებების შეფასების ტესტი პრაქტიკული ხასიათის დავალებებსაც უნდა შეიცავდეს. მსგავსად ამისა, მოსწავლეს, რომელიც სწავლობს მუსიკას, იმის დემონსტრაციისათვის, თუ რა ისწავლა მან, მუსიკალური ნაწარმოების შესრულება მოეთხოვება. ტესტური დავალებები, ანუ ამოცანები, წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილი მიღწევების შერჩევას, ხოლო ტესტი ასეთი დავალებების ერთობლიობას წარმოადგენს.

ცალკეული ტესტური დავალება შეიძლება არ იყოს მიღწევის სანდო ინდიკატორი, მაგრამ როდესაც რამდენიმე მსგავსი ტესტური დავალება ან ამოცანა ქმნის ერთიან ტესტს, ტესტის წარმატების ნიმუშის (pattern) ამსახველი ხდება. ასეთი ტესტი უფრო სანდო ინდიკატორია, რადგანაც სხვადასხვა წყაროდან (ანუ სხვადასხვა ცალკეული ამოცანიდან) აღებულ ინფორმაციას ეფუძნება.

ნათელია, რომ ერთ ტესტურ დავალებაზე გაცემული პასუხი არ უნდა იყოს დამოკიდებული მეორე ტესტურ დავალებაში ნაგულისხმევ ინფორმაციაზე, ანუ მეორე ტესტურ დავალებაზე გაცემულ პასუხზე. სხვაგვარად სხვადასხვა წყაროდან მიღებული დამოუკიდებელი ფაქტების კომბინაციაზე ვერ ვისაუბრებთ.

იგივე ითქმის ტესტიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შედეგების კომბინაციაზე, რომელიც აკადემიურ მიღწევას გვიჩვენებს.

მიდგომა, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე ასაკის მოსწავლეებისათვის ამოცანების ერთი და იმავე შერჩევის მიწოდებას, ღირებულია შეფასების ჩასატარებლად როგორც ცალკეული მოსწავლის, ასევე სასკოლო დონეზე.

მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებს განათლების პროგრამების სწავლების შეფასებისას შეუძლიათ ტესტის მონაცემები ორი თვალსაზრისით განიხილონ: 1) მასწავლებელი შეიძლება დაინტერესდეს ცალკეული მოსწავლის მიღწევებით თითოეულ შესაფასებელ სფეროში, რათა ნახოს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ რაიმე პროგრესს წინა პერიოდთან შედარებით; 2) მასწავლებელმა და სკოლის დირექტორმა შეიძლება ყურადღება გაამახვილონ თავად ამოცანების შესრულების ხარისხზე, რათა გამოყონ ის თემები, რომლებიც რთულია მოცემული ან პარალელური კლასებისათვის.

რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მომუშავე ოფიციალური პირები ასევე შეიძლება დაინტერესდნენ კონკრეტული ამოცანების შესრულებით, მაგრამ მონაცემების სიმრავლე და ძვირადღირებული რესურსები, რომლებიც საჭიროა მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ინტერპრეტაციისათვის, ხელს უშლის ამ ინფორმაციის შეგროვებას თითოეული მოსწავლის დონეზე. მოსწავლეების კარგად შედგენილი ალბათური შერჩევა წარმოადგენს ბევრად უფრო ეკონომიურ და საკმარისად ზუსტ საშუალებას მიღწევების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად როგორც რეგიონალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ტესტირების ტექნოლოგიაში მომხდარი უახლესი მიღწევები იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთსა და იმავე შერჩევაში მყოფმა მოსწავლეებმა არ უპასუხონ ერთსა და იმავე ტესტურ კითხვებს და, შესაბამისად, შეგროვებული ინფორმაცია შეგვიძლია განვავრცოთ თემების უფრო ფართო სპექტრზე. ამგვარი მონაცემების შეგროვებისას, მნიშვნელოვანია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ინფორმაცია გროვდება როგორც იმ ცვლადების შესახებ, რომლებიც ზეგავლენის მომხდენია, მაგრამ არ ექვემდებარება შეცვლას სკოლის მიერ, ასევე, ისეთ ცვლადებზეც, რომლებზე ზემოქმედებაც სკოლას შეუძლია. რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მომუშავე ოფიციალურ პირებს შეუძლიათ გაითვალისწინონ უცვლელი ფაქტორების სტატისტიკა, იმ ცვლადების ზეგავლენის შეფასებისას, რომლებზე ზემოქმედებაც სკოლას შეუძლია.

ჩვეულებრივ, ტრადიციული გამოცდები, რომლებიც რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე ტარდება, არ გამოდგება მიღწევების დინამიკის შესაფასებლად. ეროვნული გამოცდები ვერ უჩვენებს იმას, თუ რამდენად *გაუმჯობესდა* სწავლების უნარ-ჩვევები, რა ხარისხით მუშაობს სასწავლო პროგრამის თითოეული კომპონენტი, ან რა ხარისხისაა ის *დადებითი ცვლილებები*, რაც მოჰყვა პოლიტიკური ცვლილებების შედეგად რესურსების ახლებურ გამოყენებას. ეროვნული გამოცდებისას გამოყენებული შეფასება, რომელიც მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების ფორმატით ხდება, ერთგვაროვანი და ცალსახაა. მაგრამ სავარაუდოა, რომ აქ გამოყენებული კითხვები, ტესტის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, არ გამოიყენება შედარებით დაბალი დონის გამოცდებისას. ღია ტესტებისა და მოკლე პასუხების შემცველი ტესტების შეფასება ნაკლებ ცალსახაა შემფასებლის და კანდიდატის ქცევაში მოსალოდნელი

ვარიაციების გამო. გარდა ამისა, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ამ ტიპის კითხვებს იგივე შემფასებლები შეაფასებენ მომავალში.

პრობლემები, რომლებიც ტრადიციული გამოცდების დროს იჩენს თავს, იმაზე მიუთითებს, რომ მიღწევებში მომხდარი ცვლილებების შეფასება, რომლებიც დროთა განმავლობაში რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე იჩენს თავს, საჭიროებს სპეციალურად შემუშავებულ ტესტებს, რომლებიც შედარებით დაბალი დონის ტესტირებისას გამოიყენება. მათი შემუშავებისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ერთ შემთხვევაში გამოყენებული კითხვები შედარებადი იყოს სხვა შემთხვევაში გამოყენებულ კითხვებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთსა და იმავე კითხვებს არ წარმოადგენს. რაღაც ეტაპზე უნდა მოხდეს ემპირიული დემონსტრირება იმისა, რომ ეს კითხვები ერთმანეთთან შედარებადია. ჩვეულებრივ ეს იმას ნიშნავს, რომ კითხვების ორივე რიგს აწვდიან მოსწავლეების შერჩევას, რომელშიც სხვადასხვა მიღწევის მქონე ბავშვები შედიან. ამის შემდეგ, შეიძლება შემოწმდეს კითხვები, რომლებიც მსგავსია შინაარსისა და მოცვის თვალსაზრისით, რათა გაირკვეს, იძლევიან თუ არა მათზე მოსწავლეები ერთნაირ პასუხებს.

თუ კითხვები შედარებადია, მაშინ: ა) კითხვები ერთნაირი სირთულის იქნება; ბ) მათზე ერთნაირად უპასუხებენ სხვადასხვა ქვე-პოპულაციის წარმომადგენლები (ქალები, მამაკაცები, ეთნიკური უმცირესობები, ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლები); გ) კითხვებს ექნებათ დისკრიმინაციის მსგავსი სტრუქტურა სხვადასხვა სფეროში (ანუ, კითხვების ორივე წყების შემთხვევაში, დაბალი მიღწევის მქონე პირები აჩვენებენ მსგავს შედეგებს, საშუალო მიღწევის მქონეებსაც ექნებათ მსგავსი შედეგები და მაღალი მიღწევის მქონეთაც ექნებათ მსგავსი შედეგები). ამგვარი სპეციალურად შემუშავებული ტესტები შეგვიძლია გამოვიყენოთ შედარებით მცირე ზომის რეპრეზენტაციულ შერჩევებთან, რათა შევაფასოთ სასწავლო პროცესში მომხდარი ცვლილებების ხარისხი. ეს შეფასება საჭიროა იმისათვის, რომ მონიტორინგი გავუწიოთ დამატებითი დაფინანსებით, მასწავლებელთა კადრებში განხორციელებული ცვლილებებით და ახალი სასწავლო მასალის შემოტანით გამოწვეულ შედეგებს.

## თავი 19

### ტესტური მონაცემების ინტერპრეტაცია

მოსწავლეთა მონაცემების მატრიცა

ტესტის ჩატარების შედეგად მონაცემების მიღებისას, სხვადასხვა აუდიტორიას შედეგების სხვადასხვა ასპექტი აინტერესებს. ეს აისახება I სქემაში, რომელიც ქვემოთაა მოცემული.

მაგალითად, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აინტერესებთ ქულების ჯამური მაჩვენებლები, რომლებიც სვეტის ბოლოსაა მოცემული. მაღალი ქულა მაღალი მიღწევის მაჩვენებელია, დაბალი ქულა – დაბალი მიღწევის. მაგრამ, მიღწევათა დაჯამებისას, ეს ქულები აღარ ასახავს მოსწავლეების კონკრეტულ სუსტ და ძლიერ მხარეებს. ისინი აღარ იძლევიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ პროგრამის რომელი ნაწილი იცის მოსწავლემ და რომელი – არა. მასწავლებლებს, საგნის სპეციალისტებს, პროგრამის დამგეგმავ პირებს და ეროვნული პოლიტიკის ექსპერტებს აინტერესებთ ჯამური ქულები, რომლებიც მატრიცის მარჯვენა ნაწილშია მოცემული. ეს ქულები გვიჩვენებს, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად არის მოცული სხვადასხვა სფერო. დაბალი ქულები გვიჩვენებს მნიშვნელოვან ხარვეზებს ცოდნაში და იმ არეალებს, სადაც არ შესრულდა პროგრამის მიერ დასახული ამოცანები. მაღალი ქულები გვიჩვენებს იმ არეალებს, რომლებშიც პროგრამის მიერ დასახული ამოცანები შესრულებულია (ყოველ შემთხვევაში, იმ კითხვებზე პასუხებიდან გამომდინარე, რომლებიც ტესტშია მოცემული).

სქემა 18. მოსწავლეების მონაცემების მატრიცა. მატრიცა ეკუთვნის ტესტს, რომელიც ოც ტესტურ დავალებას შეიცავს

ტესტური დავალება	მოსწავლეები																		
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	
1	0	1	0	1	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	15
2	0	0	0	0	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	14
3	0	0	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	0	1	14
4	0	0	0	1	1	0	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	0	0	11
5	1	0	0	0	1	1	1	0	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	13
6	0	0	0	0	0	0	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	1	11
7	0	0	0	0	0	0	0	1	0	1	0	1	1	1	1	0	1	1	8
8	0	0	0	1	0	1	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	1	1	13
9	0	0	0	0	1	0	0	1	0	1	1	0	0	1	1	1	1	1	9
10	0	1	0	0	0	0	1	1	0	0	0	0	1	1	1	0	0	1	7
11	0	0	0	0	1	0	0	1	0	1	0	0	1	1	1	0	1	0	7
12	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	1	1	1	1	1	6
13	0	0	0	0	0	1	1	0	0	0	1	1	0	0	0	1	1	1	7
14	0	0	1	0	0	0	1	1	1	1	1	1	0	1	0	1	1	1	11
15	1	0	1	1	0	0	0	0	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	12

16	0	0	0	1	0	0	0	0	1	0	0	1	1	0	1	1	1	1	8
17	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	1	1	0	1	0	1	1	1	8
18	0	1	1	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	1	1	6
19	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	0	1	0	0	0	0	1	0	4
20	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	1	0	0	0	0	1	1	1	5
21	1	1	1	1	1	0	1	0	0	0	1	1	1	1	0	0	0	0	10
	3	4	5	7	7	9	10	10	12	12	14	14	14	14	15	15	17	17	199

**განსხვავებული მიზნებისათვის შეფასების შემუშავება**

ტრადიციული გამოცდების დროს ყველა მოსწავლეს ერთი და იგივე ამოცანა ეძლევა, რათა შესაძლებელი იყოს მათი შედეგების შედარება. (მაგალითად სქემა 1-ის სვეტებში მოცემული ჯამური ქულების ურთიერთშედარება). იმის გამო, რომ დრო შეზღუდულია, ხოლო მრავალრიცხოვანი კანდიდატების ტესტირება ძვირადღირებული საქმეა, გამოცდებში გამოყენებული ამოცანების რაოდენობა შედარებით მცირე უნდა იყოს. რადგანაც შეფასების ხარჯები, ზოგადად, პროპორციულია მატრიცაში უჯრების რაოდენობისა, ტრადიციული გამოცდების ჩატარებისას კითხვების რაოდენობა ამ ხარჯებით იქნება შეზღუდული. მიღებული მატრიცა საკმარისი მოცულობის იქნება იმისათვის, რომ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა დაიტოს, მაგრამ ის არ იქნება ძალიან ჩაღრმავებული ტესტური დავალებების შეზღუდული რაოდენობის გამო (იხ. სქემა 19).

სქემა 2. ტრადიციული გამოცდის მონაცემთა მატრიცა

ტესტური დავალებები	მოსწავლეები																		
	1	2	3	4	5	.	.	.	.	.	.	.	.	.	.				
1																			
2																			
.																			
.																			
.																			

დიდი რაოდენობით მოსწავლეების ტესტირების გამო ვერ ხერხდება ინფორმაციის შეგროვება მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ტრადიციული გამოცდებისას გამოყენებული კითხვები წარმოადგენს ისეთი ამოცანების შერჩევას, რომლებიც მოსახერხებელი ფორმატით შეგვიძლია მივაწოდოთ ნებისმიერ მოსწავლეს. ამ დროს, ჩვეულებრივ, ხდება ძნელად მისაწოდებელი ამოცანების

უგულებელყოფა. ეროვნულ დონეზე ჩატარებული ტესტირება განსხვავდება ჩვეულებრივი საჯარო გამოცდებისაგან. ეროვნულ დონეზე ჩატარებული ტესტირება, რომელიც აგროვებს ინფორმაციას მრავალი სხვადასხვა თემის შესახებ, ხარჯების შესამცირებლად საჭიროებს მოსწავლეთა რაოდენობის შეზღუდვას. ტესტში ტესტური დავალებების სიმრავლის გამო მიიღება ვიწრო, მაგრამ ძალიან ჩაღრმავებული მატრიცა. (იხ. სქემა 20).

იმ პირებს, რომლებიც ეროვნულ დონეზე დაგეგმვის პროცესში მონაწილეობენ, არ აინტერესებთ თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევები. როგორც პრაქტიკოსი ექიმი სტანდარტულ პირობებში იღებს სხეულის ქსოვილის ან სითხის ნიმუშს და შემდეგ ამ ნიმუშის ანალიზის შედეგად აკეთებს დასკვნას ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ, ასევე ეროვნულ დონეზე შეფასების ჩატარების დროსაც სტანდარტულ პირობებში ხდება მოსწავლეთა შედეგების შერჩევა, მათი ანალიზი და დასკვნის გამოტანა განათლების სისტემის მდგომარეობის შესახებ.

თუ ეს შერჩევა არ არის შესატყვისი ანუ რეპრეზენტაციული, მისგან გამოტანილი დასკვნები განათლების სისტემის შესახებ საეჭვო იქნება იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად ზუსტად ჩატარდება შეფასება.

სქემა 20. ეროვნულ დონეზე ჩატარებული ტესტირების მატრიცა

ტესტური დავალებები	მოსწავლეები				
	1	2	3	4	5
1					
2					
3					
.					
.					
.					
.					
.					
.					
.					

თუ ეროვნულ დონეზე შეფასებისას კითხვების რაოდენობა ძალზე დიდია, ტესტირება შეიძლება უფრო სერიოზული გამოდგეს, ვიდრე ამას საშუალო მოსწავლე ელის. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება მოსწავლეების ერთზე მეტი რეპრეზენტაციული შერჩევის შედგენა, რათა მოხერხდეს ფაქტების შეგროვება თითოეული მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

## თავი 20

### მიღწევების შესახებ დასკვნების გამოტანა ამოცანათა შერჩევიდან გამომდინარე

შეფასება გულისხმობს ფაქტების შერჩევას, რომლის საფუძველზეც კეთდება ვალიდური დასკვნა სასწავლო პროცესის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. თუ არ გვექნება ფაქტების შესატყვისი შერჩევა, გამოტანილი დასკვნებიც საეჭვო იქნება, იმისდა მიუხედავად, რამდენად ზუსტად ჩატარდა შეფასება. შესაძლებელია შეფასება სწორად ჩატარდეს, მაგრამ ის არ იყოს მნიშვნელოვანი მისაღები გადაწყვეტილების თვალსაზრისით.

მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია „ავწონოთ“ მოსწავლეები და უმაღლესი ქულა მივანიჭოთ ყველაზე დიდი წონის მქონე მოსწავლეს. ეს შეფასება შეიძლება იყოს სწორი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასწორი ზუსტია, მაგრამ ამგვარი ინფორმაცია არ არის რელევანტური სწავლის პროცესზე მსჯელობისას. რელევანტური იქნება იმ ამოცანების (ტესტური დავალებების) შეფასება, რომლებიც სწავლას ეხება. შერჩევა იმისა, თუ რა უნდა შეფასდეს, როგორი იქნება შეფასების სტრატეგიები და ანგარიშის ფორმები - დამოკიდებულია: სასწავლო პროგრამის მიზნებზე; იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის ნაწილები და აგრეთვე იმ აუდიტორიაზე, რომელსაც სჭირდება შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

#### ამოცანების შერჩევა

შერჩეული ამოცანები უნდა იყოს რეპრეზენტაციული ხასიათისა, რათა:

- სანდო დასკვნები გამოვიტანოთ როგორც იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც შეფასებისათვის შეირჩა, ისე იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც არ შეირჩა;
- მოვიცვათ სასწავლო პროგრამის ყველა მნიშვნელოვანი ნაწილი;
- შევაფასოთ ყველა მიღწევა (და არა მიღწევათა ვიწრო სპექტრი, რომლის დროსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შერჩევასთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილებების მიღება გიწევს).

რეპრეზენტაციული ამოცანების შერჩევა შეიძლება რთული აღმოჩნდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ამოცანები მთელ სასწავლო პროგრამას უნდა ასახავდეს, და არა მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივი წერილობითი ტესტით (pencil-and-paper test) შემოწმდეს. გარდა ამისა, ინტერპრეტაციისა და გაგების დონის შემოწმებისათვის ნებისმიერი ტესტური დავალება არ გამოდგება. ასევე, ნებისმიერი ტესტური დავალება არ გვაწვდის იმ ინფორმაციას, რომელიც გამოდგება სწავლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. თუ სასწავლო პროგრამა მოითხოვს ზემოთ ხსენებულ ინფორმაციას, მისი მიღება რეპრეზენტაციული ამოცანების საშუალებით უნდა ხდებოდეს. ისეთი ტესტური

დავალეები, რომელთა შესრულებას მხოლოდ მეხსიერება სჭირდება, ბევრად ადვილი შესადგენია, მაგრამ ისინი ვერ გვაწვდის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას. მაგალითად, ისეთი მაგალითების ამოხსნის უნარი, როგორებიცაა  $6+3=?$ ,  $9+5=?$ , და  $7+3=?$  არ გვაძლევს სანდო ინფორმაციას იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს დიაგრამების წაკითხვა ან ხის ჯოხის სიგრძის გაზომვა. ამიტომ, თუ გვინტერესებს დიაგრამების წაკითხვის უნარი, მაშინ შეფასებისას გამოყენებული ამოცანების ნაწილი დიაგრამების წაკითხვას უნდა ეხებოდეს, ხოლო თუ გვინტერესებს სიგრძის გაზომვის უნარი, მაშინ ამოცანები სიგრძის გაზომვას უნდა ეხებოდეს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ შევაფასოთ, რამდენად იქნა მიღწეული სასწავლო პროგრამის მიზნები. ტესტზე მომუშავე პროფესიონალები ხშირად ადგენენ იმ თემებისა და უნარ-ჩვევების სიას, რომლებიც ტესტში უნდა გაითვალისწინონ.

შესაძლოა, ზოგჯერ საჭირო გახდეს სხვადასხვა რეპრეზენტაციული ამოცანის შერჩევა, რადგან, საპირისპირო შემთხვევაში, ამოცანათა ჯგუფი, რომელიც ტესტირებას გაივლის, შეიძლება აჩვენებდეს მხოლოდ იმას, რაც მოსწავლეს ასწავლეს და ამიტომ, არ ასახავდეს მთელ პროგრამას. ტესტები უნდა მოიცავდეს როგორც შედარებით მარტივ, ისე შედარებით რთულ ამოცანებს. უფრო მარტივი ამოცანები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, უკეთ მოახდინონ იმის დემონსტრირება, რაც მათ ისწავლეს, ხოლო უფრო რთული ამოცანები მათ ძლიერ მხარეებს ასახავს.

ამოცანების ფუნქციაა აზრის შემცველი მასალის ანუ ფაქტების მიწოდება. ამოცანათა სირთულე უნდა შეესაბამებოდეს იმ მოსწავლეთა დონეს, რომელთაც უნდა უპასუხონ ამ ამოცანებს. ამოცანები შეიძლება ზედმეტად რთული გამოდგეს. თუ მოსწავლეებმა ვერ შეასრულეს ისინი, ჩვენ ვერ მივიღებთ საჭირო ინფორმაციას.

თუ მოსწავლეები ვერ ასრულებენ ამოცანებს, ჩვენ ვერ მივიღებთ ინფორმაციას მათი მიღწევების შესახებ. თუ ჩატარდა ორი ამგვარი შეფასება, აღმოჩნდება, რომ მოსწავლეებს არაფერი უსწავლიათ (ორივე ტესტირებისას ერთი და იმავე ქულეს მივიღებთ), თუმცა, რეალურად, მათ შეიძლება მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინეს. ასეთი შეფასება მცდარი იქნება, რადგანაც ის ვერ ასახავს შეძენილ ცოდნას. ისეთი დავალებების შემცველ ტესტებს, რომლებიც ნაკლებუნარიანი მოსწავლეების შეფასებისას ვერ აჩვენებს იმას, რაც ამ მოსწავლეებმა ისწავლეს, მინიმალური ეფექტის ('floor' effect) მქონე ტესტებს უწოდებენ.

შეიძლება ამოცანები ზედმეტად იოლიც აღმოჩნდეს. თუ ყველა მოსწავლეს შეუძლია მათი შესრულება, შედარებით უნარიან მოსწავლეებს არ ექნებათ თავიანთი მაღალი მიღწევების ჩვენების შანსი. ორჯერადი შეფასებისას, ჩვენ

დავინახავთ, რომ ამ ტიპის მოსწავლეებს არაფერი უსწავლიათ (მათი ქულა არ გაუმჯობესებულა), მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მათ მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინეს. ასეთი შეფასებაც მცდარი იქნება, რადგან ის არ ასახავს იმას, რის სწავლაც მოხდა. მრავალი იოლი დავალების შემცველი ტესტი არ აძლევს საშუალებას უფრო უნარიან მოსწავლეებს, მოახდინონ ნასწავლის დემონსტრაცია. ასეთ ტესტებს მაქსიმალური ეფექტის მქონე ('ceiling' effect.) ტესტებს უწოდებენ.

ამოცანათა სირთულის დონის ვარიაციები, სულ მცირე, უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა მიღწევის ხარისხის სპექტრს, თუ ჩვენ გვინდა შევიტყოთ, თუ რა ისწავლა ყველა მოსწავლემ. სასურველი სტანდარტის ტესტური დავალებების დაწერა, მათი შედგენა, მოითხოვს განვითარებულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც სცდება სასწავლო პროგრამის ცოდნას, ისევე, როგორც იმის ცოდნას, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები. ტესტურ დავალებებზე მომუშავე სპეციალისტების ჯგუფს, ჩვეულებრივ, შეუძლია საცდელი ტესტირებისათვის უკეთესი ტესტური დავალებების შედგენა, ვიდრე ცალკეულ პირს ან დამოუკიდებლად მომუშავე ადამიანთა ჯგუფს. ტესტური დავალების შედგენა კოლეგებთან ურთიერთობის გარეშე, ჩვეულებრივ, წამგებიანია და ასახავს მხოლოდ ერთი ადამიანის სუბიექტურ პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თუ ტესტის შემდგენელი შთაგონების "დეფიციტს" განიცდის, მის მიერ შედგენილი ტესტური დავალება შეიძლება ბანალურიც კი აღმოჩნდეს.

### **რა დამატებითი ინფორმაციის შემცველია ამოცანების შერჩევა**

შეფასება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სწავლებაზე. შეფასებისათვის შერჩეული თემები და ამ თემებისათვის შერჩეული ტესტური დავალებები მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის მიჩნეული მნიშვნელოვნად მათ მიერ, ვინც ატარებს შეფასებას. როდესაც შეფასება სკოლისათვის გარეშე პირების მიერ ტარდება, ეს ფაქტი მსგავს ინფორმაციას აწვდის სკოლის მასწავლებლებსაც. და პირიქით, თემა ან ტესტური დავალება, რომლის შერჩევაც არ მოხდა იმაზე მეტყველებს, რომ ის მნიშვნელოვნად არ არის მიჩნეული.

როდესაც შეფასების შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია (გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად ან დასაქმების მიზნით) ამოცანები, რომლებიც შეფასებისათვის გამოიყენება, დიდ ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროგრამაზე, სწავლების პრაქტიკაზე და მოსწავლის ქცევაზე. როდესაც ქვეყნდება საჯარო გამოცდების მასალა (პასუხები), მოსწავლეები და მასწავლებლები სერიოზულად უდგებიან მის ანალიზს და ცდილობენ პროგნოზის გაკეთებას იმის თაობაზე, თუ რომელი თემები იქნება შემდეგ გამოცდაზე შეტანილი, რათა არ დასჭირდეთ მთელი სასკოლო პროგრამის გავლა. სასწავლო პროცესის შეზღუდვამ

იმ თემებით, რომლებიც გამოცდაზე იქნება გატანილი, შეიძლება გამოიწვიოს მაღალი ქულების მიღება პროგრამის მთლიანად გავლის გარეშე.

ტესტირების ვიწრო პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებს სწავლებაზე. მაგალითად, ტესტები, რომლებიც ხელს უწყობს ფაქტების დამახსოვრებას და არა მიმართებების გაგებას, განაპირობებს ისეთი ტიპის სწავლებას, რომელიც უგულბებლყოფს მასალის გაგებას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას შესაძლოა სწორედ ასეთი უნარების მქონე ადამიანები სჭირდებოდეს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ განათლების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები პირები, და, ზოგადად საზოგადოება, აღარ ენდობოდეს საგამოცდო სისტემას, რადგანაც მაღალი ქულის მქონე კანდიდატებს არ გააჩნდეთ საჭირო უნარები. როდესაც ასეთი რამ ხდება, განათლების სისტემაში მომუშავე გადაწყვეტილების მიმღები პირები ზრდიან გამსვლელ ქულებს, იმ იმედით, რომ საზოგადოება ირწმუნებს მათ სანდოობას. მაგრამ მაღალი ქულის მიღება შეუსაბამო ტესტებზე ვერ გადაჭრის ამ პრობლემას. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა რელევანტური ტესტური დავალებების შემოტანა. ერთადერთი პასუხი ასეთ ვითარებაზე შეფასების ხარისხის გაუმჯობესებაა, რათა შეფასებები ემთხვეოდეს სასწავლო პროგრამის მიზნებს.

თავიდან ეს შეიძლება უფრო დიდ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული, რადგანაც ამგვარი ტესტების შედგენა უკეთ განვითარებულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ამ დროს, ჩვეულებრივ, გვჭირდება ტესტზე მომუშავე სპეციალისტების მთელი ჯგუფი და არა თითო - ოროლა ადამიანი, რომელთაც მივანდობთ ყველა კითხვის შედგენას. ასეთი უნარების მქონე, გამოცდილი მასწავლებლების როდენობა არ გაიზრდება, თუ შეფასების პროცედურები მასწავლებლებს არ მოსთხოვს მოსწავლეების მომზადებას უფრო მაღალი ხარისხის შეფასებისათვის. გარდა ამისა, ტესტური დავალებების შედგენის უნარი მისი წერის პროცესში ვითარდება. ტესტური დავალების შედგენის გამოცდილება, ისევე, როგორც უნარი იმისა, რომ გაარკვიო, თუ როგორ აზროვნებენ მოსწავლეები და როგორ ახდენენ ისინი სხვადასხვა ფაქტის ინტერპრეტაციას, თანდათანობით ყალიბდება. ტესტურ დავალებაზე მომუშავე მრავალი ექსპერტი გამოცდილი მასწავლებელია. მათ შეიძინეს იმგვარი ტესტური დავალებების შედგენის უნარი, რომლებიც ავლენს სწორ და მცდარ აზროვნებას.

შეიძლება გართულდეს გამოცდისათვის ამოცანების (დავალებების) შერჩევა, თუ მოცემული ამოცანის გადაჭრა სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი და გასაზომია ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთაც მხოლოდ ტრადიციული წერილობითი ტესტის გამოყენებით ვერ შევაფასებთ. მაგალითად, ასეთი ტესტი წარმატებით ვერ ზომავს პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევებს, გუნდური მუშაობის უნარს, ან საქმიანობის საწყის ეტაპზე მარცხის განცდისას პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოსინჯვის უნარს. სხვადასხვა საზოგადოებაში (თუ არ

ვიტყვი, რომ, ფაქტობრივად, ყველა საზოგადოებაში) პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევები, გუნდური მუშაობისა და კონკრეტული პრობლემის გადაჭრის უნარი გადარჩენისათვის და თემის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე უნარებად ითვლება. თუ გადაჭარბებული მნიშვნელობა მივანიჭებთ ტრადიციული წერილობითი ტექსტებით მიღებულ შეფასებას, გამოგვრჩება ისეთი ღირებული უნარ-ჩვევები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია მრავალი საზოგადოებისათვის.

## თა30 21

### რა მიზნებს ემსახურება ტესტი?

ტესტის შედეგები მრავალნაირ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ერთ-ერთია თითოეული მოსწავლის მაჩვენებლების შედარება მოსწავლეთა ჯგუფის მაჩვენებლებთან. იგულისხმება, რომ შესადარებელი ჯგუფი და ეს მოსწავლე ერთმანეთის მსგავსნი არიან. ამგვარი შედარება გვეუბნება იმას, თუ რამდენად უკეთესი ან უარესი მაჩვენებლები აქვს მოსწავლეს სხვა მოსწავლეებთან შედარებით, მაგრამ ის არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, თუ რომელი მოსწავლეები არიან კომპეტენტური შერჩეულ სფეროებში, ან რა უნდა გაკეთდეს მათი მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

შედეგების ინტერპრეტაციის მეორე ვარიანტი გულისხმობს თითოეული მოსწავლის შედეგების შედარებას დადგენილ მოთხოვნებთან. ამგვარი შედარება აჩვენებს მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას იმ მოსწავლეთა წილს, რომელთაც საკმარის ხარისხით აქვთ განვითარებული ესა თუ ის უნარ-ჩვევა და, აგრეთვე, გამოყოფს იმ თემებს, რომლებიც დამატებით სწავლებას ან სწავლების განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებას მოითხოვს. მეორე მიზნისათვის შემუშავებული ტესტები შეგვიძლია მოსწავლეების რანჟირებისათვისაც გამოვიყენოთ. რანჟირებისათვის გამოყენებული ტესტები, ჩვეულებრივ, არ ჩაირთავს ისეთ კითხვებს, რომელთაც მრავალი მოსწავლე წარმატებით უპასუხებს. ამ შემთხვევაში ნაკლებად საინტერესოა, თუ რომელი უნარ-ჩვევები ახასიათებთ ან არ ახასიათებთ ამ მოსწავლეებს, რადგანაც ერთადერთი ამოცანა მოსწავლეთა რანჟირებაა.

ცვლილებების აღწერა მხოლოდ ჯამური ქულების გამოყენებით არაპროდუქტიულია, რადგან ქულების მნიშვნელობის გაგება მხოლოდ იმ კონტექსტშია შესაძლებელი, სადაც ისინი მიიღება. მაგალითად, ტესტზე 60-პროცენტთან მაჩვენებლის მიღება ადვილი ტესტირების პირობებში, წინა პერიოდისგან განსხვავებით, შეიძლება უფრო დაბალი ღირებულებისა იყოს, ვიდრე 30 პროცენტის მიღება იმავე სფეროში რთული ტესტის შესრულებისას.

**შედეგები, რომლებიც მოსწავლეთა შესადარებლად გამოიყენება**

*ნორმასთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები:* ასეთი ტესტები გვიჩვენებს რეფერენტული ჯგუფის (ანუ ჯგუფის რომელთან მიმართებითაც იზომება მოსწავლეთა შედეგები) მონაცემებს რეპრეზენტაციული ტესტების შესრულებისას და, შესაბამისად, მოსწავლის მიერ ცალკეული ტესტის შესრულებისას მიღებული მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია რეფერენტულ ჯგუფთან შედარების სახით. როდესაც შედარება რეფერენტულ ჯგუფთან ხდება, მაჩვენებლები,

რომლებსაც ნორმას ვადარებთ, გვაწვდის ინფორმაციას სწავლაში მომხდარი გაუმჯობესების ან გაუარესების შესახებ, მაგრამ ეს გამოიხატება ქულის ცვლილებებში და არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რის გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია ამჟამად მოსწავლეს წინა პერიოდისგან განსხვავებით. თუ აღირიცხება ქულაში არსებული ცვლილებები (მაგალითად, განსხვავება საშუალო მაჩვენებელში), სკოლის ადმინისტრაცია ვერ იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ართმევს მოსწავლე თავს კონკრეტულ თემას და, ამიტომ, ცვლილებათა ინტერპრეტაციისას შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ თავის მწირ გამოცდილებას, რომელიც მოსწავლესთან ურთიერთობისას შეიძინა. ამას შეიძლება მოჰყვეს რომელიმე თემის დამუშავებისათვის ზედმეტად დიდი დროის გამოყოფა და მწირი რესურსების ფლანგვა რეალურ პრობლემაზე მუშაობის ნაცვლად.

ნორმასთან შედარებით მიღებული მაჩვენებლების სანდოობა საეჭვო ხდება, როდესაც მასწავლებელმა იცის, თუ როგორია რეალური ტესტი. მან შეიძლება, სრულიად ბუნებრივად, მუშაობისას აქცენტი გადაიტანოს იმ საკითხებზე, რომლებიც ტესტშია შესული, რის შედეგადაც ტესტირების შედეგები გაუმჯობესდება. ამგვარი გაუმჯობესება არ ასახავს იმას, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები უკეთესად ართმევენ თავს ზოგადად სასწავლო პროგრამას. როდესაც შედეგის გაუმჯობესება ხდება იმის ხარჯზე, რომ უფრო მეტი დრო ეთმობა სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვან თემებს, რომლებიც ამ კონკრეტულ ტესტში არ არის შესული, ირღვევა მოცემული ტესტის რეპრეზენტაციული ხასიათი, ანუ მოცემული ტესტი ვეღარ ჩაითვლება ისეთად, რომელიც ზომავს სასწავლო პროგრამის ათვისებისას მიღწეულ შედეგებს.

ნორმასთან მიმართებაზე დაფუძნებული ტესტები იმაზეც არის დამოკიდებული, რომ სასწავლო პროგრამამ არ განიცადოს ცვლილება. თუ სასწავლო პროგრამა შეიცვალა ან შეიცვალა მისთვის გამოყოფილი დრო, ტესტი, რომელიც გარკვეული სახით ფარავდა პროგრამის თავდაპირველ ვარიანტს, ვეღარ ასახავს შეცვლილ პროგრამას, რის გამოც შედარება საწყის რეფერენტულ ჯგუფთან აღარ იქნება მართებული.

ნორმასთან შედარებაზე დამყარებული ტესტები ხშირად ფართო სპექტრის ტესტებია. ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ კონკურენტულ პირობებში შერჩევის წარმოების მიზნით კანდიდატთა ძლიერი მხარეების რანჟირებისათვის, თუ გამოყენებული ტესტი ზოგადად რელევანტურია იმ უნარ-ჩვევების მიმართ, რომელთაც ის ზომავს. მაგრამ ქულები, რომლებიც ასახავს თითოეული კანდიდატის მიღწევას ჯგუფთან შედარებით, ნაკლებად სასარგებლოა მასწავლებლისათვის პრაქტიკული თვალსაზრისით. თუ ტესტის ქულები გამოიყენება იმისათვის, რომ რჩევა მივცეთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ტესტი სხვა სახის ინფორმაციასაც უნდა იძლეოდეს. ამგვარი ტესტების მომზადება, ჩვეულებრივ, კონკრეტული სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით

ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ტესტის ყოველი კითხვა სასწავლო პროგრამას შევედართ, რათა ვნახოთ, თუ რამდენად შეესაბამება რეალური პროგრამა იმ “სასწავლო პროგრამას”, რომელზეც ფიქრობს ტესტის ავტორი ნორმასთან მიმართებაზე დაფუძნებულ ტესტზე მუშაობისას. მაგალითად, მათემატიკის ავსტრალიურ პროგრამაში ალგებრა და გეომეტრია სწავლების მეშვიდე წელს არის შემოტანილი, იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ჩრდილო ამერიკულ პროგრამებში მათი შემოტანა ბევრად გვიან ხდება. გარდა ამისა, სასწავლო პროგრამაში შეტანილი თემების ბალანსი შეიძლება არ ემთხვეოდეს მათ ბალანსს შერჩეულ ტესტში. თუ ტესტის ზოგიერთი დებულება არ შეესაბამება სასწავლო პროგრამას, ნორმასთან შესადარებელი ჯამური ქულების ცხრილები აზრის შემცველი აღარ იქნება. ტესტის ზოგიერთი გამოცემელი ახერხებს, ახლებურად გადაიანგარიშოს ნორმასთან შესადარებელი ცხრილები, რათა შედარება აზრიანი გახადოს, მაგრამ ეს ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია სრული მონაცემები და არსებობს თუ არა კვალიფიციური პერსონალი, რომელიც შეძლებს მონაცემების ხელახალ კალკულაციას.

ძალიან ცოტა ტესტი აწვდის მომხმარებელს სტრატეგიას, რომელიც მას ტესტში საჭირო ცვლილებების შეტანის საშუალებას აძლევს, თუმცა ზოგიერთი ტესტი, რომელიც იქმნება ტესტურ დავალებზე პასუხის თეორიის (Item Response Theory) და ლატენტური ნიშნების თეორიის (Latent Trait Theory) გამოყენებით, საშუალებას აძლევს კვალიფიციურ და გამოცდილ მომხმარებელს, შეაფასოს ახალი ნორმატიული ცხრილები რიგი ტესტური დავალებებისათვის.

**შედეგები, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეების შესადარებლად დადგენილ მოთხოვნებთან**

*კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები:* ეს ტესტი გვაწვდის ინფორმაციას მოსწავლეების მიერ ათვისებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე და არ არის დამოკიდებული მოსწავლეების სხვა ჯგუფის მიღწევებთან შედარებაზე. ხშირად კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები მოიცავს სასწავლო პროგრამისათვის მნიშვნელოვან ყველა კრიტერიუმს და არ ეყრდნობა მხოლოდ შერჩევას, როგორც ეს ხდება ნორმასთან მიმართებაზე დაფუძნებული ტესტების შემთხვევაში.

კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები გვაწვდის ინფორმაციას მოსწავლეების წარმატებისა და წარუმატებლობის შესახებ წინა პერიოდთან შედარებით. ეს შეიძლება გამოიხატოს იმ მოსწავლეების რაოდენობრივ თანაფარდობაში, რომელთაც აითვისეს ან ვერ აითვისეს კონკრეტული უნარ-ჩვევები. ამგვარი მონაცემი ნაკლებად არის დამოკიდებული სასწავლო პროგრამაში შეტანილ ცვლილებებზე, თუკი ეს უნარ-ჩვევები ახალ პროგრამაშიც ფიგურირებს. კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტირების შედეგებზე ნაკლებად

ზემოქმედებს ის ფაქტი, რომ მასწავლებლები იცნობენ რეალურ ტესტს. თუ მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ იმ სამუშაოს, რომელიც მოწმდება ტესტით (და არა იმ ტესტურ დავალებებს, რომლებიც ტესტშია შეტანილი), მათ მაინც მოუწევთ სასწავლო პროგრამის ყველა ძირითად საკითხზე მუშაობა. წარმატებული მოსწავლეების რაოდენობის ზრდა იმას მიუთითებს, რომ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც უკეთესად ართმევენ თავს პროგრამას (თუ წარმატებული მოსწავლეების რაოდენობის ზრდა არ არის გამოწვეული იმით, რომ შედეგებში არ არის ასახული დაბალი მოსწრების მოსწავლეების რეზულტატები, ანუ ხდება იმ მოსწავლეების შერჩევა, რომელთაც უკეთესი შედეგები აქვთ).

**დახელოვნების ტესტები:** ეს არის ზოგადად კრიტერიუმთან შედარებაზე დაფუძნებული ტესტები, რომლებიც უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეებს. ითვლება, რომ მოსწავლეები, რომლებიც პასუხობენ ამ მოთხოვნებს, კარგად არიან დახელოვნებულნი შესაბამის სფეროში. იგულისხმება, რომ ამ ტიპის ტესტებში შედის საკმაო რაოდენობის მაღალი ხარისხის ტესტური დავალებები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლის შეფასება (ანუ ქულა, რომელიც ენიჭება მოსწავლეს) საფუძვლიანად ასახავს შესაფასებელ სფეროს.

მაგალითად, მათემატიკაში ამგვარი თემა შეიძლება იყოს ყველა იმ ერთნიშნა წყვილი ციფრების შეკრება, რომელთა ჯამი არ აღემატება 9-ს. ამ ტიპის დახელოვნების ტესტი უნდა მოიცავდეს საკმარისად დიდ შერჩევას ერთნიშნა ციფრების შესაძლო კომბინაციებისა, რადგან დახელოვნების დონეზე მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს, რომ ყველა შეკრება შეიძლება სწორად განხორციელდეს და, ამავე დროს, შესაძლოა არ მოხდეს ყველა მათგანის ტესტირება. ეს მარტივი მაგალითი არ გულისხმობს იმას, რომ დახელოვნების ტესტი ამდენად ბანალური ამოცანებით იფარგლება. დახელოვნების ტესტის უფრო რთული მაგალითია მფრინავების რეგულარული ტესტირება. უსაფრთხოების მოთხოვნები განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა სფეროში განხორციელებული საქმიანობის მიმართ მაღალი სტანდარტები წესდება. თუ მფრინავი არ პასუხობს დადგენილ სტანდარტს, მას მოუწევს დამატებითი ტრენინგის გავლა გამოცდილი ექსპერტის ხელმძღვანელობით ან მას ერთმევა მფრინავად მუშაობის უფლება.

### ტესტების სხვა კატეგორიები

**სისწრაფისა და უნარ-ჩვევების იდენტიფიკაციის ტესტები:** ზოგი ტესტი ძალიან ადვილ დავალებებს შეიცავს, მაგრამ მათი შესრულება დროშია შეზღუდული. სისწრაფის შემოწმების ტესტები გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად შეუძლიათ მოსწავლეებს უკვე ათვისებული უნარ-ჩვევების გამოყენება. ერთ-ერთი მაგალითია ბეჭდვის უნარის შემოწმება. მასწავლებელი შესაძლოა დაინტერესდეს, თუ

რამდენად სწრაფად შეუძლიათ მოსწავლეებს, უშეცდომოდ აკრიფონ მონაცემები საბეჭდ მანაქანაზე ან კომპიუტერის კლავიატურაზე.

ამისგან განსხვავებით, უნარ – ჩვევების იდენტიფიკაციის ტესტები გამოიყენება იმ უნარ-ჩვევების დასადგენად, რომლებიც უკვე აითვისა მოსწავლემ. ასეთი ტესტი მოითხოვს, რომ მოსწავლეთა ქცევების შერჩევა საკმარისად ფართო იყოს, და რომ კანდიდატებს ჰქონდეთ საკმარის დრო იმისათვის, რომ სცადონ ტესტურ დავალებათა უმეტესობის შესრულება.

***მიდრეკილების ანუ უნარების გამზომი ტესტი და მიღწევის გამზომი ტესტი:***

მიღწევის ტესტს იყენებენ იმის შესაფასებლად, თუ სასწავლო პროგრამის რომელი მიზნები იქნა მიღწეული. ამგვარი ტესტები უნდა შეიცავდეს დავალებებს, რომლებიც ნასწავლი მასალის დემონსტრირების საშუალებას იძლევა. რამდენადაც მომავალში შეძენილი ცოდნა გარკვეული ხარისხით დამოკიდებულია წარსულში შეძენილ ცოდნაზე, მიღწევის გამზომი ტესტების წარმატებით შესრულება მომავალი წარმატების პროგნოზის საშუალებას იძლევა გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში (დამაკმაყოფილებელი სწავლება, ჯანმრთელობის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და ნორმალური ოჯახური გარემო).

ტესტებს, რომლებიც ზომავს სწავლის უნარს, მიდრეკილების ან უნარის გამზომ ტესტებს უწოდებენ. ამგვარი ტესტების შესრულების შედეგები გამოიყენება მოსწავლის მომავალი წარმატებების პროგნოზირებისათვის. პროგნოზი ეყრდნობა შედეგებს, რომლებიც გვიჩვენა მოსწავლემ უნარების გამზომი ტესტის საგანგებოდ შერჩეული დავალებების შესრულებისას. ხშირად ეს ამოცანები განსხვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომელთაც ჩვეულებრივ სკოლა უყენებს მოსწავლეებს და, გარკვეული ხარისხით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ისწავლა მოსწავლემ სასწავლო პროგრამის ფარგლებს გარეთ. რა თქმა უნდა, მოსწავლეებისათვის ტესტური დავალებების და მათი შესაბამისი პასუხების სწავლებამ შეიძლება გააუმჯობესოს შეფასება (გაზარდოს ქულა) მოსწავლის რეალური უნარების განვითარების გარეშე.

***ობიექტური ტესტი:*** ტესტის აღწერისას ტერმინი “ობიექტური” სხვადასხვა მნიშვნელობისა შეიძლება იყოს. იგი შეიძლება იმას მიუთითებდეს, რომ ტესტზე გაცემული პასუხის შეფასება მინიმალურ ინტერპრეტაციას საჭიროებს იმისათვის, რომ პასუხი სწორად ან არასწორად ჩაითვალოს. ამ აზრით ობიექტურია ტესტი, რომლის დავალებებზე გაცემული პასუხის შეფასება ხდება ზუსტად და მიუკერძოებლად ტესტის შინაარსის ცოდნის გარეშე, რის საშუალებასაც ტესტის შეფასების გასაღები იძლევა. მაგალითად, მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტზე გაცემული პასუხები შეიძლება შეაფასოს მანქანამ ან ადამიანმა, რომელიც არ იცნობს ტესტის მასალას.

ტერმინი „ობიექტური“ უფრო იშვიათად გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ ექსპერტები, ამა თუ იმ ხარისხით, შეთანხმებულები არიან იმაზე, თუ რომელი პასუხი უნდა ჩაითვალოს სწორ პასუხად. რაც უფრო ნაკლებია უთანხმოება პასუხის სისწორესთან დაკავშირებით, ტესტური დავალება უფრო ობიექტურად ითვლება. თუმცა, სუბიექტურია ის, თუ რომელ დავალებას ირჩევენ ტესტში შესატანად (განურჩევლად იმისა, დავალებაზე პასუხის ფორმატი ობიექტურია თუ არა), რადგანაც არჩევანი დამოკიდებულია იმ ადამიანთა გამოცდილებაზე, ვინც ადგენს ტესტს და კიდევ იმაზე, თუ რას ანიჭებენ ტესტის შემდგენლები უპირატესობას.

*სტანდარტიზებული ტესტები:* ტერმინი „სტანდარტიზებული“ ასევე პოლისემიურია. იგი შეიძლება აღნიშნავდეს იმას, რომ ტესტის მიწოდება და პასუხების შეფასება შეთანხმებული წესით ხდება, რომ ყველა კანდიდატს ერთსა და იმავე ამოცანას სთავაზობენ და რომ პასუხების შეფასებისას მხოლოდ მცირე გადახრას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. კიდევ ერთი მნიშვნელობა მიუთითებს იმას, თუ რა სახით ხდება ტესტის ქულების წარდგენა. მაგალითად, თუ წინასწარი, დაუშუშავებელი ქულები გაყოფილია დისპერსიის რაიმე საზომზე, მაგალითად სტანდარტულ გადახრაზე, შედეგად ვიღებთ ეგრეთ წოდებულ სტანდარტიზებულ ქულებს (ზოგჯერ მათ სტანდარტულ ქულებს უწოდებენ).


და ბოლოს, ტერმინი “სტანდარტიზებული” შეიძლება მიუთითებდეს გამოქვეყნებულ ტესტს, რომელიც შედგენილია სტანდარტული (შეთანხმებული) პროცედურების მიხედვით. ტერმინი ”სტანდარტიზებულის“ გამოყენება შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს, რადგან გამოქვეყნებულ ტესტებში ქულები ინტერპრეტირებულია, როგორც საშუალოდან გადახრა და, ამავე დროს, ამ ტესტებს გააჩნიათ ტესტის მიწოდების და შედეგების ინტერპრეტაციის სტანდარტული პროცედურები.

*დიაგნოსტური ტესტები:* ეს ტერმინი ტესტის მიწოდების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებაზე მიუთითებს. იგულისხმება, რომ ტესტის შედეგები გვეხმარება როგორც უცნობი თემების იდენტიფიკაციაში, ასევე გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს სიმძლეები, რომლებსაც მოსწავლეები აწყდებიან. მასწავლებლებისგან შეიძლება მოითხოვონ, რომ სწავლის პროცესში მოსწავლეებს დაეხმარონ იმ სირთულეების დაძლევაში, რომელთაც დიაგნოსტურ ტესტში იჩინეს თავი. მაგალითად, საშუალო სკოლის დაბალი კლასის მოსწავლეებმა, რომელთაც დაუსვეს მარტივი ღია ტიპის მათემატიკური კითხვა ფართობის შესახებ, მრავალგვარი სწორი და არასწორი პასუხი მოგვაწოდეს. ეს კითხვა ასეთი სახის იყო:

ფერმერმა შემოლობა ოთხკუთხედი მიწის ნაკვეთი. ნაკვეთის გრძელი გვერდები 5 მეტრის სიგრძისაა, მოკლე კი 3 მეტრის (იხილეთ ქვემოთ მოტანილი დიაგრამა). როგორია შემოლობილი მიწის ნაკვეთის ფართობი?



მიღებული პასუხები: 8 მეტრი<sup>2</sup>, 16 მეტრი<sup>2</sup>, 16 მეტრი<sup>2</sup>, 15 მეტრი<sup>2</sup>, 30 მეტრი<sup>2</sup>, და 255 მეტრი<sup>2</sup>. მათ, ვისი პასუხებიც იყო 8 მეტრი<sup>2</sup>, 16 მეტრი, 16 მეტრი<sup>2</sup> პერიმეტრი აერიათ ფართობში. მათ ალბათ შეაჯამეს 3,5,3 და 5 და მიიღეს 16 ან შეაჯამეს 5 და 3 და მიიღეს 8. მათ, ვისი პასუხიც იყო 30 მეტრი<sup>2</sup>, ალბათ ორჯერ გაამრავლეს 5 3-ზე და შეაჯამეს ეს ორი შედეგი. ხოლო მათ, ვისი პასუხიცაა 225 მეტრი<sup>2</sup> ალბათ 3 გაამრავლეს 5-ზე, შემდეგ 3-ზე და შემდეგ 5-ზე. ის, რომ შესაძლებელია გავიგოთ, თუ როგორ ხდება მცდარი პასუხის მიღება, საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დაგეგმოს ამ ვითარების გამოსწორების გზები ან ეხმარება სასწავლო პროგრამის ავტორებს, დაგეგმონ შესატყვისი აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს უფრო ნათლად განასხვავებინებს ფართობისა და პერიმეტრის ცნებებს. ზოგიერთმა მოსწავლემ, ვინც ამოცანას სწორი პასუხი გასცა (15 მეტრი<sup>2</sup>), დახაზა 15 1 მეტრიანი კვადრატები და ამით აჩვენა, რომ სწორად გაიგო ამოცანა:



**პრაქტიკული ტესტი:** გარკვეული აზრით, ესეც ტიპის ტესტი პრაქტიკული ტესტია. ტესტური დავალებები, რომლებიც ესეც ტიპის პასუხს მოითხოვს, პრაქტიკულად გულისხმობს გარკვეული მნიშვნელობის გადმოცემას პროზაული “ნაწარმოების” მეშვეობით, რომელიც შეთანხმებული ფორმატით იწერება. თუმცა ტერმინი “პრაქტიკული ტესტი” სცდება ლინგვისტურ აქტივობას და სხვა დავალებებს, რომლებიც წერილობითი ტესტების შესრულებას გულისხმობს. ამ ტერმინით შეიძლება აღინიშნებოდეს ისეთი პრაქტიკული საქმიანობა, როგორიცაა

ხისა და ლითონის დამუშავება, ტყავის დამუშავება და გემთმშენებლობა, აგრეთვე მუსიკალური და თეატრალური შესრულება, ცურვა და ტანვარჯიში, ან კიდევ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებსაც ითხოვს ლაბორატორიული ან საველე სამუშაოების შესრულება მეცნიერებაში, სოფლის მეურნეობაში, გეოგრაფიაში, გარემოს დაცვასა და ფიზიკურ კულტურაში.

## თაზი 22 რა ტიპის უნდა იყოს დავალებები?

ის, თუ რა ტიპის კითხვებს გამოვიყენებთ ტესტში, დამოკიდებულია მოსწავლეთა ასაკსა და სასწავლო გამოცდილებაზე, იმაზე, თუ რა მიღწევები იზომება, რა ტიპის პასუხი უნდა გაეცეს ტესტს და როგორ ვაპირებთ მიღებული ინფორმაციის გამოყენებას. დავალებათა შერჩევაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კანდიდატთა რაოდენობამ და იმან, თუ როგორია დროის ინტერვალი ტესტირებით მიღებული ინფორმაციის შეგროვებასა და შედეგების პრეზენტაციას შორის.

### დავალებები, რომლებიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს

ზოგი ტესტური დავალება მოითხოვს პასუხის შექმნას ანუ კონსტრუირებას წერილობით, ზეპირად ან ნახატის სახით. მაგალითად, დავალება “დაწერეთ სამი აბზაცი, რომელიც აღწერს შეფასების კონტექსტს თქვენს ქვეყანაში და დაასახელებთ ის ძირითადი საკითხები, რომელთა შეფასებაც უნდა ხდებოდეს”, მოითხოვს კანდიდატისაგან პასუხად რამდენიმე წინადადების დაწერას. შეიძლება მსგავსი ამოცანა იყოს შესასრულებელი ზეპირი ტესტის დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში კანდიდატს მოეთხოვება არა წერილობითი, არამედ ზეპირი პასუხის გაცემა. დავალება შეიძლება მოითხოვდეს დიაგრამისა ან სქემის დახატვას, ხელსაწყობი მანიპულირებას (ყველაზე დიდი მასის განსაზღვრა სასწორის დახმარებით) და შენებასაც კი (მაგ., მოლელის შექმნა ან აშენება). უფრო მოცულობითი დავალებები, როგორცაა პროექტების წერა და კვლევის წარმოება, შესაძლოა მოითხოვდეს ანგარიშის მომზადებას, სადაც დასახელებულია პრობლემა, აღწერილია მიდგომა პრობლემის გადაჭრის მიმართულებით და მოცემულია შედეგები, რომლებიც პრობლემის გადაჭრით მიიღება.

ისეთი პასუხების შეფასება, რომლებიც პროზაული ნაწარმოების დაწერას, ზეპირ მეტყველებას, ნახატების შექმნას და მანიპულირებას გულისხმობს, საკმაოდ რთულია. ამ შემთხვევაში გვჭირდება ექსპერტი-შემფასებელი, რადგან თითოეული პასუხის შეფასება ინტერპრეტაციას მოითხოვს. შემფასებლები განსხვავდებიან კომპეტენტურობით, სხვადასხვა დროს განსხვავებულად აწარმოებენ შეფასებას ზოგიერთი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად (დაღლილობა; სირთულე - ობიექტურად შეაფასო კანდიდატის პასუხები ანუ არ შეაფასო ისინი წინა კანდიდატის პასუხების ზეგავლენით; ზოგიერთი სწორი პასუხისათვის კრედიტის მინიჭება, ზოგი სწორი პასუხისათვის კი - არა). შემფასებლები იმითაც განსხვავდებიან, თუ რამდენად ითვალისწინებენ ნაწერის სისუფთავეს, გრამატიკულ შეცდომებს და სიტყვების წერისას დაშვებულ შეცდომებს.

ერთ-ერთი გზა, რაც აგვარიდებს ზემოთ ხსენებულ პრობლემებს, შემფასებელთა ჯგუფის ტრენინგია. ამგვარი ტრენინგის დროს ხშირად იმართება დისკუსია იმის

შესახებ, თუ რა არის ყურადსაღები შეფასების დროს და რა არის ის ძირითადი, რაც უნდა აისახებოდეს კანდიდატის ნამუშევარში. ამის შემდეგ, შემფასებლებმა ქულები უნდა მიანიჭონ პასუხების ანონიმურ რეალურ შერჩევას იმის გათვალისწინებით, რაც მათ ტრენინგის დროს ისწავლეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეხებოდეს პასუხების რეალურ შერჩევას. ტრენინგმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ შემფასებლებმა განასხვავონ მაღალი, საშუალო და დაბალი ხარისხის პასუხები და რომ ქულების მინიჭებისას უკეთესი ხარისხის პასუხებს მიანიჭონ უფრო მაღალი ქულები, ვიდრე საშუალო ხარისხის პასუხებს, ხოლო საშუალო ხარისხის პასუხებს უფრო მაღალი ქულები, ვიდრე დაბალი ხარისხის პასუხებს. შემდეგ ხდება ამ რეზულტატების ურთიერთშედარება (ალბათ გრაფიკული სახით) და განხილვა. ჩვენი მიზანი ის არ არის, რომ შემფასებლებმა იდენტური შეფასებები მოგვაწოდონ. მიზანი ისაა, რომ შემფასებლები უკეთესად შეთანხმდნენ თითოეული პასუხის ხარისხის თაობაზე. მოსალოდნელია, რომ შემფასებლები უფრო ადვილად მიადწევენ შეთანხმებას იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხების ხარისხი მკვეთრად განსხვავებული იქნება. ფაქიზი განსხვავებების დანახვა უკეთესად განვითარებულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. შემფასებელთა ჯგუფის წევრები შეიძლება იმით განსხვავდებოდნენ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამოცანის ამა თუ იმ ასპექტს, ხოლო იმისათვის, რომ ყველა კანდიდატის პასუხი სამართლიანად შევაფასოთ, თითოეული ასპექტის შეფასება ერთნაირად უნდა ხდებოდეს. მაშინაც კი, როდესაც შემფასებელთა გუნდის წევრები თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს პასუხთა რანჟირება, მათ შეიძლება ერთსა და იმავე პასუხებს სხვადასხვა ქულები მიანიჭონ იმის გამო, რომ ზოგიერთი შემფასებელი მკაცრია, ზოგი კი - ლმობიერი. შედარებით ფაქიზი განსხვავებები მაშინ იჩენს თავს, როდესაც ზოგი შემფასებელი უფრო მეტ ნიუანსს ხედავს, ზოგი კი ნაკლებს (რაც გამოიხატება ტენდენციაში პასუხს მიანიჭო სრული ქულა ან საერთოდ არ მიანიჭო ქულა).

ტესტური დავალებები, რომლებიც მოკლე პასუხს მოითხოვს, შეიძლება კანდიდატისაგან ითხოვდეს მასალის გახსენებას და არა მის ამოცნობას (ანუ პასუხის პროდუცირებას პასუხის არჩევის ნაცვლად) ან შეიძლება იფარგლებოდეს მხოლოდ პასუხის ამოცნობით. მასალის აღდგენის/გახსენების ამოცანა შეიძლება სხვადასხვა ფორმით სრულდებოდეს: მინიატურული ესეს დაწერა (მისი ზეპირი ეკვივალენტი, ნახაზის შექმნა) ან, შესაძლოა, სიტყვისა ან ფრაზის ჩასმა („შეავსეთ ცარიელი ადგილები“). პასუხის ამოცნობის შემცველი დავალებები შესაძლოა ითხოვდეს ნახატში, ფოტოსურათში, დიაგრამასა ან პროზაული ნაწარმოების ნაწყვეტში ძირითადი ელემენტის იდენტიფიცირებას, როგორც ეს ხდება სიტყვის დამწერლობის კორექტურის ჩატარებისას ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც ტესტი მოითხოვს დიაგრამის ან პლაკატის იმ ნაწილის იდენტიფიცირებას, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეტყობინების შემცველია.

მოკლე პასუხების შეფასება ნაწილობრივ იმავე სირთულეებს შეიცავს, რასაც უფრო განვრცობილი პასუხების შეფასება, მაგრამ, პირველ შემთხვევაში უფრო ადვილია, რომ შემფასებლებმა მეტ-ნაკლებად ერთნაირად შეაფასონ პასუხები, რადგანაც შესაფასებელი ინფორმაცია უფრო მცირე და მარტივია. მიუხედავად ამისა, მოკლე პასუხების შემთხვევაშიც, შეფასების მაღალი ხარისხი უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მოკლე პასუხის შემცველი ტესტები შეიძლება არ ითვალისწინებდეს იმას, რომ ჩვენ რეალურად ისეთი ინფორმაცია გვჭირდება, რომლის მოწოდება განვრცობილი პასუხის შემცველ ტესტებს შეუძლია.

**დავალებები, რომლებიც სწორი ან საუკეთესო პასუხის შერჩევას მოითხოვს**

ზოგიერთ ტესტურ დავალებაში მოცემულია ამოცანა და მასზე შესაძლო პასუხები. კანდიდატს ევალება, დაასახელოს სწორი ან საუკეთესო ალტერნატივა.

ზოგჯერ ამგვარი დავალებები გულისხმობს ერთ ნუსხაში შეტანილი პუნქტების მორგებას მეორე ნუსხის პუნქტებთან, მაგრამ ამგვარი ამოცანები ხელოვნურად გამოიყურება. ძნელია ამ ტიპის ხარისხიანი დავალებების ფორმულირება. გარდა ამისა, ქულების მინიჭება შეიძლება გართულდეს, თუ ორივე ნუსხა ერთი და იმავე სიგრძისაა. ისინი, ვინც ახერხებენ ზოგიერთი წყვილის სწორად შერჩევას, უფრო ადვილად ახერხებენ დანარჩენი წყვილების პოვნასაც, ხოლო ისინი, ვინც ვერ ახერხებენ სწორი კავშირების პოვნას, უფრო რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. ჩვეულებრივ, რომელიმე ერთი ამოცანის წარმატებით გადაჭრა არ უნდა განაპირობებდეს მეორე, დამოუკიდებელი ამოცანის წარმატებით გადაჭრას. თუ ასეთი რამ ხდება, ეს მიუღებლად არის მიჩნეული.

ჩვენ შევძლებთ ჩამოვაცალიბოთ ურთიერთმორგებისათვის შესაფერისი დებულებები/პუნქტები, თუ ამოცანა მოითხოვს შეზღუდული რაოდენობის კავშირების დამყარებას. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი მათემატიკური ამოცანა მოითხოვს მხოლოდ ერთი კავშირის დამყარებას შესაძლო 6-დან. (ეს ექვსი პასუხია A-B, A-C, A-D, B-C, B-D, და C-D. ეს კავშირები შებრუნებითაც შეგვიძლია დავწეროთ - B-A, C-A და ა.შ.)

ამ ფიგურებიდან ორს ერთი და იგივე ფართობი აქვს.



რომელია ეს ორი ფიგურა? .. . . . და . . . . .

მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტურ დავალებებში მოცემულია რაიმე ინფორმაცია, რომელსაც მოყვება სამი ან ოთხი პასუხი, საიდანაც ერთ-ერთი სწორი პასუხია. დანარჩენები მცდარი პასუხის ვარიანტებს წარმოადგენს, მაგრამ ეს უნდა იყოს ნათელი მხოლოდ იმ კანდიდატებისათვის, რომლებიც იცნობენ ამ საკითხს. უკიდურესი შემთხვევაა, როდესაც პასუხი მხოლოდ ორ ვარიანტს მოიცავს (სწორია – მცდარია, კი – არა, ეს ნიშანი მოცემულია – ეს ნიშანი არ არის მოცემული).

მაგალითად, ქვემოთ მოტანილ მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებები ოთხ არჩევანს შეიცავს, საიდანაც მხოლოდ ერთი არის სწორი პასუხი.

ტერმინი *ბრტყელცხვირიანები* მიუთითებს ცხოველთა ჯგუფს, რომელშიც შედის:

- ა იხენისკარტა
- ბ მაიმუნი
- გ ბრტყელი ჭია
- დ პლანქტონი

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებები გარკვეული სირთულის შემცველია. მაგალითად, ამგვარი ტესტების შეფასება შესაძლებელია დავალებებზე პასუხების ცოდნის გარეშე. ამ შემთხვევაში ვერ ხერხდება ე.წ. “მიხვედრის ანუ ინტუიციური მიგნების კორეგირება”. ისინი ვინც იღბლიანები აღმოჩნდებიან და გამოიცნობენ სწორ პასუხს, არ კარგავენ თავიანთ უპირატესობას, ხოლო ნაკლებ იღბლიანები ვერ იღებენ ვერანაირ კომპენსაციას. ისინი, ვინც ვერ ხვდებიან სწორ პასუხს, უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან იმათთან შედარებით, ვინც მიხვდა, რომელია სწორი პასუხი.

გარდა ამისა, ინტუიციური მიგნების კორექციისას, შემფასებლებს უფრო დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევთ და იზრდება გამოთვლებისას შეცდომის დაშვების ალბათობა, რაც ამცირებს შეფასების (ქულის მინიჭების) სიზუსტეს.

მაღალი ქულის მიღების ალბათობა საკითხის ცოდნის გარეშე ბევრად უფრო მაღალია პასუხის ორი ვარიანტის არსებობის შემთხვევაში. ეს ფაქტორი, მეორე ფაქტორთან ერთად, რომელიც დამაჯერებელი წყვილების შემუშავების სირთულეს გულისხმობს და კიდევ ის, რომ სწორი პასუხის შემთხვევითი მიგნების კორექცია ვერ ხორციელდება, მიზანშეუწონელს ხდის ისეთი წყვილების შემოტანას, სადაც ტესტური დავალება პასუხის ორ ვარიანტს გვთავაზობს (მაგ. სწორი – მცდარი).

მაგრამ, თუ ჩვენ ვიყენებთ კარგად აგებულ ტექსტს, რომელიც საკმარისი რაოდენობის დავალებებს შეიცავს (სადაც თითოეულ დავალებას პასუხის სამიდან ხუთამდე მცდარი ვარიანტი ახლავს), ძალიან დაბალია იმის ალბათობა, რომ კანდიდატმა მიიღოს მაღალი ქულა სწორი პასუხის ინტუიციური მიგნების გზით. თუ ყველა კანდიდატი პასუხობს ტექსტის ყველა კითხვას, საკორექციო ფორმულის გამოყენება არ ცვლის კანდიდატის რიგით ნომერს. ტექსტების უმეტესობა (და შეიძლება ყველა ტექსტი), რომელიც განათლების სფეროში გამოიყენება, საკმარის დროს უნდა სთავაზობდეს კანდიდატებს იმისათვის, რომ მათ სცადონ ტექსტური დავალებების უმრავლესობაზე პასუხის გაცემა. როდესაც ტექსტური დავალების შესრულებას საკმარისი დრო ეთმობა, ეს ტექსტური დავალებები გვაძლევს საკმარის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს კანდიდატი ტექსტს.

### **არის რაიმე ტიპის კითხვები სხვა ტიპის კითხვებზე უკეთესი?**

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტექსტის დავალებების მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ შემფასებლები ამა თუ იმ პასუხს ერთსა და იმავე ქულას ანიჭებენ. გარდა ამისა, ტექსტის შეფასება ცოტა დროს მოითხოვს და შეიძლება განხორციელდეს მანქანის ან არასპეციალისტების მიერ. ამის საპირისპიროდ, ესეც ტიპის პასუხები ისეთ შემფასებლებს მოითხოვს, რომლებიც გამოცდილები არიან მათთვის ნაცნობ სფეროში დაწერილი ესეც შეფასებაში. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში შეფასებას უფრო მეტი დრო სჭირდება და სხვადასხვა შემფასებლის მიერ ამა თუ იმ პასუხისათვის მინიჭებული ქულები შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

თუმცა, განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპის კითხვებს ვიყენებთ, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, გვაძლევს თუ არა ტექსტი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ვალიდურ შეფასებას სასწავლო კურსის ამოცანების თვალსაზრისით. შესაძლოა უკეთესი იყოს *ორივე* ტიპის ტექსტური დავალების გამოყენება ერთი და იმავე ტექსტისა და გამოცდის დროს (თუმცა, განსხვავებული ტიპის დავალებები შეგვიძლია კანდიდატებს ტექსტირების პროცესის სხვადასხვა მონაკვეთში, ანუ სხვადასხვა “შეხვედრაზე” მივაწოდოთ). შეიძლება აუცილებელი გახდეს ტექსტის შედეგების კომბინაცია სხვა სახის ინფორმაციასთან, რომელიც პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულების საფუძველზე მოვიპოვეთ.

## თავი 23 ტესტის აზების საფხსურები


იქამდე, სანამ გადაწყვეტდეთ ტესტის აგებას, უნდა გავარკვიოთ, რა სახის ინფორმაციის მოპოვება გვჭირდება, რამდენად სასწრაფოა ამ ინფორმაციის მოპოვება და რა სახით მოხდება ტესტის შედეგების გამოყენება. მნიშვნელოვანია შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა: “რა ინფორმაცია გვჭირდება მოსწავლის მიღწევების შესახებ?” მეორე მნიშვნელოვანი კითხვაა; “გვაქვს საკმარის რესურსები ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად?” რესურსებში იგულისხმება ადამიანურ რესურსებზე, ტექსტის დამუშავებასა და გამოთვლებზე, ქსეროასლების გადაღებასა და ბეჭდვაზე გაწეული ხარჯები. მე-4 სქემა გვიჩვენებს ტესტის აგების პროცესის საფეხურებს.

### კონტენტ-ანალიზი და ტესტის პროექტი (გეგმა)

კონტენტ-ანალიზი გვაძლევს სასწავლო პროგრამის იმ მიზნების რეზიუმეს, რომლებიც შინაარსობრივ ტერმინებშია გამოხატული. სასწავლო პროგრამის რომელი შინაარსები უნდა მოიცვას ტესტმა? არის ამ შინაარსებში მნიშვნელოვანი მონაკვეთები? არის მნიშვნელობის მქონე სეგმენტები ამ მონაკვეთებს შიგნით? შინაარსის რომელი სფეროები უნდა მოიცვას რეპრეზენტაციულმა ტესტმა?

ტესტის პროექტი ანუ გეგმა არის სპეციფიკაცია იმისა, თუ რა უნდა მოიცვას ტესტმა და არა აღწერა იმისა, თუ რას მოიცავს სასწავლო პროგრამა. ტესტის გეგმაში უნდა შედიოდეს ტესტის სათაური, ტესტის ძირითადი მიზანი, სასწავლო პროგრამის ის ასპექტები, რომელთაც ფარავს ტესტი, მითითება იმ მოსწავლეებზე, ვისთვისაც განკუთვნილია ტესტი, იმ ტიპის დავალებები, რომლებიც ტესტში გამოიყენება (და ისიც, თუ როგორ მიესადაგება ეს დავალებები სხვა შესაგროვებელ ინფორმაციას), როგორ გამოიყენება ტესტით მოპოვებული ინფორმაცია, პირობები, რომელშიც მოხდება ტესტირება (დრო, ადგილი, ვინ ჩაატარებს ტესტირებას, ვინ შეამოწმებს პასუხებს, როგორ შემოწმდება ქულების მინიჭების სიზუსტე, ექნებათ თუ არა მოსწავლეებს უფლება, გამოიყენონ წიგნები და კალკულატორები ტესტის შესრულებისას) და რა სახით იქნება კითხვები დაბალანსებული. ყოველივე ამის მაგალითი მე-5 სქემაშია მოცემული.

სქემა 21. ტესტის აგების საფეხურები



ამ ერთსაათიანი ტესტით აფასებენ იმ მასწავლებლების კომპეტენტურობას სტატისტიკაში, რომლებმაც უნდა გაიარონ ინტენსიური ტრენინგი ტესტის შედგენასა და მის ანალიზში. გამოიყენება მრავლობითი არჩევანის შემცველი

ტესტური დავალებები, სადაც თითოეულ ტესტურ დავალებას აქვს 4 შესაძლო პასუხი. თითოეული სფეროსათვის დგინდება ცალკე გამსვლელი ქულა. იმათ, ვინც იღებს გამსვლელზე დაბალ ქულას, უტარდებათ დამატებითი სწავლება შესაბამის სფეროში უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით. 54-დავალებიან ტესტს უნდა ჰქონდეს რამდენიმე პარალელური ფორმა. ტესტირებას ატარებს ლექტორი, რომელიც კითხულობს კურსს ტესტის კონსტრუირებასა და ანალიზში. ტესტის შესრულებისას არ არის ნებადართული წიგნებისა და კალკულატორების გამოყენება. ტესტის შედეგები წარმოდგენილი იქნება ტესტირების მეორე დღეს. ტესტის პროექტი (გეგმა) მე-5 სექმაშია მოცემული.

სქემა 22. სტატისტიკის საფუძვლების ტესტის პროექტი

შინაარსი	მიზანი			
	ფაქტების აღდგენა (გახსენება)	ანგარიშის უნარ-ჩვევები	გაგება	ჯამი
სიხშირეთა განაწილება	2 დავალება	-	4 დავალება	6
საშუალოები	2 დავალება	4 დავალება	2 დავალება	8
ვარიაციები	2 დავალება	4 დავალება	2 დავალება	8
კორელაცია	4 დავალება	4 დავალება	12 დავალება	20
შედარებითი სტატუსი	4 დავალება	-	8 დავალება	12
სულ	14	12	28	54

ტესტის პროექტის შედარებამ სასწავლო პროგრამის ანალიზის შედეგებთან უნდა აჩვენოს, რომ დავალებების განაწილება სქემის უჯრედებში (სქემა 5) წარმოგვიდგენს იმის საკმარისად რეპრეზენტაციულ შერჩევას, რასაც ეხება სასწავლო პროგრამის შინაარსი. ტესტის პროექტები შეიძლება სხვა განზომილებებსაც მოიცავდეს. მაგალითად, პროექტში შეიძლება ჩანდეს სასურველი ბალანსი სხვადასხვა ტიპის კითხვებს შორის, რომლებიც ეხება მასალის

აღდგენას, მის ინტერპრეტაციას ან ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში. ან კიდევ პროექტმა შეიძლება აჩვენოს სასურველი თანაფარდობა ტესტური დავალებების ფორმატებს შორის (კონსტრუირებული პასუხების თანაფარდობა მიწოდებული პასუხების ამოცნობასთან).

როდესაც ტესტის პროექტს რამდენიმე განზომილება აქვს, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ აკავშირებს შეგროვებული ინფორმაცია ამ განზომილებებს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციასთან ბაღეების მეშვეობით და როგორ ხდება ამ ინფორმაციის მნიშვნელოვნების გათვალისწინება.

## ტესტური დავალებების შედგენა

ტესტური დავალებების შედგენა არის შესაფასებელი ამოცანების მომზადება, რომელთაც შეუძლიათ მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა ამოცანებზე გაცემული პასუხების ანალიზის გზით. ამოცანები, რომლებიც დამაბნეველია, რომლებიც არ უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას ტესტის შესრულებაში, ან რომლებიც შეურაცხყოფელია კანდიდატისათვის, არ იძლევა საჭირო მონაცემებს, რადგან ვერ უზრუნველყოფს შესატყვისი ინფორმაციის მიღებას ან ხელს უშლის კანდიდატს ამოცანის შესრულებაში. კარგი ხარისხის ამოცანები/დავალებები მოსწავლეს მათზე მუშაობის სურვილს უღვიძებს. ისინი გარკვევით უჩვენებს მოსწავლეს, თუ რის გაკეთებას მოელიან მისგან და ავლენენ კანდიდატის ინტელექტუალურ უნარებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ტესტური დავალება იწერება თითოეული მნიშვნელოვანი ასპექტისათვის, რა სახითაც იგი ტესტის სპეციფიკაციაშია წარმოდგენილი. ზოგიერთი ავტორი ზომავს იმას, რის გაზომვაც ადვილია, ნაცვლად იმისა, რომ გაზომოს ის, რაც მნიშვნელოვანია. ასეთ ზედაპირულ ტესტში შეიძლება მრავალ კითხვას გაეცეს სწორი პასუხი, მაგრამ ეს ხდება ტესტის ვალიდურობის ხარჯზე. იოლი კითხვების გამოყენება ინფორმაციულის ნაცვლად არღვევს შეფასების პროცესს და, შესაბამისად, სასწავლო პროგრამის შესახებ შეუსაბამო ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს, მასწავლებლებს და იმ ადამიანებს, რომლებიც სკოლასთან არიან დაკავშირებულნი.

## ტესტური დავალებების განხილვა

**ტესტურ დავალებათა ანალიზის პირველი ფორმა: დაგეგმილის შედარება რეალურთან**

ტესტური დავალებების შედგენა გარკვეულ უნარ-ჩვევებს გულისხმობს. ხანდახან დავალება ნათელი და გასაგებია მისი შემდგენლებისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის სხვებისთვისაც იქნება გასაგები. სანამ მოხდებოდა მისი ემპირიული გამოცდა, ტესტური დავალება ექსპერტთა ჯგუფმა უნდა განიხილოს. ამ დროს იგი ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- არის თუ არა ნათელი თითოეული დავალება? რამდენად გაიგებს ტესტურ დავალებაზე მომუშავე კანდიდატი, რა მოეთხოვება მას?
- არის ტესტური დავალებები მაქსიმალურად მარტივი ენით გამოხატული?
- რამდენად გამოდგება თითოეული ტესტური დავალება განათლების მოცემული დონის შესაფასებლად?
- რამდენად შეესაბამება ტესტური დავალების სიტყვიერი ფორმულირება განათლების იმ დონეს, რომელზედაც ის გამოიყენება?
- ხომ არ შეიცავს ტესტი შემთხვევით მინიშნებებს სწორ პასუხზე?
- ხდება თუ არა ფორმატის საკმარისად თანმიმდევრულად გამოყენება, რათა კანდიდატი კარგად მიხვდეს, თუ რა მოეთხოვება მას თითოეული ტესტური დავალების შესრულებისას?
- არსებობს ერთადერთი ნათელი სწორი (ან საუკეთესო) პასუხი თითოეული ტესტური დავალებისათვის?
- რამდენად შეესაბამება ტესტური დავალების ტიპი იმ ინფორმაციას, რომლის მოპოვებასაც ის ემსახურება?
- ხომ არ შეიცავს ტესტური დავალება ისეთ დებულებებს, რომლებმაც შეიძლება გააღიზიანოს ან შეურაცხყოს კანდიდატი?
- ხომ არ შეიცავს ტესტი ისეთ შინაარსებს, რომლებიც გამოხატავს მიკერძოებულ დამოკიდებულებას გენდერული, რასობრივი ან სხვა ჯგუფების მიმართ?
- რამდენად ასახავს ტესტური დავალება იმ ქცევებს, რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს?
- შეიცავს ტესტი საკმარის რაოდენობის რეპრეზენტაციულ დავალებებს იმისათვის, რომ მოგვაწოდოს შესაფასებელი ქცევების საკმარის მოცულობის შერჩევა?

ტესტის ამგვარი განხილვა იქამდე, სანამ მოხდებოდეს ტესტური დავალებების გამოცდა, უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენ თავიდანვე უკუვაგდებთ ისეთ ტესტურ დავალებებს, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნით არის მიუღებელი (ზედმეტად რთული ენითაა დაწერილი, ჭარბსიტყვიანია, ხშირად გამოიყენება უარყოფითი ფორმა, მცდარი პასუხის ვარიანტები არ არის დამაჯერებელი). ამასთან ერთად, განხილვისას უნდა მოხდეს ისეთი ტესტური დავალებების იდენტიფიცირება, რომელთაც არ გააჩნიათ სწორი (ან საუკეთესო) პასუხი და, აგრეთვე, ისეთი ტესტური დავალებების იდენტიფიცირება, რომელთაც რამდენიმე სწორი პასუხი აქვთ. ასეთი ტესტური დავალებები ან უნდა ამოვიღოთ ტესტიდან, ან ახლებურად უნდა დავწეროთ.

## ტესტის მომზადებასთან დაკავშირებული სხვა პრაქტიკული საკითხები

- რამდენი ხნის განმავლობაში მოუწევთ მოსწავლეებს რეალურ ტესტზე მუშაობა? რამდენ დროს გამოვუყოფთ ინსტრუქციებს, რომლებიც ტესტზე მომუშავე მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ? ზედმეტად ბევრი დავალება ხომ არ შევა ტესტში იმისათვის, რომ მისი შესრულება ერთიანი ტესტირების ფაგლებში მოხდეს (ანუ, ხომ არ სჯობს ტესტირების პროცესის დაყოფა?).
- ეტყვიან მოსწავლეებს, თუ როგორ მოხდება ტესტური დავალებების შეფასება (მათთვის ქულების მინიჭება)? ეტყვიან მათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყოველი ტესტური დავალება სხვა დავალებებთან შედარებით? მისცემენ მათ რჩევას, თუ როგორ გასცენ საუკეთესო პასუხი ტესტს?
- ტესტირების ჩატარებასთან დაკავშირებით, რა ინფორმაციას მიაწოდებენ იმათ, ვინც მოსწავლეებს ჩაუტარებს საცდელ ტესტირებას? ეტყვიან მოსწავლეებს, რომ მათ შეატყობინებენ ტესტირების პასუხებს? იქნება დაცული ტესტთან დაკავშირებული უსაფრთხოება (ტესტის ჩატარების შემდეგ ტესტირების ადგილას არ დარჩება ტესტის ეგზემპლარები)?
- სჭირდება მოსწავლეებს რჩევა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ტესტზე პასუხების აღრიცხვა (ჩაწერა)? თუ ამ მიზნით გამოიყენება სავარჯიშო ტესტური დავალებები, რა ტიპის პასუხებს მოიცავს ასეთი ვარჯიში? რამდენი ტესტური დავალების მაგალითზე იქნება აუცილებელი ამგვარი ვარჯიშის ჩატარება?
- მოხდება პასუხების გაცემა პასუხისათვის განკუთვნილ ფურცლებზე, თუ მათი შეტანა ისევ პასუხების წიგნში მოხდება? პასუხისათვის განკუთვნილი ფურცლების გამოყენება გაზრდის საცდელი ტესტირების დროს? ტესტურ დავალებაზე გაცემული პასუხების გარდა, რა ინფორმაცია უნდა მოვითხოვოთ კანდიდატისაგან? (მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი, სქესი, ასაკი და სხვა).
- ტესტის თუ პასუხების ფურცლის დიზაინი (ვიზუალური მხარე) ხელს უწყობს პასუხების შეფასების (ქულის მიწერის) ეფექტურობას?

არის თუ არა მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებათა პასუხის ვარიანტები დალაგებული ლოგიკური თანმიმდევრობით (მაგალითად მოკლედან გრძელისაკენ)? დალაგებულია ტესტური დავალებები გარკვეული თანმიმდევრობით – ადვილიდან რთულისაკენ (რათა ხელი შეუწყოს კანდიდატებს იმაში, რომ მათ გააგრძელონ ტესტზე მუშაობა)? ტესტური დავალებების დიზაინი გამორიცხავს სწორი პასუხების დაფორმატებას ისეთი სახით, რომ არ მოხდეს მათთვის ზედიზედ 3 ან 3-ზე მეტი ერთი და იგივე ასოს მიწერა, ან გამოირიცხება ისეთი კომბინაცია, როგორცაა ABCD ან ABABAB, რამაც შეიძლება “არასწორი” მიზეზით “სწორ” პასუხთან მიგვიყვანოს?

## ტესტური დავალებების შეფასება სხვადასხვა ფორმატის ტესტებში

*მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი:* აქ გვჭირდება ექსპერტთა მოსაზრებები იმის გასარკვევად, თუ პასუხის რომელი ვარიანტი იქნება სწორი (ან საუკეთესო) თითოეული ტესტური დავალების შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც გადაწყდება, თუ რომელი ჩაითვლება სწორ პასუხად, შეგვიძლია გამოვიყენოთ გასაღები, რომელსაც შეფასებისას მანქანა ან არასპეციალისტები მოიხმარენ.

*კონსტრუირებული პასუხი:* როგორ უნდა მოვამზადოთ შემფასებლები? საჭიროა მათი გავარჯიშება ტესტებზე გაცემული პასუხების შერჩევის გამოყენებით, რათა უზრუნველვყოთ, რომ კარგი ხარისხის სამუშაოს შესაბამისი კრედიტი მიენიჭოს, ცუდი სამუშაო ყველა შემფასებელმა ცუდად შეაფასოს და რომ ყველა შემფასებელმა შეფასების მსგავსი სკალა გამოიყენოს? უნდა ხდებოდეს ტესტების ხელახალი შეფასება ისე, რომ შემფასებელმა არ იცოდეს, თუ როგორ მოხდა მანამდე ამ ტესტის შეფასება? თუ ასეთ შემთხვევაში შეფასებები არაერთგვაროვანია, რა უნდა გაკეთდეს შემდეგ ეტაპზე?

## ტესტური დავალებების გამოცდა

ტესტური დავალებების გამოცდას ზოგჯერ პილოტ-ტესტირებას უწოდებენ. ჩვენ ვნახეთ, თუ რამდენად აუცილებელია ტესტის განხილვის რეზულტატების გათვალისწინება მცდარი ტესტური დავალებების გამოსარიცხად და ტესტური დავალებების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ზუსტად ასევე, აუცილებელია ტესტური დავალებების ემპირიული გამოცდა იმ მოსწავლეებთან, რომლებიც ტესტის საბოლოო ვერსიის მომხმარებელი მოსწავლეების მსგავსნი არიან. რადგან ტესტური დავალებები გულისხმობს მოსწავლეებთან კომუნიკაციას, უნდა მოხდეს ტესტის ამ თვისების შეფასება იქამდე, სანამ ტესტურ დავალებებს უფრო დიდ ჯგუფთან გამოვიყენებთ.

თითოეული საცდელი ტესტი 150-250-მა მოსწავლემ უნდა შეავსოს. ისინი თავისი მახასიათებლებით მსგავსნი უნდა იყვნენ იმ მოსწავლეებისა, რომლებიც იმუშავენ ტესტის საბოლოო ვერსიაზე. ჩვეულებრივ, ყოველი ტესტირებისას საცდელი ტესტის ფორმებს შემთხვევითი წესით ანაწილებენ სხვადასხვა ოთახში, სადაც მიმდინარეობს ტესტირება, რათა, საშუალოდ, ყოველ საცდელ ტესტზე იმუშაონ ისეთმა მოსწავლეებმა, რომლებიც, უნარების მხრივ, შედარებადნი იქნებიან ტესტის საბოლოო ფორმაზე მომუშავე მოსწავლეთა ჯგუფთან. ტესტის ერთი და იგივე ფორმა არ უნდა მივცეთ ერთმანეთთან გვერდიგვერდ მჯდომ კანდიდატებს, რათა გამოვრიცხოთ პასუხების გადაწერა. კარგი იქნება, თუ ტესტის თითოეულ ეგზემპლარს თავფურცელზე რაიმე

განმასხვავებელი ნიშანი ექნება. ასე ტესტირების ჩამტარებელი პირი ადვილად შეამჩნევს, რომ მოსწავლეებმა გაცვალეს ტესტის შესავსები ფორმები. თუ ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ასეთ განმასხვავებელ ნიშნებს, მაშინ ტესტის თითოეულ ასლს სხვადასხვა ფერის თავფურცელი უნდა ჰქონდეს.

საცდელი ტესტირება საფუძვლიან დაგეგმვას მოითხოვს. ტესტირებამდე ბევრად ადრე უნდა დაუკავშირდეთ იმ დაწესებულებებს, რომელთა ტერიტორიაზეც ჩატარდება საცდელი ტესტირება. წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ საცდელ ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა, თანაფარდობა ბიჭებსა და გოგონებს შორის, ასაკობრივი განსხვავება, ტესტირებაში მონაწილე კლასები და მათ შორის არსებული განსხვავება, ოთახების ზომა. ასევე, ტესტირებამდე ბევრად ადრე უნდა მოხდეს ტესტირების ჩამტარებელი პირების შერჩევა. ტესტირების ჩამტარებელი პირი აცნობს ტესტს საცდელ ტესტირებაში მონაწილეთ, განუმარტავს მათ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სავარჯიშო ტესტური დავალებები, უზრუნველყოფს ტესტზე მუშაობისათვის საკმარის დროს. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს იმას, რომ პასუხი გაეცემა ყველა კითხვას, რომლსაც კანდიდატები ბოლო მომენტში დასვამენ (მაგალითად, მოსწავლეებისათვის იმის განმარტება, რომ მათი პასუხები გამოიყენება თავად ტესტის გასაუმჯობესებლად და არ იმოქმედებს სკოლაში მათ შედეგებზე) და რომ შევსებული ფორმები შეგროვდება იქამდე, სანამ კანდიდატები დატოვებენ საგამოცდო ოთახს.

## **ტესტის პასუხების დამუშავება საცდელი ტესტირების შემდეგ**

თუ ანალიზამდე საჭიროა ტესტის პასუხების შეფასება, შემდეგ საფეხურზე ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს. ესეც შეფასებისას, მიზანშეწონილია ჯერ შევაფასოთ ყველა კანდიდატის ნაწერში პირველი ესე, და შემდეგ ისევ ყველა კანდიდატის ნაწერში - მეორე ესე. ამის შემდეგ, როდესაც შეფასდება ყველა ტესტური დავალება, თითოეული ტესტური დავალების ქულა შეაქვთ კომპიუტერულ ფაილში. თუ ტესტი მრავლობითი არჩევანის შემცველი ფორმატითაა დაწერილი, შეგვიძლია თავად პასუხები შევიტანოთ კომპიუტერულ ფაილში.

### **ტესტური დავალებების ანალიზი**

**მეორე ფორმა, რომელშიც შედის რეალურ კანდიდატთა პასუხები**

ემპირიული საცდელი ტესტირებისას ირკვევა, თუ რომელ ტესტურ დავალებებს აქვთ დამაბნეველი შინაარსი, რომელი დავალებები იძლევიან სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც ჯერ არ გაუთვალისწინებიათ ტესტის ავტორებს; მრავლობითი არჩევანის შემცველი

ტესტების შემთხვევაში, პასუხის რომელი ვარიანტებია პოპულარული იმ კანდიდატებთან, რომელთაც ნაკლები ცოდნა გააჩნიათ და პასუხის რომელ არასწორ ვარიანტს ირჩევენ (რალაც მიზეზის გამო) უნარიანი მოსწავლეები.

ამგვარი საცდელი ტესტირება საშუალებას გვაძლევს, შევავროვოთ ინფორმაცია თითოეული ტესტური დავალების შესახებ (განასხვავებს ტესტური დავალებები მცოდნე და არმცოდნე მოსწავლეებს? არის ტესტური დავალება შესაფერის სირთულისა, ანუ რამდენმა კანდიდატმა სცადა მასზე პასუხის გაცემა, და, ამათგან, რამდენმა გასცა სწორი პასუხი), ხოლო მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტების შემთხვევაში გავარკვიოთ, “იმუშავა” თუ არა პასუხის სწორმა და არასწორმა ვარიანტებმა ისე, როგორც ჩვენ ამას მოველოდით. ტესტური დავალებების ანალიზი აგრეთვე საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, თუ როგორ სრულდება თითოეული დავალება იმავე ტესტის სხვა დავალებებთან შედარებით და ამით დავადგინოთ, თუ რამდენად თანმიმდევრულია მთლიანად ტესტი.

### ტესტის შესწორება

#### ტესტური დავალებების ამოღება /გადასინჯვა/ ჩანაცვლება

ტესტური დავალებები, რომლებიც კარგად არ მუშაობს, შეგვიძლია ამოვავლოთ, ან სხვა დავალებებით ჩავანაცვლოთ. თუმცა, როდესაც ტესტური დავალებების რაოდენობა, რომლითაც შეგვიძლია არსებულის ჩანაცვლება, საკმარისი არ არის, ტესტური დავალებების ამოგდება შეიძლება დაარღვიოს ტესტის სპეციფიკაცია. თუ ტესტის ავტორების და ტესტის დახვეწაზე მომუშავე პირების თვალსაზრისით, საწყისი სპეციფიკაცია ყველაზე კარგად ასახავს შინაარსისა და უნარ-ჩვევების შერჩევას და ტესტური დავალებების ფორმატს, მაშინ ბადის ზოგიერთი უჯრედის შეუვსებლად დატოვება იმის მანიშნებელი იქნება, რომ ტესტი არ არის საკმარისად სრულყოფილი. ეს რომ ავიცილოთ, ტესტის ავტორებს შეუძლიათ შეადგინონ სამჯერ ან ოთხჯერ მეტი ტესტური დავალება, რაც, მათი აზრით, ბადის ყოველი უჯრედის შევსებას დასჭირდება.

### საბოლოო ტესტის აწყობა

(ან შემდგომი საცდელი ტესტირების ჩატარება) და შეფასების შესაბამისი გასაღები

საცდელი ტესტირების შემდეგ, ტესტური დავალებები შეიძლება გადალაგდეს ისე, რომ მარტივი დავალებები რთულში გადადიოდეს. ეს სტიმულს აძლევს კანდიდატებს, გააგრძელონ ტესტზე მუშაობა და უზრუნველყოფს იმას, რომ შედარებით სუსტმა კანდიდატებმა არ დაანებონ თავი ტესტზე მუშაობას იქამდე, სანამ მათი პასუხები არ ასახავს მათს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

შესაძლოა, საჭირო გახდეს ტესტურ დავალებებში მცირედი ცვლილებების შეტანა, რაც, ზოგჯერ, ტესტის დიზაინით არის გამოწვეული (მაგ., ყველა ტესტური დავალების ერთ გვერდზე მოთავსება ან სწორი პასუხების ჩამონათვალში ძალიან თვალში საცემი კომბინაციებისათვის თავის არიდება). ის ტესტური დავალებები, რომლებიც გამოხატავენ ერთ უჯრედს ტესტის სპეციფიკაციაში, უნდა განსხვავდებოდნენ სირთულისა და შინაარსის მიხედვით. სწორი პასუხების ადგილი მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალებებში (ა,ბ,გ,დ, ან ე) თანაბარი ხარისხით უნდა იცვლებოდეს. ზოგიერთი კითხვის სიტყვიერი ფორმულირება უმნიშვნელო ცვლილებების შეტანას საჭიროებს, ზოგიერთი კითხვა კი ჩანაცვლებას მოითხოვს. საბოლოო ტესტი პროექტს (გეგმას) უნდა შეესაბამებოდეს. ხელმეორედ ტარდება ტესტური დავალებების განხილვის ზემოთ აღწერილი პროცედურები (ეს განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც მასალას ანუ სტიმულს ერთზე მეტი კითხვა უკავშირდება); თითოეულმა სპეციალისტმა დამოუკიდებლად უნდა იმუშავოს ტესტზე და ყოველი კითხვისათვის “სწორი” პასუხი მოგვაწოდოს. ეს საშუალებას მისცემს ტესტის ავტორებს, შეამოწმონ სწორი პასუხების ახალი ნუსხა.

### ტესტის ვალიდობა, სანდობა და ტესტის განზომილებები

ტესტის ვალიდობა შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ტესტის სარგებლიანობა მიზნიდან გამომდინარე. რადგანაც მიზანი განსხვავებული შეიძლება იყოს, დასაზუსტებელია, თუ რა მიზანზე ვსაუბრობთ ვალიდობასთან დაკავშირებით. შინაარსის ვალიდობა მიუთითებს იმას, თუ რა ხარისხით ასახავს ტესტი სასწავლო პროგრამის შინაარსს და ამ შინაარსში ნაგულისხმევ უნარ-ჩვევებს. ტესტი, რომელსაც ახასითებს მაღალი “კონტენტ-ვალიდობა” ანუ რომელიც ვალიდურია შინაარსის თვალსაზრისით, სასწავლო პროგრამის ექსპერტებისა და მასწავლებლების აზრით, კარგად ასახავს სასწავლო პროგრამის ამოცანებს.

ტესტი, რომლის შინაარსი ვალიდურია რომელიმე ერთი სასწავლო პროგრამის მიმართ, შეიძლება არ იყოს ვალიდური სხვა სასწავლო პროგრამის თვალსაზრისით. ეს ის საკითხია, რომელიც პრობლემას ქმნის შედეგების ურთიერთშედარების თვალსაზრისით მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ტესტი რამდენიმე ქვეყანაში გამოიყენება. თითოეულ ქვეყანაში ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია უნდა ითვალისწინებდეს იმას, თუ რამდენად არის ტესტის შინაარსი ვალიდური თითოეული ქვეყნის შემთხვევაში. თუ ორი ქვეყნის სასწავლო პროგრამა ნაწილობრივ არის ტესტში ასახული, მაშინ ამ ქვეყნებში ჩატარებული ტესტირების შედეგების ურთიერთშედარება მხოლოდ მონაცემთა ნაწილისათვის იქნება ვალიდური.

როდესაც ტესტის შედეგებს უდარებენ დადგენილ გარეშე კრიტერიუმს, როგორც არის, მაგალითად, ცხოვრებისეულ, რეალურ სიტუაციაში ამოცანის შესრულების საზომი, ასეთ ვალიდობას კრიტერიუმთან დაკავშირებულ ვალიდობას უწოდებენ. თუ დროის ინტერვალი ტესტირებასა და რეალურ სიტუაციას შორის მცირეა, კრიტერიუმთან დაკავშირებულ ვალიდობას უწოდებენ თანმხვედრ ვალიდობას (concurrent validity), ხოლო თუ ეს ინტერვალი დიდია, მაშინ კრიტერიუმთან დაკავშირებულ ვალიდობას პროგნოსტულ ვალიდობას (predictive validity) უწოდებენ.

თუ ჩვენს მიღწევას განვიხილავთ განზოგადებულ კონსტრუქტად და ჩვენი ტესტი ეთანხმება ამ კონსტრუქტის (ალიარებულ) გამზომ ინსტრუმენტებს, მაშინ ვიტყვით, რომ ტესტს აქვს კონსტრუქციული ვალიდობა, როგორც მიღწევის გამზომს. თუ განზოგადებულ კონსტრუქტად უნარი განიხილება, ხოლო ჩვენი ტესტი ეთანხმება ამ კონსტრუქტის (დადგენილ) გამზომ ინსტრუმენტს, ჩვენ ვიტყვით, რომ ტესტს აქვს კონსტრუქციული ვალიდობა, როგორც უნარის გამზომს. რაც უფრო დიდი ხარისხით ეთანხმება ტესტი ამა თუ იმ კონსტრუქტის გამზომ ინსტრუმენტს, მით უფრო მაღალი იქნება მისი კონსტრუქციული ვალიდობა. თუმცა, ეს ვითარება შეუცვლელი არ არის. ტესტს შეიძლება ჰქონდეს მაღალი კონსტრუქციული ვალიდობა, როგორც მიღწევის გამზომს ან პროგნოსტული ვალიდობა, როგორც მომავალში წარმატების მიღწევის მაჩვენებელს. თუ ვითარება შეიცვალა (მაგალითად, შეიცვალა მასწავლებელი, რომელიც ტესტის შესაბამის მასალას ასწავლის), ტესტის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზრდება ტესტის პროგნოსტული ღირებულების გაზრდის გარეშე. ნავარაუდევო კავშირი ტესტსა და მის პროგნოსტულ უნარს შორის აღარ მუშაობს და კრედიტის მიძღვნილი ქულების გაზრდა ვერ გადაჭრის პრობლემას.

როდესაც ტესტს აქვს მაღალი კონსტრუქციული ვალიდობა, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ტესტში განზომილებების არსებობის მაჩვენებელია. როდესაც ვაჯამებთ ტესტის სხვადასხვა სექტორებში მიღებულ ქულებს მთლიანად ტესტზე საერთო ქულის მისაღებად, ჩვენ, ჩვენი ვარაუდის სისწორის შემოწმების გარეშე, ვგულისხმობთ, რომ ტესტი მრავალგანზომილებიანია. ამის მსგავსად, როდესაც ვაანალიზებთ იმავე ტესტის დავალებებს და კრიტერიუმად ტესტის ჯამურ ქულას ვიღებთ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ეს ტესტი, როგორც ერთიანი ინსტრუმენტი, ზომავს ერთ განზომილებას ან კონსტრუქტს და რომ ამგვარი ანალიზით ნაცადია ისეთი დავალებების პოვნა, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ დაშვებას.

როგორც ზემოთ ითქვა, ვალიდობა მიუთითებს ტესტის სარგებლიანობას კონკრეტული მიზნის თვალსაზრისით და მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ მიზნიდან გამომდინარე. ამის საპირისპიროდ, ტესტის სანდობა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად თანმიმდევრულად ზომავს ტესტი იმას, რასაც ზომავს (განურჩევლად იმისა, თუ რას ზომავს იგი). თუ ტესტი ვალიდურია

მიზნიდან გამომდინარე, ის სანდოც უნდა იყოს. სხვაგვარად ის ვერ დააკმაყოფილებს სარგებლიანობის მოთხოვნას. მაგრამ ტესტი შეიძლება იყოს სანდო (თანმიმდევრული) ისე, რომ არ აკმაყოფილებდეს იმ მიზანს, რისთვისაც არის მოწოდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია არსებობდეს თანმიმდევრული შეფასებები, რომლებიც არ არიან აზრის შემცველი მისაღები გადაწყვეტილების კონტექსტში.

## თაზი 24

### რესურსები, რომლებიც ტესტის აბეზასა და შემენას სჭირდება

მრავალ მასწავლებელს აქვს მოსწავლეთა შესაფასებლად ამოცანების შედგენის უნარი, მაგრამ ისინი ვერ იღებენ საკმარის უკუკავშირს იმის შესახებ, თუ რომელი ამოცანა არის ვალიდური და სასარგებლო. იმათ, ვინც ამზადებს კითხვებს ეროვნული გამოცდებისათვის, შეიძლება მიიღონ უკუკავშირი მათ მიერ მომზადებული დავალებების ხარისხის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც გამომცდელები შესატყვის ანალიზს ატარებენ. ამგვარი უკუკავშირის გარეშე, ტესტური დავალებების შემდგენელთა დახელოვნების დონე დაბალი დარჩება. ისეთი დავალებების შედგენის კომპეტენცია, რომლებიც ტრადიციულ წერილობითი ტესტის ნაწილს არ წარმოადგენს, კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება.

ტრენინგი ტესტის შედგენაში საჭიროებს ცოდნის გაზიარებას ექსპერტების მხრიდან, რათა ტესტის შედგენის უნარ-ჩვევები ტრენერმა სხვა შემფასებლებს გადასცეს. ჯგუფმა, რომელიც კითხვების შედგენაზე მუშაობს, უნდა იცოდეს, თუ რანაირად პასუხობენ რეალური კანდიდატები ამ კითხვებს და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ჩაატაროს საცდელი ტესტის მონაცემების შემდგომი ანალიზი. კომპეტენციის შექმნა თანდათანობით ხდება. მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ის, თუ რა არის განზრახული და რეალურად რა ხდება პრაქტიკაში. როდესაც გროვდება ტესტის შედგენის, ტესტირების ჩატარებისა და შედეგების ინტერპრეტაციის გამოცდილება, ნაკლებია გარეშე ტრენერების ჩართვის საჭიროება და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცოდნის გაზიარება ტესტის ახალბედა შემდგენლებთან.

ტესტების შექმნას გარკვეული ხარჯები უკავშირდება, თუ არ ჩავთვლით იმ მინიმუმს, როგორცაა შესაფერისი ოთახი, გათბობა, ავეჯი და ტესტური მასალის უსაფრთხოდ შენახვის პირობები. ტესტის სპეციფიკაციის შექმნა, მასწავლებლების მიერ ტესტის კონსტრუირებაში მონაწილეობა (ტესტის შემდგენელ ჯგუფთან ერთად მუშაობა ან სკოლის გარეთ ტესტზე მუშაობა, რაც დამატებით ანაზღაურებას მოითხოვს), საცდელი ტესტირების ჩატარება კლასის მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ, ქალაქი, რომელზეც იბეჭდება ტესტი (და, საჭიროების შემთხვევაში, ფურცელი პასუხებისათვის), ასლის გადაღება, ტესტური მასალის გამრავლება, სკოლებისათვის ტესტების დანაწილება და შევსებული ტესტების აკრეფა (თუ მათ სკოლის მასწავლებლები არ ასწორებენ), შედეგების შეფასება და ანალიზი, ყოველივე ეს ხარჯებს საჭიროებს. 23-ე სქემა გვიჩვენებს დროით გრაფიკს მიღწევის ტესტის ორი პარალელური ფორმის შესამუშავებლად, რომელშიც შევა 50 ტესტური დავალება და რომელიც მე-6 კლასში გამოიყენება. მე-6 სქემა აგრეთვე გვიჩვენებს რესურსებს, რომელიც უნდა მოვიზიდოთ ტესტების დროულად შესაქმნელად. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ

მოცემული გრაფიკის მიხედვით, ტესტის შემქმნელმა ჯგუფმა გაიარა ტრენინგი ტესტის შემუშავებაში ამ პროექტზე მუშაობის დაწყებამდე.

სქემა 23. ტესტის აგების გრაფიკის ნიმუში და რესურსებთან დაკავშირებული მოთხოვნები

ამოცანა	დრო (კვირა)	რესურსები
გადაწვევტილების მიღება ინფორმაციის შეგროვების თაობაზე	1	დამოკიდებულია ადგილობრივ ვითარებაზე
გადაწვევტილების მიღება რესურსების გამოყოფის თაობაზე	2	დამოკიდებულია ადგილობრივ ვითარებაზე
შინაარსის ანალიზი და ტესტის პროექტი	1	სასწავლო პროგრამის ექსპერტები (ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე). ტესტის შედგენაზე მომუშავე ჯგუფი (იხილეთ ქვემოთ). მე-6 კლასის შესაბამისი სახელმძღვანელოები.
ტესტური დავალებების შედგენა	5	ტესტის შედგენაზე მომუშავე ჯგუფი (3 ან 4 მასწავლებელი. სრული დატვირთვით) სახელმძღვანელოები, ტექსტის დამუშავების, ფოტოასლის გადამღები საშუალებები და საჭირო მასალა.
ტესტური დავალებების განხილვა 1	1	სასწავლო პროგრამის ექსპერტები + ტესტის შემდგენელი ჯგუფი
ტესტური დავალებების შეფასების დაგეგმვა	1	ტესტის შემდგენელი ჯგუფი
საცდელი ტესტების შექმნა	2	ტესტის შემდგენელი ჯგუფი. ტექსტის დამუშავების, ფოტოასლის გადამღები საშუალებები და საჭირო მასალა.

შეფასება და ტესტური დავალებების ანალიზი	3	ტესტის შემდგენელი ჯგუფი. პერსონალური კომპიუტერი გამოთვლებისათვის
ტესტური დავალებების განხილვა 2	1	სასწავლო პროგრამის ექსპერტები + ტესტის შემდგენელი ჯგუფი
შესწორება (გადასინჯვა, ჩანაცვლება, ამოღება)	1	ტექსტის დამუშავების, ფოტოასლის გადამღები საშუალებები და საჭირო მასალა.
საჭიროა თუ არა დამატებითი ტესტური დავალებები? კი/არა		თუ “კი” - მიუბრუნდი “ტესტური დავალებების შედგენას” თუ “არა” - გადადი შემდეგ საფეხურზე
საბოლოო ტესტის აწყობა	2	ტესტის შემდგენელი ჯგუფი. ტექსტის დამუშავების, ფოტოასლის გადამღები საშუალებები და საჭირო მასალა.
სულ დრო	20 კვირა	

## თავი 25

### ზოგიერთი დასკვნითი ხასიათის უნიშვნა

ამ მოდულის დასაწყისში ითქვა, რომ მოსწავლეთა მიღწევების შეფასება გვაწვდის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს განათლების პროცესთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია უნდა გვეხმარებოდეს სასწავლო პროგრამის შეფასებაში (მისი დადებითი მხარეების შეფასებაში), მოსწავლეთა კომპეტენტურობის შესახებ დასკვნების გამოტანაში და, კიდევ, გადაწყვეტილების მიღებაში იმის შესახებ, თუ რა უნდა ვასწავლოთ კონკრეტულ მოსწავლეს შემდეგ საფეხურზე. ამკარაა, რომ ამ ინფორმაციის ხარისხი უაღრესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გონივრული გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული.

ტესტის კონსტრუირების პროცედურა, რომელიც მოცემულ მოდულშია განხილული, ყალიბდებოდა მრავალი წლის განმავლობაში ტესტებისა და მსგავსი ინსტრუმენტების პრაქტიკული შემუშავების პროცესში. რეკომენდაციების ნაწილი ტესტის ანალიზიდან მომდინარეობს, ნაწილი კი იმ პრაქტიკული გამოცდილებიდან, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე მკვლევარებს და ტესტის კონსტრუირებაზე მომუშავე ექსპერტებს დაუგროვდათ. პროცედურების შესახებ დაწერილი წიგნების კითხვა არ არის საკმარისი, რადგან ტესტის შედგენაში დახელოვნებისათვის აუცილებელია ტესტის შემუშავებაზე გუნდური პრინციპით მუშაობა.

ტესტის საბოლოო ფორმის მომზადებით სამუშაო არ მთავრდება. მონაცემები, რომლებიც მიიღება საბოლოო ვარიანტის შევსების შედეგად, ტესტის ხარისხის კონტროლისათვის უნდა გამოვიყენოთ. ამგვარი ანალიზი შეგვიძლია აგრეთვე გამოვიყენოთ იმ სტანდარტის დასადგენად, რომელსაც შეუდარდება მომავალი კანდიდატების პასუხები. ამის გაკეთება მნიშვნელოვანია, რადგან კანდიდატები, რომლებიც წელს გადიან ტესტირებას, შეიძლება განსხვავდებოდნენ (ხარისხით) იმ კანდიდატებისაგან, რომლებიც მომავალ წელს გაივლიან ტესტირებას.

ჩვეულებრივ, იყენებენ საჭიროზე უფრო მეტ საცდელ ფორმას, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, საბოლოო ტესტის ზოგიერთი ფორმა ამოიღონ ხმარებიდან. ეს მაშინ ხდება, როდესაც ჩნდება იმის შანსი, რომ კანდიდატებმა შეიტყონ, თუ რა ტესტურ დავალებებს შეიცავს მოცემული ტესტი.

საცდელ ფორმებში უნდა შედიოდეს საწყის საცდელ ფორმებში შემაჯავლი მისაღები ტესტური დავალებები (არა აუცილებლად ის ტესტური დავალებები, რომლებიც საბოლოო ფორმებში შევიდა, არამედ საბოლოო ფორმაში შემაჯავლი დავალებების მსგავსი - მათი ტიპის თვალსაზრისით), რათა მათ “შეკრან” ერთმანეთთან ძველი და ახალი ტესტური დავალებები. ამ პროცესს – მსგავსი

დავალებების შემცველი ტესტების ურთიერთდაკავშირებას, მათს ერთმანეთთან მიმაგრებას (anchoring) უწოდებენ. ზედმეტ ტესტურ დავალებებს ვინახავთ იმისათვის, რათა ისინი მომავალში მსგავს ტესტებში შევიტანოთ.

## თავი 26 სავარჯიშოები

### 1. ტესტის გეგმის შედგენა

ა) აირჩიეთ მნიშვნელოვანი თემა სასწავლო პროგრამიდან (ან იმიტომ რომ კარგად იცნობთ მას ან იმიტომ, რომ ის მნიშვნელოვანი თემაა თქვენი ქვეყნის განათლების პროგრამაში).

ჩამოთვალეთ ამ თემის ძირითადი საკითხები.

პროცენტით გამოხატეთ თითო საკითხის ფარდობითი მნიშვნელობა.

შეუდარეთ ძირითადი საკითხები და მათი ფარდობითი მნიშვნელობა იმ ადამიანების მასალას, რომლებიც მოცემულ სავარჯიშოს ასრულებენ.

ბ) აირჩიეთ სხვა შესატყვისი კატეგორია (უნარ-ჩვევების კატეგორია ან ტესტური დავალებების ფორმატის კატეგორია) სასწავლო პროგრამის იგივე თემისათვის (როგორც ეს ხდება I სავარჯიშოს “ა” ნაწილში).

ჩამოთვალეთ ეს მნიშვნელოვანი კატეგორიები.

აჩვენეთ თითოეული კატეგორიის ფარდობითი მნიშვნელობა (გამოხატეთ პროცენტში).

შეადარეთ თქვენი კატეგორიები სხვების მასალას (როგორც ეს I სავარჯიშოს “ა” ნაწილშია მოცემული).

გ) შეადგინეთ ტესტის გეგმა (როგორც ეს მე-5 სქემაშია ნაჩვენები), რომელშიც შინაარსობრივი კატეგორიები (I სავარჯიშოდან აღებული) მარცხნივ მოთავსდება, ხოლო უნარ-ჩვევების ან ფორმატის კატეგორიები (მე-2 სავარჯიშოდან აღებული) – სქემის ზედა ნაწილში.

მოარგეთ ყოველ უჯრედში შეტანილი ტესტური დავალებების რაოდენობა იმ პროცენტულ მახასიათებელს, რომელიც შეესაბამება თითო განზომილებას.

## **1. სახელმძღვანელოს ანალიზი და ტესტური დავალებების შედგენა**

- (ა) განიხილეთ სახელმძღვანელო, რომელსაც თქვენს ქვეყანაში იყენებენ. იხელმძღვანელეთ თქვენი ტესტის გეგმით და მოამზადეთ ტესტის გეგმა სახელმძღვანელოს მასალის ტესტირებისათვის.
- (ბ) შეარჩიეთ ტესტის გეგმის ერთი უჯრედი და შეადგინეთ ამ უჯრედისათვის რამდენიმე ტესტური დავალება.

## **2. კლასში გამოყენებული ტესტების განხილვა**

- (ა) იხელმძღვანელეთ სექციით, რომელიც ტესტური დავალებების განხილვას ეხება და განიხილეთ ტესტები, რომლებიც მასწავლებელმა კლასში მუშაობისათვის შეადგინა.
- (ბ) შექმენით ორ–სამ კაციანი ჯგუფი (პანელი), რომელიც იმსჯელებს ტესტის განხილვის შესახებ.
- (გ) შეარჩიეთ ზოგიერთი კითხვა და თავიდან დაწერეთ ისინი პანელის კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით.

## თავი 27

### ტექსტის მახალთები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2007 წელს (17 იანვარი) ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პირველ წელიწადს ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა ჩაატარა VII კლასის მოსწავლეთა შედეგების შეფასება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. ტესტირება მიმდინარეობდა 2 აკადემიური საათის განმავლობაში. კვლევის მიზანი იყო მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში VII კლასის მოსწავლეთა უნარ-ჩვევების მდგომარეობის შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) გათვალისწინებით.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის ექსპერტთა მიერ შეფასებისთვის შეირჩა სტანდარტის მიმართულება - კითხვა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კითხვის მიმართულებით სტანდარტში დადგენილი ინდიკატორებიდან, ექსპერტებთან მუშაობის საფუძველზე, გამოიყო მოსწავლის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების შემდეგი ინდიკატორები:

1. მოსწავლეს შეუძლია მოიძიოს და ამოიცნოს კონკრეტული ინფორმაცია ტექსტიდან;
2. მოსწავლეს შეუძლია მთლიანი შინაარსის გაგება (ძირითადი თემა, მთავარი პერსონაჟი, სათაური, მიზანი, აუდიტორია);
3. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ანალიზი;
4. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის შეფასება (საკუთარი აზრის გამოხატვა და მისი არგუმენტირება).

კითხვის უნარ-ჩვევების შესაფასებლად შეირჩა 2 ტიპის ტექსტი: საინფორმაციო და მხატვრული (მცირე მოცულობის მოთხრობა). მომზადდა ტესტის ორი ვარიანტი, ანუ მოცულობის, ლექსიკის სირთულის, თემატიკის თვალსაზრისით ორი ერთგვაროვანი მხატვრული და საინფორმაციო ტექსტი. (მხატვრული: რ. ინანიშვილის “ჩიტების გამომზამთრებელი”, გ. ღოჩანაშვილის “მთის გადაღმა”, ორი საინფორმაციო ტექსტი მდინარეების შესახებ). მოცულობითი და ლექსიკური სირთულის იდენტურობის მიღწევის მიზნით, ტექსტები შემოკლდა და ადაპტირებულ იქნა.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ინდიკატორი შევადგინეთ ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ:

I ინდიკატორი: მოსწავლეს შეუძლია მოიძიოს და ამოიცნოს კონკრეტული ინფორმაცია ტექსტიდან - მხატვრული ტექსტის შემთხვევაში გულისხმობდა:

- ა). მხატვრული ნაწარმოების ცალკეული დეტალის შინაარსობრივი ინფორმაციის მოძიებას და ამოცნობას;
- ბ). მხატვრული ენის, მხატვრული ხერხების მეშვეობით (სხვადასხვა ენობრივი საშუალება, ტროპული მეტყველება) გადმოცემული ინფორმაციის მოძიებას და ამოცნობას;
- გ). სიტყვის მნიშვნელობის გაგებას კონტექსტში;
- დ). იმ მხატვრული ინფორმაციის მოძიებასა და ამოცნობას, რომელიც სასვენი ნიშნების ფუნქციითა ცოდნასა და ხმარების კანონზომიერებებთან არის დაკავშირებული (მაგ. ხვდება თუ ვერა მოსწავლე, რომ ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები კონკრეტულ შემთხვევაში პერსონაჟის ფიქრებია და ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიგოს ადეკვატურად, თუ ბრჭყალების ფუნქცია ესმის);
- ე). სხვადასხვა ტიპის ტექსტისთვის დამახასიათებელი ენობრივ-სტილური ელემენტების ამოცნობას. ჩვენ მიერ შერჩეულ ტექსტებში იყო უშემასმენლო ნომინალური წინადადებებით აგებული მხატვრული აღწერის რამდენიმე გამოკვეთილი სურათი. ამიტომ ერთ-ერთი კითხვა სწორედ ამ წინადადებების მოძიებას შეეხებოდა: „ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა წინადადება, რომლებშიც არ არის ზმნა-შემასმენელი“. ვიმეორებთ, ამ ინფორმაციის მოძიება უფრო „მაღალი“ მიზნებისთვის გვინტერესებდა: თუ მხატვრული ტექსტის ამგვარ ენობრივ ქსოვილს „ვერ ამჩნევს“ მოსწავლე, ის ვერც იმას გაიგებს, რა არის მხატვრული აღწერა, რა საშუალებებით იქმნება იგი და ა.შ.

I ინდიკატორი საინფორმაციო ტექსტის შემთხვევაში გულისხმობდა:

- ა). ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის მოძიებას, ტექსტის ცალკეული დეტალის შინაარსის გაგებას,
- ბ). ტექსტიდან ურთიერთდაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას.

II ინდიკატორი: მოსწავლეს შეუძლია ტექსტის მთლიანი შინაარსის გაგება

მხატვრულ ტექსტში ამ დონის კითხვები შეეხებოდა:

- ა). დღევანდელ სასკოლო პრაქტიკაში მხატვრულ ტექსტზე მუშაობის ერთადერთ თუ არა, ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმას, კერძოდ: ნაწარმოების მთავარი თემის, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ამოცნობას (დასაბუთებული პასუხით) საინფორმაციო ტექსტში II დონის კითხვები გულისხმობდა:
- ა). საინფორმაციო ტექსტის მიზნისა და აუდიტორიის ამოცნობას;
- ბ). საინფორმაციო ტექსტის მთავარი თემის გაგებას;
- გ). საინფორმაციო ტექსტის მთლიანობითი შინაარსის გაგებას (მთავარი თემის დაყოფა ქვეთემებად).

III ინდიკატორი: მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ანალიზი.

მხატვრულ ტექსტში III ინდიკატორის კითხვები გულისხმობდა:

- ა). ტექსტში დასმული პრობლემური საკითხის ანალიზს მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე,

ბ). ტექსტში დასმული პრობლემური საკითხის ანალოგიის პოვნას და გააზრებას სხვა ტიპის ტექსტში (მოთხრობა - ანდაზა);

გ) მხატვრული ელემენტებით შექმნილი, პრობლემური საკითხისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფრაგმენტის ანალიზს.

საინფორმაციო ტექსტის შემთხვევაში III ინდიკატორი ეხებოდა:

ა). პრობლემის ანალიზს მთლიანი ტექსტის საფუძველზე;

ბ). საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მხარის გააზრებას (აბზაცის ფუნქცია, შემაჯამებელი აბზაცის გააზრება).

#### IV ინდიკატორი: მოსწავლეს შეუძლია ტექსტის შეფასება

მხატვრულ ტექსტში IV ინდიკატორის კითხვები ეხებოდა:

ა). ტექსტში დასმული პრობლემური საკითხის ინტერპრეტაციას სხვადასხვა კუთხით;

ბ) მთავარი პრობლემის გააზრებას კონკრეტული ლიტერატურული კონტექსტიდან გამომდინარე გამოცდილების, ზნეობრივ-ეთიკური პოზიციების მიხედვით;

გ). პერსონაჟის დახასიათებას.

საინფორმაციო ტექსტში IV ინდიკატორის კითხვები გულისხმობდა:

ა). ტექსტის შეფასებას, ტექსტში მოცემული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან;

ბ). ტექსტში დასმული პრობლემის შეფასებას სხვა სასწავლო საგნებში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ტექსტთან საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირებას.

ქვემოთ მოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის მშობლიური ენისა და ლიტერატურის ექსპერტთა მიერ სპეციალურად შემუშავებული ტესტის ორი ვარიანტი ღია და დახურული კითხვებით.



ქვემოთ მოყვანილია ორი ტექსტი. თითოეულ მათგანს დართული აქვს შეკითხვები. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. კითხვების ნაწილს მოსდევს სავარაუდო პასუხები, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ უნდა შეარჩიოთ სწორი პასუხი და შემოხაზოთ მისი ნომერი. ზოგიერთი კითხვის შემდეგ კი სპეციალური ადგილია დატოვებული, რომელშიც უნდა ჩაწეროთ თქვენი პასუხი.

გთხოვთ, იმუშავოთ ყურადღებით და უპასუხოთ ყველა კითხვას.

## **რ. ინანიშვილი**

### **ჩიტების გამომზამთრებელი**

თანამედროვე დაბალჭერიანი ბინა. მოკლედ ჩამოშვებული სამფანჯრიანი რძისფერი ჭალი. პრიალა პარკეტი. პრიალა ავეჯი, წიგნები, ფოტოსურათები – გაღიმებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შუაში უზის ორი-სამი წლის კოპებშეკრული ბიჭი. შემოსასვლელ კართან – ჩუსტები, ფლოსტები. აცეტონისა თუ სკიპიდარის სუნი. ისმის ელექტროზარის ხმა. სამზარეულოდან გამოდის ორმოცი წლის დაბალი რბილნაკეთიანი ქალი. გზა-გზა იხსნის წითელ, გამჭვირვალე წინსაფარს, თედობთან ისწორებს კაბას, მერე – კეფაზე ფომფლო გორგლად დახვეულ თმას. კარის საკეტს გადასწევს. შემოვა შეჭალარავებული ჯმუხი მამაკაცი, გაზეთში გახვეული რაღაც უჭირავს. დაღლილ, ნაღვლიან თვალებს თითქოს არიდებენ ერთმანეთს.

**ქალი:** შენი გასაღები რა უყავი?

**მამაკაცი:** არ ვიცი, საწვიმრის ჯიბეში თუ ჩამრჩა.

**ქალი:** საწვიმარი მე დავაუთოვე და იქ არაფერი არ არის.

**მამაკაცი:** მაშინ დამიკარგავს.

**ქალი:** როგორ ადვილად ამბობ: „დამიკარგავს“?!

**მამაკაცი:** აბა, რა ვქნა, თმები დავიგლიჯო?

**ქალი:** შენ რაზე დაიგლეჯ... შენ არაფერზე არ დაიგლეჯ თმებს.

**მამაკაცი:** სკოლაში იყავი?

**ქალს** ეს შეკითხვა თითქოს არ გაეგონოს.

**ქალი:** ეგ რა არის?

**მამაკაცი:** რეიტუზი ვუყიდე.

**ქალი:** ვის უყიდე, ვის! მაგ დებილს, მაგ არანორმალურს? გგონია, რომ ესწრება ფიზკულტურას?

**მამაკაცი:** აბა, სად დადის?

**ქალი:** ჭირში და მოუსავლეთში მაგის თავი, ჭირში. – დივანზე ჯდება, მკლავები მუცელთან მიაქვს, იღუნება, – მე აღარ შემიძლია, ჩადი შენ თვითონ, მამა ხარ, გარკვეული პასუხისმგებლობა შენც ხომ გაკისრია, გააცდინე ეგ შენი სამსახური, დაეთხოვე, დააგვიანე... ციხიდან უშვებენ ხალხს და შენი სამსახური რა გახდა ისეთი! ჩადი, ბატონო, და შენ თვითონ გაიგე, სად დადის შენი დეგენერატი ვაჟიშვილი, რას სწავლობს. საერთოდ, თუ აკეთებს რამეს. რა ჭირზე ფიქრობს, გამოლენჩებული რომ ზის გაკვეთილზე. ჩადი, ბატონო, და შენი ყურით გაიგე, რას ლაპარაკობენ მასწავლებლები. მე აღარ შემიძლია. სულ მუდმივი დაცინვა სხვებისგან... მეც ხომ ადამიანი ვარ?! კარგი, ადამიანისა აღარ შემრჩა აღარაფერი, სულდგმული ხომ ვარ. აი, მოკრუნჩხული გევედრებით: მე აღარ შემიძლია, გავთავდი, მოვრჩი, ცოტა დამეხმარეთ!

**მამაკაცი:** შენ რომ ნამდვილი გაჭირვება შეგვხვდეს, მაშინ რაღას იზამ?

**ქალი:** რას ეძახი ნამდვილ გაჭირვებას – შიმშილს? სიკვდილს? უსახლკარობას? ფეხშიშველა სიარულს? ვაი, რა ბედნიერებაა, როცა გშია, სიცივით გაკანკალებს, მაგრამ არავინ დაგცინის.

**მამაკაცი:** მაგოდენებს, საბანი რომ ვერ დაუხურავთ თვითონ, ასტონიანი ტანკების შესაჩერებლად უშვებდნენ, ხშირად მარტო ბენზინით სავსე ბოთლების ანაბარა, იმათ დედებს რაღა უნდა ექნათ?

**ქალი:** ერთხანს არაფერს ამბობს, ცხვირსახოცს ეძებს, გაჭირვებით იღებს პატარა ჯიბეში ჩაჭმუჭნულს, ტუჩებთან მიაქვს, იმ ცხვირსახოცში ლაპარაკობს:

– რას ვითხოვ ასეთს?! პატივისცემას და ნუგეშს ვითხოვ გარშემო მყოფთაგან... იმათ დედებს მოკრძალებით, შიშითაც კი შეჰყურებდნენ სხვა დედები, რომლებსაც ასეთი უბედურება არ დასტყდომოდათ თავს...

**მამაკაცი:** დიდი შეღავათია!

**ქალი:** ნამდვილად დიდი.

**მამაკაცი:** გადაირიე, ქალო?

**ქალი:** როგორც გინდა, ისე იფიქრე.

**მამაკაცი** უყურებს და არაფერს ამბობს. გაზეთში გახვეულ რეიტუზს მაგიდაზე დადებს, გახსნის, ხმაშეცვლილი მობრუნდება.

**მამაკაცი:** ადექი, მაჭამე რამე, ლუკმა არ ჩამიდვია დილას აქეთ.

**ქალი** ადგება, ცრემლების წმენდით, ცხვირის სოცვით მიდის სამზარეულოსაკენ.

**ქალი:** ფეხსაცმელი გაიხადე. ფლოსტები ხომ აწყვია კართან!

**მამაკაცი** ფეხსაცმელს იხდის. მაგიდაზე გამოღილ რეიტუზს ისევ შეახვევს.

**მამაკაცი:** ექვსი მანეთი ღირს, განა მეტი. ამირანი შემხვდა, გოგო ისევ საავადმყოფოში სწოლიათ. ახლა გვერდში წყალი ჩასდგომია. გაგიჟებული იყო საწყალი.

**ქალი:** ვანო არ ჩამოსულიყო, რა თქვა?

**მამაკაცი:** წამლები გამოუგზავნია. კარგი იქნება, მოგვეხერხებინა და გვენახა ბავშვი. აქვე სწოლიათ, ბორჯომის ქუჩაზე.

ქალი ქვებს სადგარს ამოუდებს ქვეშიდან.

ქალი: ჩემი შვილების ხელში მე ყველაფერს ვარ გამორჩეული, ნათესავეებსაც და მოკეთებებსაც.

მამაკაცი ზეზეურადვე აიღებს მწვანეფორიან ბოლოკს.

მამაკაცი: შენ რა, ისადილე?

ქალი: ისე ისადილოს ჩემმა მტერმა.

მამაკაცი: შენ რომ შიმშილით მოიკლავ თავს, მტერს გაუხეთქავ გულს! მაინც რა გითხრეს ასეთი?

ქალი: იმან რომ არ მითხრას, მე არ ვიცი, რა უბედურებაც ტრიალებს ჩემს თავს?! საკონტროლოებში ორები, გეომეტრიაში ზედიზედ სამი ორი, ქიმიაში ორი, ქართული როა, ქართულშიც კი ორი აქვს მიღებული.

მამაკაცი: ახლა სად არის?

ქალი: ჯანდაბაში იმისი თავი, მამიდასთან წაეთრა. შემიყვანეს, როგორც უკანასკნელი დებილი, დამაჭერინეს კალამი, მომიკიდეს ზედ ხელი და ისე დამაწერინეს ხელწერილი: ერთი ორიანიც რომ მიიღოს კიდეც, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთო.

მამაკაცი: ვინ თქვა ეგ?

ქალი: რა ვინ თქვა, დადგენილება ყოფილა.

მამაკაცი: ვინ თქვა ეგ?

ქალი: დირექტორმაც, ყველამ.

მამაკაცი ჩანგალს თეფშზე დადებს, ხელებს შარვლის ჯიბეებში ჩაიყოფს და სკამის საზურგულს მიაწვება.

მამაკაცი: სადამდე მიდის ჩვენი უგუნურობა! თან პროპაგანდას ვუწევთ, თან ჩვენ თვითონ ვაცხადებთ პროფსასწავლებლებს სასჯელის მოსახდელ ადგილებად, ჩვენ თვითონვე ვეუბნებით ბავშვებს, საშინელ დღეში ჩავარდებიან, თუ პროფსასწავლებლებში მოხვდნენ.

ქალი: თორემ არ არის ასე!

მამაკაცი: არ არის, არა! ნუთუ ვერა ხედავთ, რომ ეროვნულ უბედურებად იქცა კაბინეტებისაკენ სწრაფვა. ყველას უნდა, რომ მას ემსახურობოდნენ, ყველას უნდა, რომ თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდეს, მამაკაცებს, დღეში რომ სამ კილო ხორცსა და ათ ბოთლ ღვინოს ნთქავენ, თეთრი ხელები უნდათ, თეთრი ხელები და თეთრი ტელეფონი. ნუთუ ვერა ხედავთ, რომ მუცლები მოგვექცა თავზე?!

ქალი: მე ვერაფერს ვხედავ, ჩემი ოჯახის მეტს. სანამ აქ მექნება მოსაგვარებელი რამე, არავითარი საქმე არა მაქვს გარეთ.

მამაკაცი: ეს არის ყოველგვარი უკულმართობის სათავე - ჩემი თავი, ჩემი გეგვა, ჩემი სალაფავი და შიგ ყურებად ჩარეული თავი, რომ სხვამ არ ჩაგვიკრას ღინგი.

ქალი ზურგს შეუბრუნებს და მხრის ზემოდან გადაუდებს სათქმელს:

- შეჭამე ეგ კერძი, გაიყინა და გალეღიქდა.

მამაკაცი ჩანგალს აიღებს, თან ნერვიულად ელიძება.

მამაკაცი: ესეც უბედურებაა - გაციებული კერძი, უუჰ, დიდი უბედურებაა.

**ქალი:** შენთვის ყველაფერი ეგეთია - კერძიც, სახლიც და ყველაფერი.

**მამაკაცი:** ღაღაღა და თქვენ გიყუროთ მარტო, არა, თვალებში? პირი დაიბანეთ, კბილები დაიხეხეთ, ფეხსაცმელი დაიწმინდეთ, იატაკი არ დაანაგვიანოთ, გაკვეთილები ჩამაბარეთ! სულიწმინდა დაგვარჩენს?

**ქალი:** ვინ გთხოვს მაგას?

**მამაკაცი:** აბა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რით დავიწყო?

**ქალი:** შიში ჩაუნერგე ბავშვებს, ჩაუნერგე, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ. თუ არ გააკეთებენ. . .

**მამაკაცი:** ყელები ღაღაღა, არა?

**ქალი:** არ შეიძლება შენთან ნორმალური ლაპარაკი.

**მამაკაცი:** რა არის ამაში არანორმალური. შენ მეუბნები, ბავშვებს ჩაუნერგო შიში, ჩაუნერგო, რომ რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ, თუ არ გააკეთებენ. . . მე გეკითხები, რა ვქნა-მეთქი, თუ არ გააკეთებენ, ყელები ღაღაღა ამ უძლურებს, უკან-უკან რომ იწვევენ ყოველ წამს და ჩვენ ანტიბიოტიკებით ვექაჩებით ჩვენკენ? რა არის ამ კითხვაში არანორმალური?

**ქალი:** დამანებე თავი.

**მამაკაცი:** ვცემო? გარეთ გავყარო? ვუთხრა, რომ მათ მამობაზე ხელს ვიღებ? ბოლმამ არ დაახრჩოთ! ამ წიგნების, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით იმდენი სანიმუშო მამა დაეხეტება ჩვენს ბინაში, იქნებ ეს იამოვნოთ კიდევ, რომ ჩამოვცილდე ეს დაკუთხული, დიდცხვირა, დიდყურება კაცი.

ქალი ვერაფერს ამბობს, მაგიდასთან დახრილი ჭამს.

გაიღება კარი. შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღალია, წვრილი, მხრებში მოხრილი. გრძლად გაშვებული სქელი თმა კიდევ უფრო უპატარაებს ისედაც პატარა, სიგამხრისაგან ჩამუქებულ სახეს. გაბერილი ქალღმრთლის პარკი უკავია მკერდთან. მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი. დიდხანს იწმინდს ფეხებს.

ქალი და მამაკაცი შემკრთალი თვალებით შეჰყურებენ ერთმანეთს.

**ქალი:** ეგ რა არის?

**ბიჭი:** ჩიტბატონები ვიყიდე, მთლად იაფად, გამოვაზამთრებ და გაზაფხულზე გავუშვებ.

პარკს პირს მოხსნის და ჩიტბატონებს ამოაფრენს. ისინი ფრთხილად, რიკრიკით, წითელ-ყვითელ ფერების თახთანით დაფრინავენ ოთახში. ბიჭი ქვემოდან შესცქერის და ბედნიერად უბრწყინავს სახე.

ქალი წამოვარდება, საკუჭნაოდან იატაკის საწმინდ ჯოხს გამოიტანს და ჩიტებს გამოედევნება.

**ბიჭი:** არ დაარტყა! არ დაარტყა!

**ქალი:** გამეცალე, თორემ შენ გაგიხეთქავ თავს!

**ბიჭი:** მამა, არ დაარტყას, მამა!

მამაკაცი ჭამს, თეფშს ჩაჰყურებს.

ქალი ერთ ჩიტს მისწვდება და კედელზე მიაჩქქვავს, დასდევს მეორე ჩიტსაც.

ბიჭი: დედა! მამა! დედა!

ქალი: გამეცალე!

ქალი იმ მეორე ჩიტსაც მისწვდება, აჭყვივლებული მისრისა კუთხეში.

ბიჭი: კარგი, დედა!

ღიღი, საბრალობელი თვალები ცრემლებით აქვს სავეს. მიდის, ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთით, მერე - მეორეს. დგას ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფეხებდაუძლებლურებული. მერე უცნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე ყუთში ყრის.

ბიჭი: კარგით! კარგით!

ფერდაკარგული ქალი იატაკის საწმენდ ჯოხს საკუჭნაოში შეიტანს და კარს ღონივრად გამოხურავს.

მამაკაცი ხმას არ იღებს.

ბიჭი: კარგით! კარგით!

მამაკაცი: თუ არავინ გავალებს, არც ჩიტების გამოზამთრებაა საჭირო, თუ არავინ გავალებს. . .

ბიჭი: კარგით! კარგი

## კითხვები

A1. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა წინადადება, რომელშიც არ არის ზმნა-შემასმენელი.

---

---

---

---

---

---

---

A2. „ჩემი შვილების ხელში მე ყველაფერსა ვარ გამორჩეული, ნათესავებსაც და მოკეთებებსაც“... რას ნიშნავს აქ სიტყვა გამორჩეული?

---

---

A3. შემოხაზეთ, რა შემთხვევაში უნდა წავიკითხოთ ჩამონათვალი უფრო ხანგრძლივი პაუზით:

1. რას ეძახი ნამდვილ გაჭირვებას – შიმშილს? სიკვდილს? უსახლკარობას? ფეხშიშველა

სიარულს?

2. რას ეძახი ნამდვილ გაჭირვებას – შიმშილს, სიკვდილს, უსახლკარობას, ფეხშიშველა

სიარულს?

ა) ვარიანტი 1

ბ) ვარიანტი 2

გ) ორსავე შემთხვევაში პაუზები თანაბარია.

B1. რა არის მოთხრობის მთავარი თემა?

ა) ერთი ოჯახის პრობლემები;

ბ) ერთი ოჯახის საინტერესო ისტორია;

გ) საქართველოში ჩიტების გამოზამთრების პრობლემა;

დ) უწყესო ბავშვის ამბავი.

B2. ვინ არის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი? რატომ ფიქრობთ ასე?

---

---

---

---

B3. ჩანს თუ არა ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ მოთხრობის სათაურში? თუ ჩანს, როგორია ეს დამოკიდებულება?

---

---

---

---

---

C1. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ბავშვის ცუდად სწავლაა ქალის ქმართან კამათის მიზეზი? იმსჯელეთ.

---

---

---

---

C2. რომელი გამოთქმა შეიძლება გამოიყენოს დედამ, როცა მამას საყვედურობს?

- ა) კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო;
- ბ) რასაც დასთეს, იმას მოიმკიო;
- გ) ფრთხილის დედა არ ტირისო.

C3. წაიკითხეთ ფრაგმენტი ტექსტიდან: „ვეელას უნდა, რომ თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდეს. მამაკაცებს, დღეში სამ კილო ხორცსა და ათ ბოთლ ღვინოს ნთქავენ, თეთრი ხელები უნდათ, თეთრი ხელები და თეთრი ტელეფონი. ნუთუ ვერა ხედავთ, რომ მუცლები მოგვექცა თავზე?“

როგორ გეხმობს ეს ფრაგმენტი? გადმოეცით თქვენი სიტყვებით.

---

---

---

---

---

---

---

D1. რატომ არ ჩაერია მამა დედასა და შვილს შორის მომხდარ დაპირისპირებაში? განმარტეთ თქვენი პასუხი.

---

---

---

---

D2. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოთხრობაში დასმული პრობლემა (მშობლებსა და შვილს შორის არსებული კონფლიქტი) გადაიჭრას?

როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები? განმარტეთ თქვენი პასუხი.

---

---

---

---

---

D3. მოკლედ დაახასიათეთ მთავარი პერსონაჟი.

---

---

---

---

---

---

აფრიკის დიდი მდინარე ნილოსი უძველესი დროიდანვე იპყრობდა მეცნიერების, პოეტების, ინჟინრების ყურადღებას.

ნილოსი ძალიან გრძელი მდინარეა. დედამიწის დიდ მდინარეთა შორის მას მეორე (ამაზონის შემდეგ) ადგილი უჭირავს სიგრძის მიხედვით, მაგრამ წყლიანობით ეს გიგანტი მდინარე აშკარად დაჩაგრა ბუნებამ და ბევრი მდინარის უკან დააყენა.

ნილოსის შესახებ ახლა თითქმის ყველაფერი ვიცით: ვიცით მისი დინების, შენაკადების, მისი ცხოვრების ამბავი, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ამ მდინარესთან დაკავშირებული ბევრი რამ საიდუმლოებით მოცული ჩანდა.

რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე ნილოსი მიედინება უწყლო უდაბნოში, სადაც ზაფხულობით პაპანაქება არის გამეფებული. იქ წვიმა თითქმის სულ არ იცის და ცა ყოველთვის უღრუბლოა.

ორივე მხრიდან უდაბნოებით შემოჭილი ნილოსი მცხუნვარე ზაფხულის განმავლობაში თითქოსდა უნდა დაშრეს, როგორც ეს ემართება ბევრ დიდსა თუ პატარა მდინარეს, რომლებიც უდაბნოებში მიედინებიან. მაგრამ, ნურას უკაცრავად! სწორედ შუა ზაფხულში, როცა სიცხე ყველაზე მეტია, ნილოსი ყველას თვალწინ უცბად იწყებს მატებას, კალაპოტში წყალი მალეა იწვეს, გადალახავს ნაპირებს და თანდათან მეტ ადგილს ფარავს.

სექტემბერში მდინარეში წყალი კიდევ უფრო იმატებს, ხეობის ფსკერი მთლიანად იფარება წყლით და წარმოიშობა დიდი, გრძელი ტბა. ასე გრძელდება რამდენიმე კვირას. ბოლოს მდინარე უკან იხევს მიტაცებული ტერიტორიიდან და მასზე ტოვებს ნოყიერი შლამის ფენას.

სწორედ ამ მომენტს ელოდებიან გლეხები. ისინი დაუყოვნებლივ სთესენ მარცვალს ტენიან მიწაში და მალე ნილოსის ოაზისი ცოცხალი მწვანე ხალიჩით იფარება.

იმის გამო, რომ ხეობის მცხოვრებთ ნილოსი კეთილდღეობას ანიჭებს, ძველი ეგვიპტელები აღმერთებდნენ ამ მდინარეს, თაყვანს სცემდნენ მას, რადგან მიაჩნდათ, რომ მის ნებასურვილზეა დამოკიდებული მაცოცხლებელი წყლის მოვარდნის დრო და ძლიერება. ყოვლისშემძლე ღვთაების გული რომ მოეგოთ, ეგვიპტელები მას მსხვერპლს სწირავდნენ, ხოტბას ასხამდნენ, უგალობდნენ საღვთო ჰიმნებს.

თუმცა ჯერ კიდევ იმ უძველეს დროში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ნილოსის ყოველწლიური რიტმული (ორგზის – ზაფხულსა და სექტემბერში) ადიდების ნამდვილ მიზეზს.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მკვლევარ-მოგზაურებმა აღმოაჩინეს, რომ მდინარე ნილოსი ორი შენაკადის - ცისფერი და თეთრი ნილოსის შეერთების შედეგად წარმოიქმნება. ცისფერი ნილოსის სათავე მდინარე აბაია, რომელიც ტანას ტბიდან გამოდის.

ნილოსის მთავარი შენაკადის – თეთრი ნილოსის აკვანი კიდევ დიდხანს უცნობი იყო ყველასათვის.

ამერიკელი ჟურნალისტის - ჰენრი სტენლის სახელს უკავშირდება მდინარე კაგერის აღმოჩენა, რომელიც ტბა ვიქტორიას ერთვის. მსოფლიოს გეოგრაფებმა იგი თეთრი ნილოსის სათავედ მიიჩნიეს.

ამგვარად, მრავალი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნილოსი ორქიანი მდინარეა, რომელიც წარმოიშობა ორი შტო-სათავეს – თეთრი და ცისფერი ნილოსის შეერთების შედეგად.

თეთრი ნილოსი მთავარი შენაკადია. ეს მდინარე სხვადასხვა სახელწოდებით გაივლის რამდენიმე ტბას, ცენტრალური აფრიკის ზეგნიდან რომ დაეშვება, მიედინება დაბლობზე და წარმოშობს გაუვალი ჭაობების მხარეს.

მარჯვენა შენაკადი – ცისფერი ნილოსი – სათავეს იღებს აბისინიის ზეგნის სიღრმეში, ტანას ტბიდან. ეს უფრო მოკლე, მაგრამ ჩქარი მდინარეა, რომელიც მთის ღრმა ხეობებში მიედინება.

ქალაქ ხართუმთან, ერთმანეთს რომ უერთდებიან, ორი შენაკადი ქმნის დიდ მდინარეს – ნილოსს, რომელიც წყნარად მიედინება ხმელთაშუა ზღვისაკენ.

მაგრამ რა არის ნილოსის ორგზის, სხვადასხვა დროს ადიდების მიზეზი?

ტბებიანი პლატო, სადაც თეთრი ნილოსის სათავეა, და აბისინიის ზეგანი, საიდანაც იწყება ცისფერი ნილოსი, მდებარეობს ეკვატორულ ზონაში, სადაც უხვად მოდის ატმოსფერული ნალექები. როცა ტბებიან პლატოზე ან აბისინიის ზეგანზე ძლიერი წვიმაა, მდინარეთა კალაპოტი წყლით ივსება. სანამ ადიდებული წყალი მდორე თეთრი ნილოსით ეგვიპტემდე მიაღწევს, რამდენიმე თვე გადის. ცისფერი ნილოსი კი თავის თანამომხეზე გაცილებით მოკლეა და ამიტომ მისი ადიდებული წყალი ბევრად უფრო სწრაფად აღწევს ეგვიპტემდე.

მაშასადამე, ეგვიპტეში ნილოსის პირველი ადიდება ცისფერი ნილოსის წყალობით ხდება. პირველი ადიდება ჯერ კიდევ დამცხრალი არ არის, რომ მოვარდება თეთრი ნილოსი. წყალდიდობა ძლიერდება და მეტ ხანსაც გრძელდება.

## კითხვები

E1. დაალაგეთ თანამიმდევრობით ნილოსის მონაკვეთები სათავიდან შესართავამდე.

- ა) ტბა ვიქტორია;
- ბ) ნილოსი;
- გ) კაგერა;
- დ) თეთრი ნილოსი.

E2. რომელი ნილოსის სათავე აღმოაჩინეს უფრო ადრე? ცისფერი თუ თეთრი ნილოსის?

---

---

E3. როდის დიდდება ნილოსი?

- ა) გაზაფხულზე და ზაფხულში.
- ბ) ზაფხულში;
- გ) ზაფხულსა და შემოდგომაზე;
- დ) შემოდგომაზე.

F1. ნილოსის რა საიდუმლოზეა საუბარი ტექსტში?

- ა) მდინარის ღვთაებრივ წარმოშობაზე;
- ბ) ნილოსის ყოველწლიურ რიტმულ ადიდებაზე;
- გ) შუა ზაფხულში ნილოსის ადიდებაზე.
- დ) ნილოსის ნოყიერი შლამის საიდუმლოზე;

F2. როგორ ფიქრობთ, რა მიზნით არის დაწერილი ეს ტექსტი და ვისთვის არის ის განკუთვნილი?

---

---

---

---

F3. რამდენ ნაწილად შეიძლება დაიყოს ტექსტი შინაარსის მიხედვით?

- ა) სამ ნაწილად. პირველში საუბარია იმაზე, თუ როგორ სცემდნენ ნილოსს თაყვანს, მეორეში – მის ადიდებაზე, მესამეში – ნილოსის სარგებლიანობაზე ეგვიპტისთვის;
- ბ) შინაარსის მიხედვით ტექსტის ნაწილებად დაყოფა შეუძლებელია;
- გ) ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ერთგვარი შესავალია, სადაც ნილოსის საიდუმლოზეა საუბარი, მეორე ნაწილში კი მოთხრობილია, თუ რა არის ამ გამოცანის მიზეზი;
- დ) ოთხ ნაწილად. პირველში საუბარია ნილოსის საიდუმლოზე, მეორეში – ამ საიდუმლოს ამოხსნის თაობაზე, მესამეში – ნილოსის საშიშ თვისებებზე, მეოთხეში – ეგვიპტის ცხოვრებაზე.

G1. რატომ მიიჩნეოდა ნილოსის ადიდება საიდუმლოებით მოცულ მოვლენად?

- ა) ნილოსი წელიწადში ორჯერ დიდდებოდა და თანაც მაშინ, როცა სხვა მდინარეები შრებოდნენ;
- ბ) ნილოსი დიდდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი ლოცვას აღავლენდა ღვთაების მიმართ;
- გ) ნილოსი რამდენიმე წელიწადში ერთხელ დიდდებოდა;
- დ) ნილოსი უკან დახვევის შემდეგ განსაკუთრებულად ნოყიერ შლამს ტოვებდა.

G2. რატომ დიდდება ნილოსი ორჯერ, ზაფხულსა და შემოდგომაზე?

---

---

---

---

G3. მოძებნეთ და ამოიწერეთ აბზაცი, რომელშიც შეჯამებულია, რა დადგინდა ნილოსის სათავეების თაობაზე მისი შენაკადების კვლევის შედეგად.

---

---

---

---

H1. დააარსებდნენ თუ არა ეგვიპტელები სოფლებსა და ქალაქებს იქ, სადაც ნილოსი ან სხვა რომელიმე მდინარე არ ჩამოდიოდა? პასუხი დაასაბუთეთ.

---

---

---

---

---

---

H2. ცნობილია, რომ საჰარის უდაბნოში ოდესღაც მდინარეები მიედინებოდა... შემდეგ ისინი უდაბნომ „შეჭამა“; რატომ არ დაემართა ასეთი რამ ნილოსს?... პასუხი დაასაბუთეთ.

---

---

---

---

H3. რატომ არის / არ არის საინტერესო ეს ტექსტი თქვენთვის? პასუხი დაასაბუთეთ.

---

---

---

---

---

---

---

ახლა კი გთხოვთ, მოგვაწოდეთ შემდეგი მონაცემები თქვენ შესახებ:

S1. სახელი: -----

S2. გვარი: -----

S3. (შემოხაზეთ) გოგო ბიჭი

q. ქალაქი -----

S4. სკოლის ნომერი: -----

S5. კლასი: -----

S6. დაბადების წელი: -----

p. ქართული ენისა და ლიტერატურის  
პედაგოგის სახელი და გვარი -----

tb. სახელმძღვანელო -----



ქვემოთ მოყვანილია ორი ტექსტი. თითოეულ მათგანს დართული აქვს შეკითხვები. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. კითხვების ნაწილს მოსდევს სავარაუდო პასუხები, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ უნდა შეარჩიოთ სწორი პასუხი და შემოხაზოთ მისი ნომერი. ზოგიერთი კითხვის შემდეგ კი სპეციალური ადგილია დატოვებული, რომელშიც უნდა ჩაწეროთ თქვენი პასუხი.

გთხოვთ, იმუშავოთ ყურადღებით და უპასუხოთ ყველა კითხვას.

## გურამ ღოჩანაშვილი

### მთის გადაღმა

სუფრის თავში გიორგი იჯდა, ბოლოში – მისი ცოლი, აქეთ-იქით – ვაჟები და პატარა გოგონა. უხმოდ შეექცეოდნენ ბაღრიჯანს. ყველაზე მაღიანად გიორგი ილუკებოდა.

– პურს ნუ გლეჯთ, დაჭერით ხოლმე, – თქვა გიორგის ცოლმა.

გიორგიმ ჭამა დაამთავრა და ოჯახის წევრებს გადახედა.

– დაჩეხე, ბიჭო, შეშა?

– კი, მამა, – მორიდებულად გაუღიმა უფროსმა ბიჭმა.

– ბევრი დაჩეხე?

– კი, ბევრი, – უთხრა ცოლმა.

– ყოჩაღ, დათო! – თქვა გიორგიმ. – წყალი მომიტანე, მამა!

გოგონამ წყალი მოურბენინა.

ცოლმა სუფრის ალაგება დაიწყო.

გიორგი ტახტზე წამოწვა და ასანთის ღერი კბილებში გაირჭო. მამამ ნახატებიანი წიგნი გადაშალა.

– თუთუნის მომიტანე, დათო!

– ახლავე, – წამოხტა უფროსი ბიჭი.

უმცროსი ბიჭი ფანჯარაში იყურებოდა.

გიორგიმ დაამთქნარა.

– ხარებს მოვიყვან, მამა.

– მოიყვანე, დათო!

– ვისწავლე! – ფეხზე წამოხტა მამა.

– სუ! – თითი ტუჩთან მიიტანა ქალმა. გოგონამ შიშით გაიხედა ტახტისკენ.

გიორგი სვრინავდა.

– ვითამაშო? – ჩურჩულით იკითხა მაიამ. დედამ თავი დაუქნია. გოგონა ფრთხილად მივიდა კართან და გარეთ გავიდა.

სახლიდან დედაც გავიდა და ზურას მიმართა:

- წადი, შვილო, ინდაურები მოიყვანე.
- ბიჭმა რაღაც წაიბუზღუნა, მერე ჰკითხა:
- სად არიან?
- ჭალაში იქნებიან. სად მიდიხარ?
- წიგნს წავიღებ.
- წაიღე, შვილო...

\* \* \*

ჭალა, სადაც ინდაურები ბალახს წიწკნიდნენ, პატარა მდინარესთან თავდებოდა. მდინარის იქით მინდორი იყო, მერე – ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მთა.

ბიჭი მოწყენით უყურებდა ნაცნობ ადგილებს. უმზერდა მთას და არ იცოდა, რა იყო ამ მალალი მთის გადაღმა.

\* \* \*

გეოგრაფიის სახელმძღვანელო რუკებით იყო აჭრელებული. ბიჭი ფურცლავდა წიგნს და ეძებდა ყველაზე წვრილი ასოებით დაბეჭდილ სტრიქონებს.

ამ სტრიქონებში ბევრი რამ იყო საინტერესო. ბიჭი კითხულობდა წიგნს და სტრიქონებს შორის ხედავდა უზარმაზარ ქალაქებს უზარმაზარი სახლებითა და ქუჩებით. სტრიქონებს შუა მიედინებოდნენ დიდი მდინარეები და იღვნენ მარადი თოვლით დაფარული მწვერვალები. ჩანდა გაუვალი ტყეები და მამაცი მოგზაურები... მწვანე ჯუნგლებში სპილოები მიაბოტებდნენ...

ბიჭმა გაიხედა.

ჭალა პატარა მდინარესთან თავდებოდა. გაღმა მინდორი იყო, მერე – ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მთა...

ბიჭი კითხულობდა.

\* \* \*

გიორგიმ კარგ ხასიათზე გამოიღვიძა.

- წყალი დამალევიანე, გოგო!
- მაიამ წყალი მოურბენინა.
- გაიზარდე!

გიორგი აივანზე გამოვიდა და ცოლს შეხედა. მერე ვენახს მოავლო თვალი და გაიღიმა:

- წელს კარგი მოსავალი გვექნება.
- ზურამ ეზოში ინდაურები შემოიყვანა.

\* \* \*

სანამ სკოლაში შეიყვანდნენ, ზურა ეზოდან იშვიათად გადიოდა; მამას და ძმას უკან დასდევდა და ფეხებში ებლანდებოდა. ისინი ბუზლუნებდნენ. დედა ეფერებოდა, იშვიათად თუ გაუწყრებოდა ხოლმე.

ირგვლივ ბევრი რამ უცნობი იყო.

- მამა, იმას რა ჰქვია?
- რა ჰქვია და მჭადი!
- ცისარტყელაა, შვილო, – ეტყოდა დედა.

მამას აღარაფერს ეკითხებოდა.

ერთხელ მეზობლის ბიჭთან ერთად მალალ ხეზე აცოცდა და შინ ტანსაცმელშემოხეული დაბრუნდა.

გიორგიმ მკლავში წაავლო ხელი.

- სად დაიხიე ხალათი, ბიჭო?
- ხეზე ავედი.

გიორგიმ თავში წაჰკრა.

ბიჭმა წყენით შეხედა მამას.

\* \* \*

ეზოში ხალხი შეგროვილიყო. აივანზე თოფიანი გიორგი იდგა და სახეზე ბრანზარევი სიხარული ეტყობოდა.

ზურამ წრე გაარღვია და ძირს დაიხედა. მიწაზე ქორი ეგდო.

ქორი ნალვლიანად იყურებოდა. სისხლი წვეთავდა დაჭრილი ფრთიდან. ქორის თვალეში ნალველი ჩანდა.

ზურამ მამას ახედა. გიორგიმ თვალი აარიდა შვილს და ხალხისკენ გაიხედა.

– მავნე ფრინველია, – თქვა ხმამაღლა და გაიღიმა. – სადმე გადააგდე, ბიჭო!

ზურამ ქორი ხის ყუთში ჩასვა, სახლიდან პური გამოიტანა და ყუთში ჩააგდო. ქორმა ნალვლიანად დახედა პურის ნატეხებს. ფრთა სისხლში ჰქონდა ამოსვრილი.

\* \* \*

- წადი, შვილო, ინდაურებს მიხედე.  
ბიჭი შეიჭმუნა.
- წადი, შვილო!
- არ მინდა ინდაურებთან!
- წადი, შვილო, – მოეფერა ქალი – წადი, დედა გენაცვალოს!

\* \* \*

ბიჭს ინდაურებისთვის ზურგი შეექცია... ჭალა... მდინარე... მთა...  
„რა არის იქით, იმ მთის გადაღმა?“

ბიჭი უყურებდა მთას. მთა წამოვიდა და ბიჭს გაუკვირდა. მერე მიხვდა, რომ თვითონ მიდიოდა.

ბიჭი მთაზე აღიოდა. ტანზე ეკლიანი ბუჩქები ედებოდა, ფეხი უსხლტებოდა, იკაწრებოდა...

ბიჭი მთაზე იდგა და იყურებოდა.

ქვევით პატარა სოფელი ჩანდა, სოფლის მერე – დიდი მთა. ზურამ ვერ დაინახა ვერაფერი ახალი და ახლა იმ მთაზე მოუნდა ასვლა... დალლილ ფეხებზე დაიხედა.

მაშინ ინატრა ფრთები და... ხის ყუთი გაახსენდა.

\* \* \*

ქორს ყუთიდან თავი ამოეყო და ნაღვლიანად უყურებდა ცას. პურის ნატეხები ხელუხლებლად ეყარა.

„იქნებ ხორცი ჭამოს“...

ბიჭი სახლში შევიდა და ხორცი გამოიტანა.

ქორი ნისკარტით გლეჯდა ხორცს და ჭამდა. ზურამ დედას ბამბა გამოართვა და ქორს ჭრილობა გაუსუფთავა. ბიჭი უყურებდა ჯანსაღ ფრთას, რომლითაც ქორს შეეძლო ერთი მთიდან მეორეზე გადაფრენილიყო, შეეძლო წასულიყო ძალიან შორს, აფრენილიყო ძალიან მაღლა... ქორს ყველგან წაიყვანდა ფრთები, სადაც მოისურვებდა. ამ ფრთებით შეიძლებოდა მიფრენა იქ, სადაც ბოლავდნენ ვულკანები, ტივტივებდნენ აისბერგები, სადაც იდგა უზარმაზარი ხე – სეკვოია...

\* \* \*

ქორი ირაოს აკეთებდა ჰაერში. ზურა ყიჟინით მისდევდა ქორს, იცინოდა და ხელებს იქნევდა. დიდხანს ირბინა ასე.

უცებ შეჩერდა. გაცეცხით შეხედა ბუჩქებს, სადაც ჩავარდა ქორი და გაახსენდა, რომ სროლის ხმაც გაიგონა.

აივანზე თოფიანი გიორგი იდგა.

– რატომ მოკალი?! – დაიყვირა ბიჭმა.

– გაგიჟდი, ბიჭო?

ზურა უახლოვდებოდა აივანზე მდგომ მამას. თავი მაღლა ჰქონდა აწეული. ცაზე არაფერი ჩანდა...

– ჭუკები რომ არ მოეტაცა, არა? – დაუყვირა ზურამ.

– რა მოგივიდა, ბიჭო?! – შეეკითხა გიორგი.

ზურამ ქვას დაავლო ხელი და ინდაურს ესროლა. ფრინველმა გვერდზე განტომა მოასწრო. ბიჭი შემოტრიალდა და მამას შეეჩხნა. გიორგის ბრახით ანთებოდა სახე. ხელი მოიქნია და გაარტყა...

\* \* \*

გომურში თივაზე მიგდებულს დედის კალთაში თავი ჩაედო და ტიროდა. დედა ეფერებოდა და ბიჭს გაახსენდა ქორი.

- დედა, შენი ჭირიმე, დედა, რატომ მოკლა?
- დაწყნარდი, შვილო.
- დედა, რატომ ესროლა, რატომ მოკლა?!
- კარგი, შვილო, ნუ ტირი, ვაჟკაცი არ ხარ!

ბიჭმა ცრემლები მოიწმინდა.

- რატომ... რატომ მოკლა, დედა?
- იქნებ გადარჩეს, შვილო, იქნებ არც მოუკლავს.
- ჰო, იქნებ გადარჩეს... ერთხელ ხომ გადარჩა?
- კი, შვილო, გადარჩება, აბა რას იზამს!

ბიჭმა გომურის კარი გამოაღო.

მთა იყო ძალიან შორს და ძლივს არჩევდა ბუჩქებს, სადაც ქორი ჩავარდა. ზურამ თვალები დახუჭა და მაშინვე დაინახა ქორი; იგი ეკლიან ბუჩქთან ეგდო, ნალვლიანად იყურებოდა და თითქოს არც ამჩნევდა სისხლს, დაჭრილი ფრთიდან რომ წვეთავდა. მერე ქორმა ჭრილობას დახედა და ფრთა შეარხია.

ბიჭმა თვალები გაახილა. იგი უყურებდა მთას და იღიმებოდა.

## კითხვები

A1. მოიძიეთ ტექსტში სურათები, რომელთაც ზურა წარმოსახვაში ხედავს. ამოიწერეთ.

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

A2. „ზურამ წრე გაარღვია და ძირს დაიხედა“.  
რომელ წრეზეა საუბარი ამ ფრაგმენტში?

---

A3. მოიძიეთ ტექსტში ბრჭყალებში ჩასმული წინადადებები და განმარტეთ, რატომ არის აქ გამოყენებული ეს სასვენი ნიშანი... რას გადმოსცემენ ეს წინადადებები?

---

---

---

---

**B1. რა არის მოთხრობის მთავარი თემა?**

- ა) დაჭრილი ქორის ამბავი;
- ბ) ერთი ოჯახის საინტერესო ისტორია;
- გ) პატარა სოფლის ყოველდღიურობა;
- დ) ბიჭის სწრაფვა თავისუფლებისკენ.

**B2. ვინ არის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი? რატომ ფიქრობთ ასე?**

---

---

---

---

**B3. როგორ გეხმით მოთხრობის სათაური? იმსჯელეთ.**

---

---

---

---

---

**C1. რატომ მიიწვევდა მთის მწვერვალისკენ ზურა?**

---

---

---

---

C2. ამ მოთხრობის მიხედვით, რომელი ანდაზა უფრო გამოდგება მამა-შვილის დასახსნიათებლად:

- ა) კვიცი გვარზე ხტის;
- ბ) ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიცო;
- გ) ღელა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.

C3. წაიკითხეთ ფრაგმენტი ტექსტიდან:

*„ირველივე ბევრი რამ უცნობი იყო.*

*- მამა, იმას რა ჰქვია?*

*- რა ჰქვია და მჭადი!*

*- ცისარტყელაა, შვილო, - ეტყოდა ღელა.*

*მამას აღარაფერს ეკითხებოდა“.*

როგორ გესმით ეს ფრაგმენტი? გადმოეცით თქვენი სიტყვებით.

---

---

---

---

---

---

---

---

D1. რატომ არ ჩაერია ღელა მამასა და შვილს შორის მომხდარ დაპირისპირებაში? განმარტეთ თქვენი პასუხი.

---

---

---

---

---

D2. როგორ უნდა გადაიჭრას კონფლიქტი ზურასა და მამამისს შორის, რა უნდა მოიმოქმედოს თითოეულმა მათგანმა ამისათვის? განმარტეთ თქვენი პასუხი.

---

---

---

---

---

---

---

D3. მოკლედ დაახასიათეთ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი.

---

---

---

---

---

---

---

რატომ მიედინება მდინარეები? საიდან ჩნდება მათში წყალი? ანდა რატომ არ იწევს მაღლა ოკეანეებისა და ზღვების ღონე, რომლებშიც შეუსვენებლივ, დღითა და ღამით, წლიდან წლამდე უამრავი წყალი შეაქვთ მდინარეებს?

დედამიწის ზედაპირის დაახლოებით სამი მეოთხედი უჭირავს მსოფლიო ოკეანის წყალს. ამ წყლის ნაწილი აქტიურად მონაწილეობს ბუნების გიგანტურ მექანიზმში, რომელსაც წყლის ბრუნვა ეწოდება.

მზის სხივების გავლენით ჩვენი პლანეტის ზედაპირიდან ორთქლდება უამრავი წყალი. როცა ორთქლი ატმოსფეროს ზედა ცივ ფენებში მოხვდება, უწვრილესი წვეთებისაგან წარმოიქმნება ღრუბელი, ჩვენ რომ ხშირად ვხედავთ ცაზე.

წყალი, რომელიც წვიმის სახით ჩამოიღვრება დედამიწაზე, სიძიმის ძალის გავლენით მაღალი ადგილებიდან დაბლა ეშვება. ცალკეული ნაკადები ერთდება და წარმოქმნის ნაკადულებს, ესენი, თავის მხრივ, მდინარეთა სათავეებს აჩენენ.

მდინარეებს უერთდება შენაკადები და იზრდებიან. ბევრს ივლიან თუ ცოტას, ბოლოს მიაღწევენ ოკეანეს ან ზღვას და იქ დაამთავრებენ თავიანთ რბოლას.

ცივ ამინდში დაბლობებსა და მთებში მოსული თოვლი ქმნის თოვლის საფარველსა და მყინვარებს. გაზაფხულსა და ზაფხულში თოვლის წყალი ჩაედინება მდინარეში და მიექანება ოკეანისაკენ.

ამრიგად, მსოფლიო ოკეანიდან აორთქლებული წყალი ადრე თუ გვიან სხვადასხვა გზით (წვიმის სახით, ნაკადულებისა და მდინარეების ღინებით) კვლავ მას უბრუნდება. ასე იკვრება წყლის ბრუნვის წრე ბუნებაში. ეს რთული და განუწყვეტელი პროცესია.

მდინარე თავის შენაკადებთან ერთად ქმნის მდინარის სისტემას. იმ ფართობს, რომლისგანაც მდინარე წყალს იღებს, აუზი ან წყალშესაკრები ეწოდება.

წლიდან წლამდე რომ მიედინება თავისი ხეობის ფსკერზე, მდინარე ქმნის ჩაღრმავებას — კალაპოტს. მდინარეს აქვს დასაწყისი ანუ სათავე და შესართავი, სადაც მთავრდება მისი ღინება.

მდინარეთა სიცოცხლე თავისებურია და განუმეორებელი. ყოველ მდინარეს თავისი ისტორია, თავისი ხასიათი, თავისი ბედი აქვს. ბუნებაში არ არის ისეთი მდინარე, რომელიც ზუსტად ჰგავდეს სხვა მდინარეს.

დედამიწის იმ მხარეებში, სადაც უხვად მოდის ნალექები, მდინარეები წყალუხვია. ისინი არასდროს შრება. გვალვიან მხარეებში, სადაც მცირე რაოდენობით მოდის ნალექები, მდინარეებს უჭირს; წლის უმეტეს დროს მათში წყალი არ არის.

დედამიწის უდიდესი მდინარეების სიგრძე ათასობით კილომეტრია. ყველაზე გრძელი ექვსი მდინარეა: ამაზონი, ნილოსი, მისისიპი, იანგი, ობი, ენისეი. მათი სიგრძე 5 – 7 ათასი კილომეტრია.

ყველაზე წყალუხვი მდინარე ამაზონია. იგი 7,2 მილიონ კვ. კილომეტრს უდრის..

მდინარის ცხოვრებაში რამდენიმე მთავარ პერიოდს განასხვავებენ; ესენია წყალუხვობა, წყლის მოვარდნა, წყალმარჩხოვა და გაყინულობა.

წყალუხვობა და წყლის მოვარდნა ყველაზე აქტიური და შფოთიანი პერიოდია მდინარის ცხოვრებაში. წყალუხვობა იცის გაზაფხულზე თოვლის დნობის დროს. ამ დროს მდინარეში ბევრი წყალია და იგი ფართოდ მოედინება. წყლის მოვარდნა კი ხანმოკლე პროცესია, რომელიც წარმოიშობა დიდი წვიმის ან ღვართქაფის შედეგად. წყალუხვობამ და წყლის მოვარდნამ შეიძლება ძლიერი წყალდიდობა გამოიწვიოს. როცა თოვლის ან წვიმის წყალი ველარ ეტევა კალაპოტში, მდინარე გადალახავს ნაპირებს და დატბორავს ახლომდებარე ადგილებს. ეს საშინელ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

გაყინვით კი მხოლოდ ის მდინარეები იყინებიან, რომლებიც ჩრდილოეთსა და ზომიერ სარტყელში მიედინებიან.

მდინარეები, ისევე როგორც ადამიანები, ჩნდებიან, ცოცხლობენ, ბერდებიან და კვდებიან. ოღონდ ეს კია, რომ მათი სიცოცხლე შეუდარებლად უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე ადამიანის ცხოვრება.



**F3. რამდენ ნაწილად შეიძლება დაიყოს ტექსტი შინაარსის მიხედვით?**

- ა) ორ ნაწილად. პირველ ნაწილში საუბარია მდინარეთა წარმოშობის შესახებ, მეორეში – მათი სიცოცხლის შესახებ;
- ბ) შინაარსის მიხედვით ტექსტის ნაწილებად დაყოფა შეუძლებელია;
- გ) სამ ნაწილად. პირველ ნაწილში საუბარია მდინარის სარგებლიანობის შესახებ, მეორეში – მათ წარმოშობაზეა საუბარი, მესამეში – მათი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდზე;
- დ) ოთხ ნაწილად. პირველ ნაწილში საუბარია მდინარეების წარმოშობაზე, მეორეში – მათ სიცოცხლეზე, მესამეში – მათ დამანგრეველ მოქმედებაზე, მეოთხეში – მათ სილამაზეზე.

**G1. რა არის ტექსტის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი წყლის ბრუნვის პროცესისათვის?**

- ა) ის, რომ შენაკადები დიდ მდინარეებად ერთიანდებიან და ოკეანეში ჩაედინებიან;
- ბ) ის, რომ ჰაერში წარმოიშობა ღრუბელი და მერე ის წვიმად მოდის;
- გ) ის, რომ წყალი სიმძიმის ძალის გავლენით მაღალი ადგილებიდან დაბლა ეშვება;
- დ) წყლის ბრუნვა თანამიმდევრული პროცესია, რომლის თითოეული ეტაპი ერთნაირად მნიშვნელოვანია.

**G2. რატომ მიედინებიან მდინარეები?**

- ა) ამინდის ცვალებადობა აიძულებს მათ მაღლობიდან დაბლა დაშვებას;
- ბ) წყლის თავისებური შედგენილობის გამო მდინარეები ოკეანისაკენ მიისწრაფიან;
- გ) სიმძიმის ძალა აიძულებს წყალს მაღლიდან დაბლა დინებას;
- დ) ადამიანის ძალისხმევა აიძულებს მათ დაბლა იდინონ.

G3. ტექსტში მოძებნეთ და ამოიწერეთ აბზაცი, რომელშიც შეჯამებულია წყლის ბრუნვის მექანიზმი:

---

---

---

---

---

H1. დააარსებდნენ თუ არა ძველ დროში დიდ ქალაქს იმ ადგილას, სადაც მდინარე არ იყო? პასუხი დაასაბუთეთ.

---

---

---

---

---

---

---

H2. შეიძლება თუ არა, ტექსტიდან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სამხრეთ ამერიკაში მდინარეები უფრო წყალუხვია, ვიდრე ჩრდილოეთ აფრიკაში? პასუხი დაასაბუთეთ

---

---

---

---

---

---

---

H3. რატომ არის / არ არის საინტერესო ეს ტექსტი თქვენთვის? პასუხი დაასაბუთეთ.

---

---

---

---

---

---

---

ახლა კი გთხოვთ, მოგვაწოდეთ შემდეგი მონაცემები თქვენს შესახებ:

S1. სახელი -----

S2. გვარი: -----

S3. (შემოხაზეთ) გოგო ბიჭი

q. ქალაქი: -----

S4. სკოლის ნომერი: -----

S5. კლასი: -----

S6. დაბადების წელი: -----

p. ქართული ენისა და ლიტერატურის  
პედაგოგის სახელი და გვარი -----

tb. სახელმძღვანელო -----

## თავი 28 ტესტის მაგალითი საზოგადოებრივ მეცნიერებებში

2007 წელს (30 და 31 მაისს) ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრმა ჩაატარა VIII კლასის მოსწავლეთა შედეგების შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ტესტირება ჩატარდა საპილოტე და არასაპილოტე სკოლებში. ტესტირების პირველ დღეს მოსწავლეებმა შეასრულეს ქვე-ტესტები გეოგრაფიულ და ისტორიულ ტექსტებზე, ხოლო მეორე დღეს იმავე მოსწავლეებმა შეასრულეს დანარჩენი ორი ქვე-ტესტი სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრირებულ ტექსტზე. თითოეულ დღეს ტესტირება მიმდინარეობდა 2 აკადემიური საათის განმავლობაში. კვლევის მიზნები იყო: (1) საზოგადოებრივი მეცნიერებების ინტეგრირებული საგნობრივი პროგრამის (სტანდარტის) დახვეწისთვის რეკომენდაციების შემუშავება; (2) საგნობრივი პროგრამის (სტანდარტი) შეცვლის ეფექტის შესწავლა, (3) საზოგადოებრივ მეცნიერებებში შინარსისა და უნარის ტრანსფერის (გადატანის) ხარისხის გამოვლენა; (5) უნარების ტრანსფერზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა.



**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი**  
National Curriculum & Assessment Centre

ქვემოთ მოყვანილი ტექსტი ორი ნაწილისაგან შედგება. ორივე ნაწილს აქვს ცალკე ინსტრუქცია, ტექსტი და შეკითხვები. თავდაპირველად გაეცანით ტესტის I ნაწილის ინსტრუქციას, წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. შემდეგ გადადით II ნაწილზე – გაეცანით ინსტრუქციას, წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

## ნაწილი I

ქვემოთ მოყვანილია ტექსტი თავისი რუკით. ტექსტს ბოლოში დართული აქვს შეკითხვები. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და დააკვირდით რუკას. უპასუხეთ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

არის სამი სახის დავალება:


1. ტექსტში მოცემული ინფორმაციის რუკაზე გადატანა.
2. კითხვები, რომელთაც მოსდევს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხი უნდა შეარჩიოთ და შემოხაზოთ.
3. კითხვები, რომელთაც პასუხი წერილობით, რამდენიმე წინადადებით უნდა გასცეთ. ამისთვის შეკითხვის შემდეგ სპეციალური ადგილია გამოყოფილი.

## ანგლო-ამერიკა

### ამერიკის შემრთმებული შტატების რეპროდუცირებული დავალების რუკა

ტერმინით ანგლო-ამერიკა აღინიშნება დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარე კულტურული რეგიონი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს რეგიონი მოიცავს ორ სახელმწიფოს: კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამჟამად ამ სახელმწიფოთა მოსახლეობაში ევროპელი კოლონიზატორების შთამომავლები სჭარბობენ, ხოლო ინდიელების შთამომავლები უმცირესობაში არიან. ინდიელები ის ხალხია, ვინც უძველესი დროიდან სახლობდა ჩრდილოეთ ამერიკაში.

ევროპული კოლონიზაციის ერთ-ერთი შედეგი იყო ინდიელების თანდათანობითი მიგრაცია ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთი სანაპიროდან დასავლეთისაკენ. ევროპელების მოსვლამდე დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ინდიელთა რამდენიმე ტომი სახლობდა ამ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იქ, სადაც დღეს სამხრეთ ატლანტიკური რეგიონია. ევროპელმა კოლონიზატორებმა ისინი აიძულეს, გადასახლებულიყვნენ უფრო დასავლეთით სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის ტერიტორიაზე, ეს ტერიტორია გამორჩეულია ნაყოფიერი მიწებით, სადაც უხვი მოსავალი მოჰყავთ. ამ ტერიტორიებიდან მალევე მოუწიათ აყრა და ჩრდილოეთით გადასახლება, დღევანდელი შუა-დასავლეთის რეგიონის ტერიტორიაზე. მოგვიანებით შუა-დასავლეთის რეგიონის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის მარაგი. ამ აღმოჩენამ მიიზიდა ევროპელები. ინდიელები კი კიდევ ერთხელ გადაბარგდნენ ათვისებული რაიონიდან. დღეს ინდიელთა დიდი ნაწილი კლდოვანი მთების რეგიონში სახლობს.



- 1 - წყნარი ოკეანის რეგიონი
- 2 - კლდოვანი მთების რეგიონი
- 3 - შუა დასავლეთის რეგიონი
- 4 - შუა ატლანტიკური რეგიონი
- 5 - ახალი ინგლისის რეგიონი
- 6 - სამხრეთ დასავლეთი რეგიონი
- 7 - სამხრეთ ატლანტიკური რეგიონი

ანგლო-ამერიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დიდი ბრიტანეთის კოლონიებს წარმოადგენდა. გარდა დიდი ბრიტანეთისა, ამ რეგიონში კოლონიები საფრანგეთსაც ჰქონდა. ამ ორი

ევროპული სახელმწიფოს მიერ დატოვებული მემკვიდრეობა დღესაც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ჩრდილოეთ ამერიკის ორ სახელმწიფოზე. კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მრავალი მოვლენაა საერთო. მათი საზოგადოებებიც მსგავსია: საზოგადოებრივი წყობა ორივე ქვეყანაში დემოკრატიულია, ორივე დიდად აფასებს განათლებასა და კარგ სამედიცინო მომსახურებას. მათი სპორტული ტრადიციებიც კი ერთნაირია. ორივე ქვეყანაში თამაშობენ ჰოკეისა და ბეისბოლს. თუმცა არის სხვაობაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისური ერთადერთი სახელმწიფო ენაა. კანადა კი – ორენოვანი ქვეყანაა. 1981 წელს მიღებულმა კანადის ახალმა კონსტიტუციამ ფრანგულსაც მიანიჭა სახელმწიფო ენის სტატუსი. დღეს კანადის მოსახლეობის 30% ფრანგული წარმოშობისაა. მათი უმეტესობა კვებეკის პროვინციაში ცხოვრობს. ფრანგული წარმოშობის კანადელებისაგან განსხვავებით, ბრიტანული წარმომავლობის კანადელები ქვეყნის ყველა პროვინციაში არიან გაფანტულნი.

ამერიკის შეერთებული შტატებიც და კანადაც იმიგრანტთა ქვეყნად ითვლება. აქ მოსახლეობის უმეტესობა ბრიტანული და ფრანგული წარმოშობისაა, მაგრამ

მოსახლეობის ის ნაწილიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რომელიც სხვა ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნება. ამ ქვეყნებში შეხვდებით ადამიანებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მათი უმრავლესობის წინაპრები ჩრდილოეთ ამერიკაში ჩამოვიდნენ ან რელიგიური თავისუფლების მოსაპოვებლად, ან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ამ რეგიონის აფრო-ამერიკული მოსახლეობის დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალდატანებით ჩამოყვანილი მონების შთამომავლები არიან. 1944 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა განაცხადა: "მთელ ჩვენს ქვეყანაში ყველა ჩვენგანი, გარდა ინდიელებისა, არის იმიგრანტი ან იმიგრანტთა შთამომავალი; გამონაკლისი არც 1620 წელს ბრიტანეთიდან ჩამოსული პილიგრიმების შთამომავლები არიან."

XIX და XX საუკუნეებში ჩრდილოეთ ამერიკაში იმიგრაციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. 1850 წლიდან 1920 წლამდე 25 მილიონზე მეტი ადამიანი ჩამოვიდა საცხოვრებლად ამ რეგიონში. ამ პერიოდის იმიგრანტთა უმრავლესობა თავიანთ ქვეყანაში არსებულ ცხოვრების სიმძიმესა და სიდუხჭირეს გამოექცა. ამ წლებში ევროპასა და აზიაში ცხოვრების გაურესება გამოწვეული იყო მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდით, რის შედეგადაც ძალიან გაიზარდა კონკურენცია მიწით სარგებლობაზე, ხოლო საკვები პროდუქტი არასაკმარის გახდა. ამ პერიოდის მიგრანტთა ერთი ნაწილი, მაგ. ებრაელები, რელიგიური დევნიდან თავის დასაღწევად გაემგზავრნენ ჩრდილოეთ ამერიკაში. ანგლო-ამერიკაში იმიგრაცია აქამდე არ წყდება. დღევანდელი იმიგრანტები მეტწილად აზიის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან ჩადიან. ისინი, ისევე როგორც მათი წინამორბედნი, კანადისა და ამერიკის შეერთებულ შტატებისკენ უკეთესი ცხოვრების იმედით მიემართებიან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანადა ორენოვანი ქვეყანაა. აქ ფულიც და საფოსტო მარკებიც ინგლისურ და ფრანგულ ენაზე იბეჭდება, მაგრამ კანადის მთავრობის შემადგენლობის უმრავლესობა ინგლისურენოვანია. კვებეკის ფრანგული მოსახლეობის ნაწილს სურს, რომ მათი მხარე გამოეყოს კანადას. ამ ადამიანებს სეპარატისტებს უწოდებენ. 1980 წელს რეფერენდუმზე კვებეკელებს საშუალება ჰქონდათ ხმა მიეცათ თავიანთი პროვინციის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, მაგრამ რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა, რომ სუვერენიტეტს კვებეკის მოსახლეობის მხოლოდ 40%-მა დაუჭირა მხარი, დანარჩენმა 60%-მა კი კანადის ერთიანობას მისცა ხმა. ეს კი ნიშნავდა, რომ კვებეკს კვლავ კანადის შემადგენლობაში მართებდა დარჩენა.

მიუხედავად ამ უსიამოვნო მარცხისა, კვებეკის დამოუკიდებლობა ბევრი ფრანგი კანადელის ოცნებად რჩება. მათ მიაჩნიათ, რომ კანადის მთავრობა ძირითადად ინგლისურენოვანი მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავს. სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა რენე ლევესკიმ მოსახლეობას ასე მიმართა: "საკითხი ეხება ჩვენს გადარჩენას. ჩვენი კავშირი ინგლისურენოვან კანადელებთან ანგრევს ჩვენს კულტურას. თუ თქვენ გადახედავთ განვლილ წლებს, ბევრ უსამართლობას დაინახავთ. ჩვენი კულტურა, ენა, წარსული საფრთხეშია. თუ ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი

კულტურა, თუ ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს მომავალზე, მხარი უნდა დაუჭიროთ სეპარატიზმს."

ფრანგული წარმოშობის კანადის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პიერ ტრუდო ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ვკითხულობთ: "ზოგიერთი კანადელის აზრით, უკეთესი იქნება, თუ კვებეკი გამოეყოფა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ისინი არ არიან მართალნი, რადგან ეს კანადის მთლიანობას დიდ საფრთხეში ჩააგდებს. თუ კვებეკი კანადას გამოეყოფა, ჩვენი სამშობლოს ბევრი პროვინცია დანარჩენი კანადისაგან იზოლირებული გახდება. შესაძლებელია, თავად კვებეკმა დამოუკიდებელად არსებობა შეძლოს, მაგრამ ეს მის ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებს. იგი მთლიანად დამოკიდებული გახდება კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე."

## კითხვები

1. დააკვირდით რუკასა და ტექსტს, ისრების საშუალებით დაიტანეთ რუკაზე ინდიელთა მიგრაციის მარშრუტი;
2. მეორე აბზაცის მიხედვით, რით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის ტერიტორია?

ა) ნაყოფიერი ნიადაგებით;

ბ) სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საბაღოებით;

გ) ლითონების საბაღოებით;

დ) წყალუხვი მდინარეებით;

3. ჩამოთვალე მიზეზები, რომლის გამოც ადამიანები მიემგზავრებოდნენ ანგლო-ამერიკაში XVII საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით?

---

---

---

4. ვის უწოდებენ სეპარატისტებს კანადაში?

---

---

5. რა ფაქტორმა განაპირობა ანგლო-ამერიკის კულტურული რეგიონის ჩამოყალიბება?

ა) დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობამ;

ბ) დიდი ხნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ ყოფნამ;

გ) ნაყოფიერმა ნიადაგმა;

დ) ინდიელი მოსახლეობის გადაადგილებამ.

6. ბოლოდან მესამე აბზაცში ნათქვამია, რომ კანადაში ფული და საფოსტო მარკები ორ ენაზე იბეჭდება. რა არის ამის მიზეზი?

- ა) ორი ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება;
- ბ) მოსახლეობის ნაწილში ინგლისური ენის არცოდნა;
- გ) კვებეკის ფრანგული მოსახლეობის უკმაყოფილება მთავრობის პოლიტიკით;
- დ) კანადის კულტურული ტრადიციები.

7. ტექსტიდან გამომდინარე, რა ფაქტები უკავშირდება კანადის ორენოვნებას?

- ა) სპორტული ტრადიციები; კანადაში აზიის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან იმიგრანტთა ჩასვლა.
- ბ) 1981 წლის კონსტიტუცია; კანადურ ფულზე და საფოსტო მარკებზე წარწერები.
- გ) კანადური ფულზე და საფოსტო მარკებზე წარწერები; კარგი სამედიცინო მომსახურება.
- დ) 1981 წლის კონსტიტუცია; კანადაში აზიის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან იმიგრანტთა ჩასვლა.

8. მეორე აბზაციდან გამომდინარე, რატომ იცვლიდნენ ინდიელები საცხოვრებელ ადგილს?

---

---

---

9. რატომ არის კვებეკის ფრანგულენოვანი მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილო კანადის მთავრობით?

---

---

---

---

10. თქვენი აზრით, რას გულისხმობდა პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში?

ა) ინდიელები არ არიან ნამდვილი ამერიკელები;

ბ) მხოლოდ 1620 წელს ბრიტანეთიდან ჩამოსულთა შთამომავლები არიან ნამდვილი ამერიკელები;

გ) ამერიკა იმიგრანტთა ქვეყანაა და ამიტომაც ყველა ამერიკელი, თუნდაც ის ახლახან იყოს ჩამოსული, სრულუფლებიანი ამერიკელია;

დ) ამერიკაში ძალიან ბევრი იმიგრანტი ჩამოდის და ეს ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

11. თქვენი აზრით, რას გულისხმობს რენე ლევესკი, როდესაც იგი ამბობს, რომ საკითხი ეხება კვებეკის გადარჩენას.

---

---

---

12. ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეადარეთ ერთმანეთს ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა.

---

---

---

---

შეავსეთ მონაცემები თქვენს შესახებ

ისტორიის მასწავლებელი \_\_\_\_\_

გეოგრაფიის მასწავლებელი \_\_\_\_\_

სამოქალაქოს მასწავლებელი \_\_\_\_\_

მოსწავლე (გვარი სახელი): \_\_\_\_\_

სკოლა: \_\_\_\_\_

კლასი: \_\_\_\_\_

დაბადების წელი თვე და რიცხვი: \_\_\_\_\_

## ტექსტში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებები

### პასუხების ფურცელი ან წიგნი (answer sheet of booklet)

ტესტის ფურცელი (კითხვების წიგნისაგან განცალკავებულად არსებობს), რომელშიც კანდიდატები წერენ პირად მონაცემებს და ტესტურ დავალებებზე გაცემულ პასუხებს.

ტესტური დავალება, რომელიც პასუხის კონსტრუირებას მოითხოვს (constructed response item). ეს არის ტესტური დავალება, რომელიც კანდიდატისაგან პასუხის პროდუცირებას მოითხოვს ნაცვლად მისი შერჩევისა პასუხის მზა ვარიანტებიდან.

### კრიტერიუმის მაჩვენებელი (criterion score)

ტესტური დავალების საშუალო facility (facility - მთელი იმ პოპულაციიდან, რომელსაც ჩაუტარდა ტესტირება, რამდენმა პროცენტმა გასცა სწორი პასუხი ტესტურ დავალებას); ითვალისწინებს მხოლოდ იმ კანდიდატების პასუხებს, რომელთაც სცადეს ტესტური დავალების შესრულება. ეს მაჩვენებელი შეგვიძლია გამოვითვალოთ მთლიანი ტესტისა და ტესტური დავალებების კრებულისათვის იგივე წესის გამოყენებით.

### დისკრიმინაცია (discrimination)

ტესტზე შესაძლო პასუხის (პასუხის ვარიანტის) თვისება განასხვავოს ერთმანეთისაგან მეტად და ნაკლებად უნარიანი კანდიდატები იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებენ ისინი მთლიანად ტესტს. ეს მაჩვენებელი ჩვეულებრივ გამოიხატება, როგორც 1.0-ის დადებითი ან უარყოფითი წილადი და მისი მიღება სხვადასხვა ფორმულის გამოყენებითაა შესაძლებელი (მაგ. point bi-serial; phi coefficients, etc.)

### მცდარი პასუხის ვარიანტი (distractor)

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალების შემთხვევაში ერთ-ერთი მცდარი პასუხი, რომელიც ისეა დაწერილი, რომ ხელი შეუშალოს უფრო სუსტ კანდიდატებს სწორი პასუხის შერჩევაში.

### რედაქტირება (editing)

ტესტისა ან ტესტური დავალების დახვეწილი ვარიანტის მომზადება ტესტის შემუშავების სხვა ძირითადი ეტაპების გავლის შემდეგ, როგორცაა პანელისათვის ტესტური დავალებების მიწოდება ან საცდელი ტესტირება. რედაქტირება ჩვეულებრივ სრულდება ტესტური დავალების შემდგენელის მიერ.

**ტესტური დავალება, რომელიც განვრცობილ პასუხს მოითხოვს (extended response item)**

ნებისმიერი ტესტური დავალება, რომელიც კანდიდატისაგან ერთ ან ორ წინადადებაზე უფრო გრძელი პასუხის პროდუცირებას მოითხოვს.

**ტესტურ დავალებაზე გაცემული სწორი პასუხების მაჩვენებელი (facility)**

ეს არის ტესტირების პროცესში მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტური დავალების მიერ შექმნილი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს იმ კანდიდატების რაოდენობას, რომელთაც სწორი პასუხი გასცეს ამ ტესტურ დავალებას. ეს მაჩვენებელი გამოიხატება, როგორც პროცენტი იმ კანდიდატების მთლიანი რაოდენობისა, რომელთაც გაიარეს ტესტირება. მოცემული მაჩვენებელი იმ ტესტური დავალებისა, რომელიც ტესტის საბოლოო ვარიანტშია შეტანილი, ყოველთვის 20 და 80 % შორის არის იმყოფება.

**საბოლოო ფორმა (final form)**

ტესტირების ინსტრუმენტი, მას შემდეგ რაც ის გაივლის საცდელ ტესტირებას, ანალიზს, რედაქტირებას და მომზადდება გამოსაცემად.

**ინსტრუქციები (instructions)**

- **კანდიდატებისათვის**

ინფორმაცია, რომელიც იბეჭდება პასუხების ან კითხვების ფურცელზე და რომელსაც კანდიდატები იყენებენ ტესტზე პასუხის სწორად გასაცემად, მაგრამ, თავისთავად, არ წარმოადგენს მიწოდებული მასალის (სტიმულის) ან კითხვის ნაწილს. ზოგჯერ, ინსტრუქციებს კანდიდატებს ხმამაღლა უკითხვას ტესტირების ჩამტარებელი პირი.

- **სუპერვაიზორისათვის (პირისათვის, რომელიც ატარებს ტესტირებას)**

ინფორმაცია, რომელსაც აწვდიან ტესტირების ჩამტარებელ პირს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაატაროს მან ტესტირება. მასში შედის კანდიდატებისათვის მისაცემი ნებისმიერი ინსტრუქციის წერილობითი ვარიანტი, რომელიც სუპერვაიზორმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს.

**ტესტური დავალება (item)**

ცალკეული დავალება, რომელიც ტესტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. ჩვეულებრივ ამ ტრემინით აღნიშნავენ მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტში ცალკეულ კითხვას, თუმცა ის უფრო ფართე მნიშვნელობითაც შეგვიძლია გამოვიყენოთ.

**გასაღები, სწორი პასუხი (key, keyed answer)**

დავალება მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტში, პასუხის სწორი ვარიანტი, რომელსაც ქულა ენიჭება.

### **გასაღებების თანმიმდევრობა (key order)**

მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტში იმ ასოების თანმიმდევრობა, რომელიც სწორ პასუხებს მიეწერება ( 1D, 2 B, 3 C და ა.შ.). ერთი და იგივე ასო შეგვიძლია გამოვიყენოთ მაქსიმუმ ორი ერთმანეთის მომდევნო პასუხისათვის. მაგ., 3 C, 4 C, 5 A.

### **მოღერაცია (moderation)**

ამ ტერმინით ზოგჯერ აღწერენ პროცესს, რომელიც გულისხმობს ექსპერტთა პანელის შეხვედრას ტესტური მასალის განსახილველად და მასზე კრიტიკული შენიშვნების გამოთქმის მიზნით.

### **მრავლობითი არჩევანი (multiple choice)**

ტესტური დავალების ფორმატი, რომელიც გულისხმობს კანდიდატისათვის პასუხის სასრული რაოდენობის ვარიანტების მიწოდებას, საიდანაც მათ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი ვარიანტი, როგორც კითხვაზე გაცემული საკუთარი პასუხი.

### **ტესტური დავალების გამოტოვების მაჩვენებელი (omit rate)**

იმ კანდიდატების რაოდენობა, რომელთაც არ უპასუხეს ტესტურ დავალებას. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საცდელი ტესტირებისას ვაფასებთ კანდიდატების პასუხს ტესტის ბოლო ნაწილში მყოფ დავალებებზე ტესტის ოპტიმალური სიგრძის დადგენის მიზნით.

### **პასუხის ვარიანტი (option)**

მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალების შემთხვევაში პოტენციური პასუხების რიგი (ჩვეულებრივ შედგება ოთხი ან ხუთი პასუხისაგან), საიდანაც კანდიდატმა საკუთარი პასუხი უნდა აირჩიოს.

### **პანელი, პანელისათვის შესაფასებლად მასალის წარდგენა (panel, panelling)**

ექსპერტთა ჯგუფი იკრიბება იმ ტესტური დავალებების წინასწარი ვარიანტის განსახილველად და შესაფასებლად, რომლებიც ტესტირების ინსტრუმენტში იქნება გამოყენებული.

### **კითხვების წიგნი (question book-let)**

დაბეჭდილი ტესტური ინსტრუმენტი, რომელიც შეიცავს ინსტრუქციებს, მასალას (სტიმულს) და ტესტურ დავალებებს მოსწავლეებისათვის, რომელზეც ისინი ტესტირებისას იმუშავენ. პასუხების აღრიცხვა ხდება ან მოცემულ წიგნში, ან პასუხების ცალკე ფურცელში.

### **ტესტური დავალება, რომელიც პასუხის შერჩევას გულისხმობს (selected response item)**

ნებისმიერი ტესტური დავალება, რომელსაც გააჩნია პასუხის შეზღუდული რაოდენობის ვარიანტები, საიდანაც მოსწავლეებმა საკუთარი პასუხი უნდა აირჩიონ.

### **სპეციფიკაცია (specification)**

ლოკუმენტი, სადაც მოცემულია ტესტური პროგრამისა ან ინსტრუმენტის ხასიათი და სტრუქტურა. ზოგჯერ მას “პროექტს” უწოდებენ.

### **ღერძი/ბირთვი (stem)**

მრავლობითი არჩევანის შემცველ ტესტურ დავალებაში, წინადადება (წინადადებები) ან წინადადების ნაწილი, რომელიც იმ მომენტს მიუთითებს, რომლის ტესტირებაც ხდება (კითხვა). კანდიდატები იყენებენ ღერძს/ბირთვს პასუხის ვარიანტებიდან ერთ-ერთის შესარჩევად.

### **სტიმული (stimulus)**

- **დირექტიული ხასიათის სტიმული (directive)**

ტესტში შემავალი ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სჭირდება კანდიდატს იმ ამოცანის გასაგებად, რომლის შესრულებაც მას მოეთხოვება (მაგ., მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტის დავალების ღერძი/ბირთვი ან თემა დეტალური ესესათვის).

- **ინსტრუქციული ხასიათის სტიმული (instructive)**

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იბეჭდება კითხვების წიგნში და რომელსაც ითვალისწინებენ კანდიდატები მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ კითხვებზე პასუხისას.

### **საცდელი ფორმა (trial form)**

ტესტური ინსტრუმენტი, მას შემდეგ რაც ის შემუშავდა, გაიარა ექსპერტთა პანელის შეფასება და რედაქცია და ამჟამად მზად არის იმისათვის, რომ იგი მიაწოდონ სავსე პირობებში საცდელ პოპულაციას.

### **საკონტროლო გადასინჯვა (vetting)**

რედაქტირების პროცესი და ტესტის წინასწარი ფორმის შემუშავება, რაც ხდება პანელის მიერ ტესტური დავალებების წინასწარი ვარიანტის განხილვასა და შეფასებაზე დაყრდნობით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Adams, R.J., Doig, B.A. & Rosier, M.J. (1991). Science learning in Victorian schools: 1990. (ACER Research Monograph No. 41). Hawthorn, Vic.: Australian Council for Educational Research.
2. Doig, B.A., Piper, K., Mellor, S. & Masters, G. (1994). Conceptual understanding in social education. (ACER Research Monograph No. 45). Melbourne, Vic.: Australian Council for Educational Research.
3. Gronlund, N.E. (1976: third edition) **Measurement and Evaluation in Teaching**. New York: Macmillan.
4. Hopkins, C.D., and Antes, R.L. (1990) **Classroom Measurement and Evaluation**. Itasca: Peacock.
5. Izard, J. (1991). Assessment of learning in the classroom. Geelong, Vic.: Deakin University.
6. Izard, J. (1997). Content Analysis and Test Blueprints. Paris: International Institute for Educational Planning.
7. Izard, J. (1997). Trial Testing and Item Analysis in Test Construction. Paris: International Institute for Educational Planning.
8. Lien, A.J. (1976: third edition) **Measurement and Evaluation of Learning**. Dubuque: Wm C. Brown Company.
9. Lindquist, E.F. (ed.) (1955) **Educational Measurement**. Washington, D.C.: American Council on Education.
10. Masters, G.N. et al. (1990). Profiles of learning: The basic skills testing program in New South Wales, 1989. Hawthorn, Vic.: Australian Council for Educational Research.
11. Mehrens, W.A. and Lehmann, I.J. (1984: third edition) **Measurement and Evaluation in Education and Psychology**. New York: Holt, Rinehart and Winston.

12. Miller, H.G., Williams, R.G., and Haladyna, T.M. (1978) **Beyond Facts: Objective Ways to Measure Thinking**. Englewood Cliffs: Educational Technology Publications.
13. Ross, K.N. (1993). Issues and methodologies in educational development: 8. Sample design procedures for a national survey of primary schools in Zimbabwe. (International Institute for Educational Planning) Paris, France: United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation.
14. Somerset, A. and Ekholm, M. (1990). "Different information requirements for different levels of decision-making", in K.N. Ross and L. Mählck, L. (eds.) (1990). *Planning the quality of education: The collection and use of data for informed decision-making*. Paris: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization/Oxford: Pergamon Press.
15. Withers, G. (1997). *Item Writing for Tests and Examinations*. Paris: International Institute for Educational Planning.